მეგობრობის ხიდი

სვობოდნაია გრუზია

СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

СПЕЦИАЛЬНЫЙ ВЫПУСК-ПРИЛОЖЕНИЕ К ГАЗЕТЕ «РЕСПУБЛИКА АРМЕНИЯ»

29 сентября 1999 г.

ГЛАВНЕЙШАЯ ЦЕЛЬ - ПОСТРОИТЬ МИРНЫЙ КАВКАЗ

УВАЖАЕМЫЕ АРМЯНСКИЕ ЧИТАТЕЛИ!

„სვობოდნაია გრუზია“ — „რესპუბლიკა არმენია“

საქართველოსა და სომხეთის მკითხველებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: 28 და 29 სექტემბერს შესაბამისად თბილისსა და ერევანში გამოვიდა გაზეთები „სვობოდნაია გრუზია“, რომლის ოთხი გვერდი დაეთმო „რესპუბლიკა არმენიას“, ხოლო ერევანში დაიბეჭდა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ სპეციალური გამოშვება.

ორი ქვეყნის ჟურნალისტთა ეს თაოსნობა მიეძღვნა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალურ ვიზიტს სომხეთში და თვალნათლივ ადასტურებს „მეოთხე ხელისუფლების“ წვლილს რეგიონული მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ამ ერთობლივი პროექტის ინიციატორია გაზეთი „სვობოდნაია გრუზია“.

როგორც „რესპუბლიკა არმენია“ წერს, ეს პროექტი, უეჭველია, გაფართოვდება და მასში რეგიონის სხვა საინფორმაციო საშუალებებიც მიიღებენ მონაწილეობას, კერძოდ, აზერბაიჯანი.

საქინფორმი.

* * *

„საქართველოს რესპუბლიკა“ ულოცავს კოლეგებს პირველ წარმატებულ ნაბიჯს და კვლავაც ახალ პროფესიულ გამარჯვებებს უსურვებს.

РЕСПУБЛИКА АРМЕНИЯ

Гость "РА"-

Сегодня с двухдневным государственным визитом в Армению прибывает президент Грузии Эдуард Шеварднадзе

Главнейшая цель - построить мирный Кавказ

Основная цель - вступление в Евросоюз

Отныне Центробанк - под контролем законодателей

პროკურატურა: როგორ გაიყიდა 10-მილიონიანი გემები თითო დოლარად *გვ. 4.* **სასამართლო:** ნუ ენდობით ცრუ ინფორმაციას *გვ. 8.*

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №262 (3303) ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

ვიზიტი

მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიის მშენებლობისათვის

ერევანი, 29 სექტემბერი. (საქინფორმის სპეც. კორ. მაია თაბაგარი, ედუარდ ელიზბარიძე). მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიის მშენებლობისათვის, რეგიონის ქვეყნების აღორძინებისა და აყვავებისათვის პირობების უზრუნველყოფის მიზნით ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განსაზღვრავენ დღეს სომხეთის დედაქალაქში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დაწყებული ოფიციალური ვიზიტის შინაარსს. ერევნის „ზვარტნოცის“ აეროპორტში თვითმფრინავის ტრაპთან ედუარდ შევარდნაძეს და მისი მეთაურობით ჩამოსულ დელეგაციას გულთბილად დახვდნენ სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი, სხვა ოფიციალური პირნი.

საპატიო სტუმრის პატივსაცემად აეროპორტში აღიმართა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები. საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა საქართველოს პრეზიდენტს. ორკესტრმა ორი ქვეყნის ეროვნული ჰიმნები შეასრულა. ედუარდ შევარდნაძემ და რობერტ ქოჩარიანმა საპატიო ყარაულს ჩაუარეს.

იხ. მე-2 გვ.

აღიარება

„მსოფლიო ვალშია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინაშე“

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ავერელ ჰარიმანის სახელობის ჯილდოს გადაცემის ცერემონია

23 სექტემბერს, ვაშინგტონში, სასტუმრო „ვაშინგტონ ჰილტონის“ „საერთაშორისო საბანკეტო დარბაზში“, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა ავერელ ჰარიმანის ჯილდოს 1999 წლის ლაურეატები — საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ამერიკის პირველი ლედი ჰილარი კლინტონი დააჯილდოვა.

გრანდიოზულ ცერემონიას ესწრებოდა 800-მდე სტუმარი, მათ შორის, ტრადიციულად, ამერიკის პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლები. ცერემონიაზე სრული შემადგენლობით მიწვეული იყო საქართველოს დელეგაციაც.

იხ. მე-3 გვ.

NDI
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის დვაწლმოსილი მუშაკებისა და ვეტერანების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკები და ვეტერანები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

ილია ლაღიძე — ვეტერანი მელიორატორი; **ცოტნე მირცხულავა** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; **ოთარ მუსერიძე** — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის ალგეთის წყალსაცავის საექსპლოატაციო საწარმოს უფროსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი; **ჯუმბერ ქუთათელაძე** — წყლის მართვის სამმართველოს უფროსი.

ღირსების მედლით:

ავგუსტ იტრიაშვილი — ვეტერანი მელიორატორი; **ვლადიმერ კოლესნიკოვი** — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი; **გოლიათ ლაკირბაია** — „კოლხიდმშენის“ მთავარი ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი; **ალექსი მიმინოშვილი** — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; **სევერიან მოსიძე** — საპროექტო ინსტიტუტ „საქწყალპროექტის“ ტექნიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **პავლე ქლენტი** — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული მშენებელი; **ალექსანდრე ცხადაია** — მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის კოლხეთის (ფოთის) ნაპირდამცავი ნაგებობების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ე. შევარდნაძე.

ედუარდ შევარდნაძე ერევნის საპატიო მოქალაქე გახდა.

პრეზენტაცია

მოქალაქეთა კავშირი ჩვენი ხალხის დახმარებით შეძლებს ქვეყნის აყვავებას და აღორძინებას

28 სექტემბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო სიის პრეზენტაცია შედგა. პარტიის განახლებული საარჩევნო სიის ჯგუფი საზოგადოებას მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარემ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ წარუდგინა.

„ჩვენი პარტია უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება საარჩევნო პროცესს, ვინაიდან ჩვენი ძალაუფლების წყარო არის ხალხი, როგორც ეს კონსტიტუციაშია ჩაწერილი, ამომრჩეველი, მისი ნება და თავისუფალი არჩევანი, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძე.

ამიტომ, მისივე თქმით, მოქალაქეთა კავშირი, რომელსაც სავსებით საფუძვლიანად აქვს ღირსება, ფლობდეს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მანდატს, ყოველთვის, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს მოსახლეობის აზრს, სწრაფად ცვალებადი ცხოვრების რიტმსა და როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ძირითადი ვექტორის მიმართულებას.

იხ. მე-2 გვ.

ამბობენ, მართალია?

ხმა სანაგვიდან

მოგეხსენებათ, ენას ძვალი არ აქვს.

ამიტომ, ჭორმა ქვეყანა გადამოვა.

რას არ გაიგონებ.

ოღონდ, ჭორიც არის და ჭორიც, ზოგი ისეთიც შეიძლება გამოერიოს, იქნებ სიმართლესაც კი აჯობოს.

მაგალითად, ამბობენ, ვახტანგ რჩეულიშვილი ბათუმურ ალიანსში მესამე კაცად აღარ მოიაზრებაო.

მისთვის აღთქმული საქართველოს პარლამენტის სპიკერის ადგილს ჯემალ გოგიტიძეს შეპირდნენო.

ბატონმა ასლან აბაშიძემ უთხრა, სპიკერი ჯერჯერობით ჯემალ გოგიტიძე იქნება, ხოლო როცა მე პრეზიდენტი გავხდები, იგი უმალ გადადგება და შენ აგირჩევთ თავმჯდომარედო.

ამიტომ ვახტანგი ბათუმზე განაწყენებულია. უკვე ძალიან გვიანია, თორემ იმ ბლოკიდან უკანმიუხედავად გამოიქცეოდაო.

იხ. მე-4 გვ.

არჩევნების წინ

არჩევნებამდე 31 დღე დარჩა

„შტურმოვიკები“ და „პაპარაცები“

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულმა მეექვსე საკითხმა, რომელიც კომისიაში შემოსულ საჩივრებს შეეხებოდა, შეიძლება ითქვას, სხდომის მსვლელობა ერთხანს კალაპოტიდან ამოაგდო და ბრძოლის ველს დაამსგავსა. ვგულისხმობ სიტყვიერ შერკინებას, თორემ, მადლობა ღმერთს, არავის არავისთვის არ დაურტყამს.

იხ. მე-4 გვ.

SIC!

აჭარის საბაჟო ბიუჯეტს პენსიებისა და ხელფასების ფულს არ აძლევს

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი აღშფოთებას გამოთქვამს ბოლო დღეებში აჭარის საბაჟოზე შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო.

აჭარის საბაჟოს ხელმძღვანელობამ დააკავა ბრიტანული კომპანია „აი-თი-ეს-ის“ მიერ სერტიფიცირებული ტვირთები და ამავე დროს ადგილობრივ ფირმებს

იხ. მე-4 გვ.

აჭარის საბაჟომ აშკარად გადაამეტა საკუთარ უფლებამოსილებას, რამაც სახელმწიფოს განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალი მიაყენა. სახეზეა ეკონომიკური დივერსიის და საბოტაჟის კონკრეტული ფაქტი.

ინფორმაცია

არჩევნებს ეუთოს დამკვირვებელთა მისია გააკონტროლებს

საპარლამენტო არჩევნებზე კონტროლს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის არჩევნების დაკვირვების მისია განახორციელებს. მას უხელმძღვანელებს ეუთოს დამკვირვებელთა ოფისის ექსპერტი ნიკოლაი ვოლჩანოვი, რომელიც 20-კაციანი დელეგაციით უკვე ჩამოვიდა საქართველოში.

რაოდენობა 200 კაცამდე იქნება. დამკვირვებელთა მისია შეაფასებს, თუ რამდენად შეესაბამება ქვეყანაში ჩატარებული არჩევნების პროცესი ეუთოს საერთაშორისო კრიტერიუმებს და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობას. დამკვირვებლები განთავსდებიან საქართველოს ყველა რეგიონში, სადაც არჩევნების ჩატარებაა დაგეგმილი.

ანრი ჯერგენია უარყოფს

აფხაზეთის ლიდერის პირადმა წარმომადგენელმა საქართველოსთან მოლაპარაკებებში ანრი ჯერგენიამ ჟურნალისტებთან საუბარში უარყო ქართული მხარის მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩეჩენ ბოევიკებს იარაღს შეიძლება აწვდიდნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან.

ოფიციალური თბილისი აცხადებს, რომ კავშირი არ აქვს შამილ ბასაევის და ხატაბის ბოევიკებისთვის იარაღის მიწოდებასთან.

ვისაც ქონება დაუმალავს

თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შეუსებლობის გამო რამდენიმე თანამდებობის პირის მიმართ სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმე აღიძრება, აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს თანამდებობის პირთა ფინანსური მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში. ბიუროს თანამშრომელმა, მათი ვინაობის დასახელებისაგან თავი შეიკავა.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული თანამდებობის პირები სასამართლო წესით 500 დან 700 ლარის ფარგლებში დაჯარიმდებიან და გათავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან. ვაკისა და საბურთალოს რაიონების სასამართლოებში აღნიშნული მიზეზით ასამდე თანამდებობის პირის საქმე იყო გაგზავნილი. სასამართლოს გაფრთხილების შემდეგ, ბევრმა მათგანმა დეკლარაცია შეავსო.

ევროპული ფილმების კვირეული

ევროპული ფილმების კვირეული გაიმართება კინოს სახლში 1-6 ოქტომბერს. კვირეულზე, ქართულად ნათარგმნი 10 ფილმი უფასოდ იქნება ნაჩვენები. მათ შორის, ფრანგი რეჟისორის ნიკოლ გარსიას ფილმი **„ვანდომის მოედანი“**, შემდეგ კოლინ ნატალის **„ანგელოზების კარმიდამო“**, ბრიტანელი პოლ მაკგიგანის **„ესიდ ჰაუზი“**, გერმანელი ტომ ტიკუერის **„გაიქეცი, ლოლა, გაიქეცი“**.

ევროპული ფილმების კვირეულის ორგანიზატორები არიან საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოები, ევროკომისიის წარმომადგენლობა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ახალი სახეები მოქკავშირის დეპუტატობის კანდიდატთა სიაში.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

გვწერენ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

ჩვენ იმ რამდენიმე თბილისელის აზრს გამოვხატავთ, ვინც ჩვენსავით შორს არის პოლიტიკისაგან, მაგრამ ვახტანგ რჩეულიშვილის გამო თავიანთი გამოსვლის ნეგატიური განწყობა გაგვიზიარეს.

ჩვენი რეპლიკა სანაგვეების და მენაგვეების თემას უკავშირდება, რომელიც გორში ვახტანგ რჩეულიშვილმა წამოიწყო.

საქართველოს პრეზიდენტი, გუბერნატორი და გამგებელი ადამიანები არიან, მამები, ბაბუები, მეუღლეები. თქვენი თუ არა, სხვისი მეგობრები ხომ არიან ვახტანგ? რა პირით შეხვდებით ხვალ მათ?

თქვენ გორში ტელევიზიით გიხილეთ ტრიბუნაზე... არც ის თეთრი მანქანა ჰგავდა ნაგვის მანქანას, არც თქვენ — ისტორიის მენაგვეს ცოცხით ხელში...

მაია ნიკოლეიშვილი,
ნანა დადიანი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

წლეულს, კანონის თანახმად, გამათანაბრეს მეორე სამამულო ომის მონაწილეებთან. ამის თაობაზე განცხადება 1999 წლის 27 იანვარს შევიტანე. მაშინვე მომიხსნეს და გამინახევრეს კომუნალური გადასახადები, მაგრამ საპენსიო ფულად განსხვავებაზე მეუბნებიან არ გეკუთვნისო. რატომ?

ი. გუგეშაშვილი,
თბილისი.

— როგორც საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროდან გვაცნობეს, საპენსიო განსხვავება თქვენ 2000 წლის 1 იანვრიდან დაგენიშნებათ, ვინაიდან აღრიცხვაზე წლეულს დადექით. სახელმწიფოს კი ბიუჯეტში დამატებითი გადასახადებისათვის თანხა ამ წლისათვის გათვალისწინებული არ ჰქონია.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ:
93-16-90, 93-28-54.

უკანასკნელ საათს

გუშინდელი დღისთვის რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ინიციატივით ხასავიურტში დაგეგმილი დაღესტნის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მაგომედალი მაგომედოვის და ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის შეხვედრა ჩაიშალა — ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ქალაქში არ შეუშვეს ორივე მხარის დელეგაცია.

გუშინ ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ არ განხორციელდება სახმელეთო ოპერაციები ჩეჩნეთის წინააღმდეგ. ავიაციის დაბომბვამ კი გაანადგურა 4 ხიდი და 2 საწყობი, სადაც ინახებოდა რამდენიმე ასეული ვაგონი საბრძოლო მასალები.

გუშინ გაზეთ „ფიგაროში“ გამოქვეყნდა კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორის ალექსანდრე ლებედის ინტერვიუ, რომელშიც გენერალი ბრალს სდებს კრემლს ტერორისტებთან მოლაპარაკებებში. ვლადიმერ პუტინს არ სჯერა, რომ ეს სიტყვები ლებედს ეკუთვნის და ამბობს, იგი ასეთ რამეს არ იტყოდაო.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
დაბლობში: ღამით +12+17;
დღისით +29+34.
მთაში: ღამით +8+13;
დღისით +25+30.
მაღალ მთაში: ღამით +4+9;
დღისით +22+27.
აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ბარში: ღამით +9+14;
დღისით +25+30.
მთაში: ღამით +5+10;
დღისით +24+29.
მაღალ მთაში:
ღამით +2+7;
დღისით +18+23.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა.
ღამით +12+14; დღისით +28+30.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 29 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	0.9983 ლარი
აშშ დოლარი	1	1.8520 ლარი
ევრო	1	1.9526 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0736 ლარი.

ვიზიტი

მშვიდობიანი და სტაბილური კავკასიის მშენებლობისათვის

(პირველი გვერდიდან)

ოფიციალური შეხვედრის ცერემონიის შემდეგ ავტომანქანების კორტეჟი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით სტუმრებისათვის განკუთვნილი რეზიდენციისაკენ გაემართა.

შუადღისას სომხეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში დაიწყო საქართველო-სომხეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკება. გაიმართა ედუარდ შევარდნაძისა და რობერტ ქოჩარიანის კონფიდენციალური საუბარი, რის შემდეგაც ორი ქვეყნის დელეგაციათა მოლაპარაკება გაფართოებული შემადგენლობით გაგრძელდა. ორი სახელმწიფოს მეთაურების გარდა, მასში მონაწილეობდნენ: საქართველოს მხრიდან — საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრი თეიმურაზ გიორგაძე, ტრანსპორტის მინისტრი მერაბ ადეიშვილი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, პარლამენტის წევრები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი; სომხეთის მხრიდან — ტრანსპორტის მინისტრი ერვანდ ზახარიანი, ტერიტორიული მართვის მინისტრი ხოსროვ არუთინიანი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე არტაშეს თუმანიანი, ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე კარენ გალუსტიანი, სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიორგი ხოსროევი, სხვა ოფიციალური პირნი.

მოლაპარაკების შედეგების მიხედვით მიღებულია დეკლარაცია საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის ურთიერთობის ახალ ეტაპზე თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ედუარდ შევარდნაძემ და რობერტ ქოჩარიანმა.

აქვე, სომხეთის პრეზიდენტის რეზიდენციის ოვალურ დარბაზში წაიკითხეს ქალაქ ერევნის მერიისა და საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისათვის სომხეთის დედაქალაქის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების შესახებ.

საპატიო სტუმარს მიესალმა ერევნის მერი ალბერტ ბაზეიანი და საქართველოს პრეზიდენტს გადასცა საპატიო მოქალაქის წოდების სიმბოლოები— სიგელი და ქალაქ ერევნის გასაღები.

ედუარდ შევარდნაძემ გულითადი მადლობა გადაიხადა ესოდენ დიდი პატივისათვის. მე ძალიან ბევრი ჯილდო და ბევრი წოდება მაქვს, — თქვა მან, — მაგრამ ეს განსაკუთრებულია, იმიტომ, რომ განსაკუთრებულია ჩვენი ხალხების ურთიერთობა.

ახლა ჩვენი სახელმწიფოების განვითარებასა და ჩვენი ხალხების ცხოვრებაში განსაკუთრებით პასუხსაგები ეტაპი გვიდგას, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. ეს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების პროცესია. ვფიქრობ, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ბედნიერი თაობა ვართ — ჩემი ასაკის ხალხიც, უფროსებიც, საშუალო თაობაც, ახალგაზრდებიც — იმიტომ, რომ განგებამ ინება, წილად გვხვდომოდა უდიდესი პასუხისმგებლობა და დიდი პატივი, თუ გნებავთ, უფლება ვაშენებდეთ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოებსა და ახალ ურთიერთობას — თანასწორუფლებიან, ჭეშმარიტად ძმურ ურთიერთობას ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის. ამიტომაც, — თქვა მან, — ჩემი ცხოვრების განსაკუთრებულ მოვლენად მივიჩნევ იმას, რომ მაქვს უფლება ვატარებდე ქალაქ ერევნის საპატიო მოქალაქის წოდებას.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. მისი გახსნისას, რობერტ ქოჩარიანმა ხაზი გაუსვა საქართველოს ხელმძღვანელის ახლანდელი ვიზიტის დიდ მნიშვნელობას. მე ვთვლი, — თქვა მან, — რომ ჩვენი ურთიერთობის პრაქტიკულად მთელი სამართლებრივი ბაზა უკვე გასულ წლებში გაფორმდა. ახლა საჭირო გახდა იმის გაცხადება, რომ ჩვენი ურთიერთობა უფრო მაღალ დონეზე აღწევს. როგორც რობერტ ქოჩარიანმა თქვა, სწორედ ეს არის დეკლარაციის არსი.

სომხეთის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ დეკლარაციის შემდეგ უნდა დაიდოს დიდი ხელშეკრულება ახალ საფუძველზე, ამას კი მოჰყვეს ამ ხელშეკრულებისათვის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება. როგორც რობერტ ქოჩარიანმა თქვა, საქართველოს პრეზიდენტთან მოლაპარაკების დროს განიხილეს როგორც ორმხრივი ურთიერთობის, ისე რეგიონული თანამშრომლობის საკითხები, შეაჯერეს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებისა და მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემებისადმი მიდგომა. სომხეთის ლიდერმა კმაყოფილება გამოხატა დიალოგით როგორც საქართველოს პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრისას, ისე გაფართოებული შემადგენლობით გამართული შეხვედრის დროს.

ედუარდ შევარდნაძემ გაიზიარა თავისი სომეხი კოლეგის აზრი. მან აღნიშნა, რომ საქართველოსაც და სომხეთსაც ურიგო სახელშეკრულებო საფუძველი როდი აქვთ. სხვადასხვა დროს ხელმოწერილი 72 ხელშეკრულება და შეთანხმება, არსებითად მოიცავს ჩვენი ხალხებისა და სახელმწიფოების ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის მრავალისმომცველ ხელშეკრულებასაც, რომელზეც კიდევ უნდა ვიმუშაოთ მისი სრულყოფის მიზნით. რაც შეეხება ახალ დოკუმენტს — დეკლარაციას, ეს უბრალოდ დეკლარაციული განცხადება კი არა, არამედ კონკრეტული მორიგებაა ორ პრეზიდენტსა და ორ სახელმწიფოს შორის, რომელსაც ჩვენი ქვეყნები აჰყავს თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ეტაპზე და ძმური ურთიერთობის ახალ დონეზე.

შეეხო რა სომხეთის პრეზიდენტთან საუბარს, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მან ჩაიარა უაღრესად საქმიან, ამხანაგურ და სრულიად გულწრფელ ვითარებაში. ჩვენ აღმოვაჩინეთ, — თქვა მან, — რომ ორივე სახელმწიფოს ძალზე ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ — მათ აქვთ დიდი რესურსები, რეზერვები სამხრეთ კავკასიაში ვითარების სრული სტაბილიზაციისათვის და იმისათვის, რომ ეგრეთ წოდებული კავკასიის ფაქტორი გამოვიყენოთ მწვავე პრობლემების, მათ შორის მოუწესრიგებელი კონფლიქტების გადასაჭრელად, რომლებიც ასე გვაღელვებს. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამის პარალელურად საუბარი შეეხო ორმხრივ ურთიერთობას. ეს არის მთლიანად ეკონომიკა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, თანამშრომლობის სხვა დარგები და სფეროები. ამასთან, მან დადებითად შეაფასა ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებისა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების წინასწარი მუშაობა, რომლებმაც შეძლეს საკმაოდ კონკრეტულად, საქმიანად განეხილათ მათ წინაშე დასახული პრობლემებისა და ამოცანების მთელი კომპლექსი. ამასთან, ჩვენ არ ვიფარგლებით მხოლოდ ეკონომიკის საკითხებით, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. შემთხვევით როდი არიან, — აღნიშნა მან, — საქართველოს დელეგაციაში წარმოდგენილი კულტურის, მეცნიერების მოღვაწენიც. ძალზე საჭიროა, რომ ღირსეულად განვაგრძოთ და განვავითაროთ ის სულიერი ნათესაობა, მრავალი ათასწლეულის მანძილზე რომ ახასიათებდა ჩვენი ხალხების ერთობლივ ცხოვრებას, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა.

ედუარდ შევარდნაძემ და რობერტ ქოჩარიანმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა შეკითხვებს. კერძოდ, შეეხო რა იმას, რაც პრეზიდენტებს კავკასიაში სტაბილურობის გარანტად მიაჩნიათ, სომხეთის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია რეგიონის ყველა ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობა. ამ თვალსაზრისს სავსებით დაეთანხმა საქართველოს პრეზიდენტიც, რომელმაც აღნიშნა, რომ მოცემულ ეტაპზე ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკური პრობლემები, მათი გადაწყვეტა პირდაპირ განსაზღვრავს ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოების შემდგომი განვითარების ბედს. და ამასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ სულიერი განვითარებისათვის, და ყოველივე სხვა დანარჩენისათვის.

ამასთან ედუარდ შევარდნაძემ ხაზი გაუსვა ნებისმიერ დონეზე სრულიად კავკასიის დიალოგის მნიშვნელობას. მან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ თბილისში, ერევანში, ბაქოში სულ უფრო და უფრო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს არა მარტო საზოგადოებრიობის, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, არამედ სახელმწიფო მოღვაწენიც — მინისტრები და სხვანი. ამას წინათ თბილისში გაიმართა სამი სახელმწიფოს პარლამენტების თავმჯდომარეთა მეტად საინტერესო შეხვედრა, ახლა მზადდება პრემიერების შეხვედრა, ხოლო პერსპექტივაშია სამი პრეზიდენტის შეხვედრაც, და მე ბედნიერი ვიქნებოდი, — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, — თუ შეხვედრის ადგილად თბილისი იქნება არჩეული.

პრესკონფერენციაზე შეეხნენ საქართველოში, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთში სომხეთის დიასპორის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. როგორც რობერტ ქოჩარიანმა თქვა, საქართველოს პრეზიდენტთან საუბრისას ამ საკითხზეც იმსჯელეს. ეს ჩვენი საერთო ინტერესია, — ხაზი გაუსვა მან. მაქსიმალური უნდა გავაკეთოთ, რათა დესტრუქციულმა ძალებმა ვერ შექმნან დაძაბულობა.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა, — ხაზი გაუსვა ედუარდ შევარდნაძემ, — ამიტომაც ჩვენთვის, — თქვა მან, — ეროვნული საკითხის სამართლიან გადაწყვეტას ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საქართველოში ცხოვრობს თითქმის ნახევარი მილიონი სომეხი, თანაც, თუ ჯავახეთში ისინი, ცნობილ მოვლენათა გამო მოგვიანებით აღმოჩნდნენ, თბილისში, ქვეყნის აღმოსავლეთში, სომხები საუკუნეებია ცხოვრობენ, თანაც შეინარჩუნეს თავიანთი ენა, კულტურა, ტრადიციები, ჯავახეთში არსებული პრობლემები ძირითადად სოციალურია, ასეთი პრობლემები სხვა რაიონებშიცაა. მაგრამ გარწმუნებთ, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ამ რეგიონისათვის არანაკლებს ვაკეთებთ, იქნებ მეტსაც, ვიდრე სხვა რაიონებისათვის.

* * *

იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტი ეწვია მესროპ მაშტოცის სახელობის უძველეს ხელნაწერთა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს „მატენადარანს“. პრეზიდენტები გაემგზავრნენ გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალისაკენ, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ გვირგვინით შეამკო.

საღამოს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატივსაცემად სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა საზეიმო დარბაზობა გამართა.

პრეზენტაცია

მოქალაქეთა კავშირი ჩვენი ხალხის დახმარებით შეძლებს ქვეყნის აყვავებას და აღორძინებას

(პირველი გვერდიდან)

ედუარდ შევარდნაძის აზრით, ეს არის მოძრაობა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის: მოქალაქეთა კავშირი შეიქმნა მაშინ, როდესაც მხოლოდ ერთეულები თუ ხედავდნენ მომავალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს კონტურებს. მის წევრებს თავიდანვე აერთიანებდა ურყევი რწმენა მშობელი ხალხის უშრეტი ნიჭის და ნებისყოფისა.

სულ რამდენიმე წლის განმავლობაში მოქალაქეთა კავშირმა შეძლო ჩამოეყალიბებინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების კონცეფცია და დიდწილად განეხორციელებინა კიდეც იგი.

დაფუძნდა ქართული სახელმწიფო — ყველა შესაბამისი ატრიბუტითა და სახელმწიფოებრივი სისტემით.

მოქალაქეთა კავშირმა, პრეზიდენტთან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და ისეთ შესანიშნავ მეცნიერებთან ერთად, როგორიც აწ განსვენებული ბატონი სერგო ჯორბენაძე გახლდათ, სხვა გამოჩენილი იურისტების — ლადო ჭანტურიას, ჯონი ხეცურიანის, თედო ნინიძის და მრავალი მოღვაწის მონაწილეობით და მეცადინეობით, განვლილ წლებში შეძლო უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების მომზადება, მიღება. მათ შორის, კონსტიტუციის ტოლფასი დოკუმენტის — სამოქალაქო კოდექსის და ასეულობით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კანონის. „ადრეც მითქვამს, რომ გამიჭირდება დავასახელო სხვა ქვეყანა, რომელმაც სულ რაღაც სამნახევარი-ოთხი წლის მანძილზე შეძლო შვიდასამდე ფუნდამენტური კანონის მიღება. ეს, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზის შექმნაა,“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, მოქალაქეთა კავშირის ძალისხმევით, „ჩვენ ყველამ ერთად დავაფუძნეთ თვისებრივად ახალი, სახელმწიფოებრივი სისტემა, რომელიც სისხლხორცეულად დემოკრატიულია და მიმართულია უპირველეს ყოვლისა, პიროვნების თავისუფლების, ადამიანის უფლებათა, ეროვნული უმცირესობების უფლებების დასაცავად. ამ პროგრესული, ჰუმანისტური საფუძვლის გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოველმყოფელობა უკვე წარმოუდგენელია. ჩვენ ყველანი შევეჩვიეთ ცხოვრების ასეთ წესს და სხვაგვარად ვეღარც წარმოგვიდგენია“.

საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ იმავე შინაარსიდან გამომდინარეობს მუდმივი განახლებისა და განვითარების უნარი. მოქალაქეთა კავშირი ვითარდება და კიდევ უფრო ძლიერდება ამ ქვეყანასთან, იმ საზოგადოებასთან ერთად, რომლის უზენაეს ინტერესებსაც ერთგულად ემსახურება წლების განმავლობაში.

საარჩევნო სიაზე სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. დეპუტატობის კანდიდატთა შორის 11 ქალბატონია, რაც პრეზიდენტის აზრით, სამწუხაროდ, ძალიან მცირეა; 17 იურისტი, 15 ფინანსისტ-ეკონომისტი, 46 კანდიდატი კი სრულიად ახალი სახეა.

მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო სია დიდწილად განახლებულია — თუმცა, რა თქმა უნდა, მასში კვლავინდებურად ჰარმონიულადაა შერწყმული ღვაწლმოსილ, გამოცდილ მოღვაწეთა სიდინჯე, წლობით დაგროვილი ცოდნა — ახალგაზრდულ ნიჭთან, შემართებასთან და სიახლის შეფასების უნართან.

კავშირის საარჩევნო სია საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. მათ უმრავლესობას შესანიშნავად იცნობს ჩვენი საზოგადოება, მაგრამ ბევრი მათგანის გადაწყვეტილება, სწორედ მოქალაქეთა კავშირის რიგებში, პარტიის საარჩევნო სიით მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში — უდიდეს ორმხრივ პასუხისმგებლობას გულისხმობს.

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, „მოქალაქეთა კავშირის“ საერთო ეროვნული სია მთლიანად ასახავს განახლებისა და სრულყოფის შინაარსობრივ სწრაფვას, რაც იმთავითვე ახასიათებდა მოძრაობას, და ეს მოძრაობა გამარჯვებული იქნება მანამ, სანამ ამ თვისებას არ დაკარგავს“.

მოქალაქეთა კავშირის სიაში არიან სრულებით ახალი სახეები და ის ადამიანებიც, ვინც წლების განმავლობაში დაუღალავი შრომითი შემოქმედებით, სამშობლოს უმწიკვლო მსახურებით, პატრიოსნებითა და პრინციპულობით მოიპოვა საზოგადოების ნდობა და პატივისცემა.

ვამაყობ, რომ მრავალი ასეთი მოღვაწე ამშვენებს პარტიის საარჩევნო სიას, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და სანამ კონკრეტულ ჩამოთვლაზე გადავიდოდა, გაიხსენა პარტიის უხუცესი დამაარსებელი, აწ განსვენებული ლალი ჯავახიშვილი, რომლის სახელითაც და რომლის მიერ განვლილი გზითაც, ეროვნულ მეცნიერებაში შეტანილი წვლილით მუდამ იამაყებს საქართველო. „ვამაყობთ იმით, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელი და უერთგულესი წევრი იყო ჩვენი მოძრაობისა“.

მათ შორის, ვის შესახებაც საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა, არიან ჩვენი სასიქადულო მოღვაწენი, ქართული კულტურის კორიფენი, მსოფლიო დონის მეცნიერები, ნამდვილი პატრიოტები, ვინც საქმით დაამტკიცა სამშობლოს სიყვარული და ერთგულება: ელდარ შენგელაია, თამაზ გამყრელიძე, ელგუჯა მეძმარიაშვილი, დიმიტრი ჯაიანი, ჯანო ბაგრატიონი, ჯანსულ ჩარკვიანი, ვახტანგ შამილაძე, ჯემალ აჯიაშვილი, მიხეილ ნანეიშვილი, ნოდარ ამაღლობელი, მანანა გიგინეიშვილი, აკაკი გასვიანი, დათო მაღრაძე. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, მართალია, ზემოთ ჩამოთვლილთაგან ბევრი არ არის მოქალაქეთა კავშირის წევრი ან სულაც სხვა პარტიის წარმომადგენელია, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, „მთავარია, ფასეულობანი, რომელთაც ვაღიარებთ და ვემსახურებით“.

ამასთან ერთად, საარჩევნო სიას, ისევე, როგორც მოქალაქეთა კავშირს, ახალი ძალა და ნიჭი შესძინეს სრულებით ახალგაზრდა, თუმცა, უკვე მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა. მათ საქართველოსა და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში მიიღეს განათლება და მზად არიან, ცოდნა სრულად მოახმარონ ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპის წარმატებით დაგვირგვინებას.

„თუ ყურადღება მიაქციეთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მე ვილაპარაკე ახალი აზროვნების მნიშვნელობაზე მესამე ათასწლეულში. ჩემი არგუმენტი გახლავთ: ახალმა აზროვნებამ განაპირობა მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ომის, ცივი ომის დამთავრება. ახალ აზროვნებას უნდა ვუმადლოდეთ, ფაქტობრივად, ერთიანი მსოფლმხედველობრივი სივრცის შექმნას ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე. ახალი აზროვნების გამარჯვებაა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა. მხოლოდ ახლებურად მოაზროვნე საქართველო შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას მსოფლიოსა და, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის წინაშე შემდეგ ათასწლეულში,“ — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და დასძინა, რომ ხელისუფლება, მათ შორის, საკანონმდებლო, მუდმივი განახლების პროცესში უნდა იმყოფებოდეს. და რომ ახალი გაბედული იდეების დაბადება და სახელმწიფო რანგში აყვანა შეუძლებელია ღვაწლმოსილი ადამიანების გვერდით ახალი თაობის უნიჭიერეს წარმომადგენელთა გამოჩენის გარეშე. სწორედ თაობათა ნიჭისა და უნარის ამ შეზავებაშია მოქალაქეთა კავშირის ძლიერების წყარო.

ზემოთ ნათქვამის მაგალითებად საქართველოს პრეზიდენტმა დაასახელა რამდენიმე კანდიდატი — გია მეფარიშვილი, თამუნა ნინოშვილი, კობა დავითაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით გეგეშიძე, ზვიად მუკბანიანი, ირაკლი გოგავა, გიორგი კვირიკაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი, დათო კოღუაშვილი და სხვები.

ჩამოთვლილ კანდიდატთა შორის უმრავლესობას გავლილი აქვს საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების და მეცნიერებათა აკადემიების სკოლა. ედუარდ შევარდნაძის აზრით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან „ჩვენ ეროვნულ ტრადიციებზე დამყარებულ ქვეყანას ვაშენებთ და იმ გამოცდილების ცოდნის გარეშე, რომელიც ცივილიზაციამ შეიმუშავა, განვითარების თანამედროვე ეტაპზე გაგვიჭირდება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ავამაღლოთ სახელმწიფო“.

აქვე პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საარჩევნო სიის შედგენისას დიდ ყურადღებას უთმობდნენ მოქმედ, წარმატებულ ბიზნესმენთა მოზიდვას.

„განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში იყო, არა კაპიტალის ოდენობა, არამედ კომერციული ნიჭი და ბიზნესმენის ალღო, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება კანონშემოქმედებისას.

მოგეხსენებათ, რამდენი საყვედური და შენიშვნა გამოითქმის ჩვენს საზოგადოებაში საგადასახადო კოდექსის სრულყოფასა და შესაბამისი კანონმდებლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. სწორედ ასეთი სკოლაგავლილი და წარსულის ტვირთით დაუმძიმებელი ახალგაზრდა სპეციალისტების მოსვლა პარლამენტში დაგვეხმარება ამ ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე სფეროში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფაში,“ — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და განაგრძო კანდიდატთა დასახელება — ვასიკო მაღლაფერიძე, ანტონ ინგოროყვა, ირაკლი იაშვილი, დათო გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, გიორგი ვაშაყმაძე, მაია სიმონიძე. ახალგაზრდა მრეწველების დახასიათებისას, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მრეწველობა ნამდვილად გადაარჩენს საქართველოს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მრეწველები იზრუნებენ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის. დასახელებული კანდიდატები ამის მაგალითს იძლევიან.

„სიაში არიან ისინი, ვინც აფხაზეთს წარმოადგენს და მომავალშიც, დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის დეპუტაციაში იქნებიან. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამოქალაქენი, 300 ათასი ლტოლვილი, რომელთაგან ზოგი საქართველოში, ზოგი სხვა ქვეყნებშია მიმოფანტული, სწორედ ამ ბლოკს და ამ ადამიანებს დაუჭერენ მხარს, მათ, ვისაც არათუ არ უღალატიათ, არამედ ერთი წუთითაც არ შეპარვიათ ეჭვი იმაში, რომ აფხაზეთში დაბრუნდებიან, რომ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა“, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

მან წარმოადგინა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც შეადგენენ მეცნიერი და პრაქტიკოსი აგრარიკოსები. და აღნიშნა, რომ ეს სფერო ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იქნება მომავალი საპარლამენტო კანონშემოქმედებისას. მომავალი 5 წლის მანძილზე მსოფლიო ბანკი ათეულობით მილიონ დოლარს დააბანდებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში და ეს იმიტომ, რომ ამ დარგში ნოვატორული მოძრაობა დაიწყო, შეიქმნა საკრედიტო კავშირები, გაჩნდნენ ახალი ტიპის ფერმერები. „ვფიქრობ, რომ მოქალაქეთა კავშირს შეუძლია, თავის აქტივში ჩაიწეროს ის, რომ შესაძლო მსოფლიო ბანკთან, ევროკავშირთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ცენტრებთან დაემყარებინა ისეთი კავშირები, რომ მოეხვეჭა ნდობა და მოეპოვებინა ინვესტიციები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის,“ რომ მოქალაქეთა კავშირის აქტივშია მიწის რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს მოქალაქენი მიწის მეპატრონენი გახდნენ. კანდიდატთა სიაში სოფლის მეურნეობის სპეციალისტებიც არიან, კერძოდ, დავით კირვალიძე, ზურაბ შხვაცაბაია, ვანო მერაბიშვილი და სხვები, რომელთა ცოდნა-გამოცდილება ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას და თანამედროვე მოთხოვნებთან შეხამებას.

მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო სია აერთიანებს იმ ბიზნესმენებს, რომლებიც პირნათელი არიან ბიუჯეტის წინაშე. „ამას ხაზს ვუსვამ, რადგან არ შეიძლება იყო კარგი ბიზნესმენი და ცუდი გადამხდელი. ცუდი გადამხდელი, თავისთავად, ცუდი მოქალაქეა, ცუდი მოქალაქე კი მოქალაქეთა კავშირს ვერ დაუკავშირდება. სწორედ და მხოლოდ ამით მოიპოვეს მათ ჩვენი ნდობა. ისინი პარლამენტში მოდიან, რათა შექმნან კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო და საზოგადო ინტერესების ჰარმონიულ შეხამებას ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის, ბიზნესის და მეწარმეობის სფეროში“.

სწორედ ამ ინტერესთა შერწყმაა მოქალაქეთა კავშირის უმთავრესი ამოცანა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა სფეროში. ერთმანეთს უნდა ავსებდნენ ცენტრალური, ანუ საერთოეროვნული და რეგიონული ინტერესები“.

ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, რომ მოქალაქეთა კავშირის საერთო ეროვნულ სიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს რეგიონების წარმომადგენლებმაც. მათ შორის, პრეზიდენტმა უპირველესად დაასახელა რუზგენ გოგოხია, ზურაბ ნასარაია, დოდო შელია, დემურ გიორხელიძე, გიგი წერეთელი. სიაში არიან სამეგრელოს, იმერეთის, ქვემო და შიდა ქართლის, კახეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და საქართველოს სხვა კუთხეების მრავალი შესანიშნავი წარმომადგენელი.

„განსაკუთრებულად ვამაყობ, რომ ჩვენს საარჩევნო სიაში ღირსეულად არის წარმოდგენილი აჭარა. ამ კეთილშობილი მხარის თვალსაჩინო და ერთგული შვილები ედვარდ სურმანიძე, ვახტანგ შამილაძე, როსტომ დოლიძე, ზურაბ ნოღაიდელი, არმაზ ახვლედიანი, მიხეილ მახარაძე. მგონია, რომ ყველაზე დიდი რაოდენობით კანდიდატები აჭარიდან არიან და ეს ბუნებრივიცაა. აჭარის წარმომადგენლები „აღორძინებაზე“ მეტად ჩვენთან არიან. მჯერა, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, მშობლიური მხარის და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ იღვაწებენ“, — თქვა პრეზიდენტმა.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირის უდიდესი ამოცანა და პრიორიტეტი ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და დაცვაა. სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და განმტკიცება სასიცოცხლოდ აუცილებელია. მით უმეტეს, იმ ვითარების გათვალისწინებით, რაც საქართველოს გარშემო იქმნება. მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო სიაში წარმოდგენილია ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ოფიცერი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, გენერალ-ლეიტენანტი რობერტ თავაძე.

მოქალაქეთა კავშირის სიაში სათანადოდ და ღირსეულად არიან წარმოდგენილი ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები: ვან ბაიბურთი, ვლადიმერ რზგოევი, დიმიტრი იანკოვსკი, სიმონ აჯიაშვილი, მამედ მამედოვი, ზაურ გუმაშვილი და სხვები. პრეზიდენტის შეფასებით, „თითოეული მათგანი თავისი ერის ერთგული შვილი და საქართველოს ღირსეული მოქალაქეა. მათი მოღვაწეობა კიდევ უფრო განამტკიცებს შემწყნარებლობის და მშვიდობიანი, ძმური თანაცხოვრების დიდებულ, ეროვნულ ტრადიციას“.

მოქალაქეთა კავშირის განსაკუთრებული ზრუნვის და ყურადღების საგნად კვლავ რჩება სოციალური სფერო. საარჩევნო სიაში მრავალი შესანიშნავი სპეციალისტია, ვისაც უშუალო შეხება აქვს ამ საგანთან, მათ შორის, გიორგი კოხრეიძე.

„დარბაზში ვხედავ იმ ადამიანებს, რომლებიც მუშაობდნენ წინა პარლამენტში და ჩვენ მათ კარგად ვიცნობთ. მადლობელი ვარ, რომ აქ მობრძანდნენ მაჟორიტარებიც“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და იმედი გამოთქვა, რომ ამომრჩევლები ღირსეულად დააფასებენ ისეთ პიროვნებათა ნიჭსა და უნარს, დამსახურებას ჩვენი საზოგადოების წინაშე, როგორებიც არიან არჩილ გოგელია, ალეკო ფალავა, ზეზვა ლულუნიშვილი, თენგიზ გაზდელიანი.

* * *

გამოსვლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მის მიერ დასახელებული კანდიდატები მხოლოდ ნაწილია მოქალაქეთა კავშირის მიერ წარმოდგენილი სიისა. მან თითოეულ კანდიდატს უსურვა გამარჯვება არჩევნებში, რომელსაც, მისი შეფასებით, საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

„21-ე საუკუნეში, მესამე ათასწლეულში საქართველოს პარლამენტი შეაბიჯებს, როგორც პატიოსანი და კომპეტენტური დეპუტატების, თავისი ქვეყნის პატრიოტების საკრებულო, დარწმუნებული ვარ, მოქალაქეთა კავშირის დეპუტაცია ამ საკრებულოში საკონსტიტუციო უმრავლესობას შეადგენს და წარმატებით დააგვირგვინებს დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიულ მისიას და ჩვენი ხალხის დახმარებით შეძლებს ქვეყნის აყვავებას და აღორძინებას“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

23-ე ტანკერი 90 ათასი ტონა ნავთობით

კასპიის ადრეული ნავთობით დატვირთული მორიგი ტანკერი გაემგზავრა სუფსის ნავთობის ტერმინალიდან დასავლეთში, კერძოდ, იტალიაში. ტანკერს მიაქვს დაახლოებით 90 ათასი ტონა ნავთობი. ეს ადრეული ნავთობით დატვირთული 23-ე ტანკერია, რომელიც გაემგზავრა დასავლეთში 1999 წლის აპრილში სუფსის ტერმინალის გახსნის შემდეგ. წლის ბოლოსათვის ნავთობის ტრანზიტიდან საქართველო გეგმავს 4,8 მილიონი დოლარის მოგებას. ერთი ბარელი ნავთობის ტრანზიტისგან ქვეყანა 18 ცენტს იღებს.

ჩეჩნეთთან საზღვრის დაცვის გასაძლიერებლად

სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე თვლის, რომ საჭიროა ქვეყნის ყველა ძალოვანი სტრუქტურის ძალისხმევა საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის დაცვის გაძლიერებისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში გამწვავებულ სიტუაციასთან დაკავშირებით.

მოსკოვის გაზეთ „სეგოდნიას“ ცნობით, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვლადიმერ რუშაილომ მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე შეძლო შეთანხმებულიყო ქართველ კოლეგებთან საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის სრული დახურვის შესახებ.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ქართველი მესაზღვრეები რუსეთთან საზღვრის ამ რთულ 87-კილომეტრიან მონაკვეთზე საიმედოდ უზრუნველყოფენ მის კონტროლს.

ჩრდილოეთ კავკასიის მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღმოსავლეთის მიმართულების ნაწილები და ქვედანაყოფები საბრძოლო მზადყოფნაშია და კოორდინირებენ თავის მოქმედებას სხვა ძალოვან სტრუქტურებთან ქვეყნის სასაზღვრო ტერიტორიის დაცვის საკითხში.

ვალერი ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „ზემო ლარსზე“ ქართველი მესაზღვრეები ყოველდღიურად უშვებენ 50-70 უიარაღო ლტოლვილს ჩეჩნეთიდან, ძირითადად ქალებს და ბავშვებს, რომლებიც მიემგზავრებიან აზერბაიჯანში და თურქეთში.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

საქართველოს რესპუბლიკა
№262. ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიარება

„მსოფლიო ვალშია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინაშე"

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ავერელ ჰარიმანის სახელობის ჯილდოს გადაცემის ცერემონია

(პირველი გვერდიდან)

ჯილდოს გადაცემის ცერემონიას, ახალ ლაურეატთა ღვაწლის განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უილიამ ჯეფერსონ კლინტონი, რაც ამ ღონისძიების ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სიურპრიზი იყო, რადგან მისი მონაწილეობა ცერემონიის პროგრამით გათვალისწინებული არ ყოფილა.

ავერელ ჰარიმანის ჯილდო, როგორც მსოფლიოში დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილის ყველაზე პრესტიჟული და ღირსეული აღიარება, ყოველწლიურად ენიჭება ერთ ამერიკელ და ერთ უცხოელ მოღვაწეს. შარშან ამ ჯილდოს ლაურეატები გახდნენ აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი და ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო შეთანხმების რვა ლიდერი. მანამდე ჰარიმანის ჯილდო მიენიჭათ აშშ ყოფილ პრეზიდენტს ჯიმი კარტერს, აშშ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს უოლტერ მონდეილს, აშშ სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს, სენატორ ედვარდ კენედის. დღემდე აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ მოღვაწეთაგან ამ ჯილდოს ლაურეატობის პატივი მხოლოდ ჩეხეთის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს ხვდა წილად.

* * *

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ჰარიმანის ჯილდოს გადაცემის ცერემონიისთვის მომზადებულ ოფიციალურ დოკუმენტში, ედუარდ შევარდნაძის შესახებ ვკითხულობთ:

„1992 წელს, როდესაც ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, ეთნიკური ომებით გაწამებული მისი სამშობლო დეზინტეგრაციის პირას იყო მისული და ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ყოველივე ამას დაუპირისპირა დემოკრატიული ტრანსფორმაციის, ეროვნული შერიგებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პოლიტიკა.

დღეს საქართველო, ედუარდ შევარდნაძის ლიდერობით, გვთავაზობს ყოფილი სსრკ სახელმწიფოთა შორის დემოკრატიული განვითარების ყველაზე იმედისმომცემ მაგალითს.

საქართველო განაგრძობს ბრძოლას იმ გარე თუ შინაურ ძალებთან, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, და იმ წინააღმდეგობებთან, რომლებიც ემუქრება გრძელვადიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს. ამჟამად საქართველოში მოქმედებს დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული კონსტიტუცია, მშვიდობიანი არჩევნების გზით არჩეული პრეზიდენტი და პარლამენტი.

იმ ლიდერებისაგან განსხვავებით, რომლებიც პირადი იმიჯისათვის იღვწიან, პრეზიდენტი შევარდნაძე არჩეული გზის ერთგული რჩება. საქართველოში სულ უფრო ფართოვდება დამოუკიდებელი პრესა, მტკიცდება სამართლებრივი რეფორმები. ახლად არჩეული ადგილობრივი მმართველობის ორგანოები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ნაბიჯს დეცენტრალიზაციის პროცესში, არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვის გაზრდა კი ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებას გვაუწყებს.

საქართველო კვლავაც აგრძელებს პროგრესის გზით განვითარებას. მაგრამ პროგრესის მიღწევა და მომავლის იმედი მთლიანად ედუარდ შევარდნაძის დამსახურებაა. მამაცი ხელმძღვანელობისა და დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობისათვის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი სიამაყით ანიჭებს ედუარდ შევარდნაძეს პატივს — გახდეს ავერელ ჰარიმანის ჯილდოს 1999 წლის ლაურეატი".

ცერემონია გახსნა და სტუმრებს მიესალმა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პრეზიდენტი კენეტ ვოლაკი. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქმიანობისა და მისი ძირითადი ამოცანების შესახებ ილაპარაკა თავის გამოსვლაში ინსტიტუტის თავმჯდომარემ პოლ კერკმა. „დემოკრატია არ არის ცარიელი სიტყვა. ეს არის მისი არსის პრაქტიკული გაგება, რომელიც ცხოვრებაში ადამიანებმა უნდა განახორციელონ", განაცხადა პოლ კერკმა და ამ თვალსაზრისით გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის მადლობა გადაუხადა ჯილდოს ლაურეატებს — ედუარდ შევარდნაძესა და ჰილარი კლინტონს.

ედუარდ შევარდნაძე, როგორც ჰარიმანის ჯილდოს ლაურეატი, სტუმრებს წარუდგინა სენატორმა ედვარდ კენედიმ:

„მე მქონდა პატივი შევხვედროდი ბატონ შევარდნაძეს 2 წლის წინათ, თბილისში, სადაც ორდღენახევარი ერთად გავატარეთ. მან მაშინ მითხრა, რომ, თუ მსურს გულით გავუგო ქართველ ერს, უნდა წავიკითხო შოთა რუსთაველი, თანაც ... ქართულად.

„ვეფხისტყაოსანი" დაწერილია მე-12 საუკუნეში, მაგრამ აბსოლუტურად ეხმიანება დღევანდელ სინამდვილეს, მისი ზოგიერთი სტრიქონი კი — თავად ბატონ შევარდნაძეს. მისმა თავდადებამ, გამოასწორებინა ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, ყოველ ჩვენგანზე იმთავითვე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ გზაზე ედუარდ შევარდნაძემ ყოველი მორიგი შემხვედრის პატივისცემა დაიმსახურა. „ცივი ომი" დასრულდა და დასრულდა სწორედ მისი გაბედული და გამოცდილი წინამძღოლობის წყალობით. მსოფლიო ვალშია პრეზიდენტ შევარდნაძის წინაშე. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ მის მიერ გაწეულ ღვაწლს", განაცხადა სენატორმა კენედიმ.

შემდეგ ედვარდ კენედი შეეხო ედუარდ შევარდნაძის სამშობლოში დაბრუნების შემდგომ განვლილ გზას. „საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი საქართველოს დაბადების შემდეგ შევარდნაძე საკუთარ სამშობლოს დაუბრუნდა. ქართველმა ხალხმა ამაყად დაიბრუნა ერთხელ წართმეული დამოუკიდებლობა, მაგრამ თითქმის მაშინვე ქვეყანაში დიდი არეულობა დაიწყო. ქართველებმა იმედის თვალი შევარდნაძეს მიაპყრეს — ისინი იმედოვნებდნენ, რომ ბატონი ედუარდი დაამყარებდა წესრიგს ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოში და განახორციელებდა მთავრობაში ესოდენ საჭირო რეფორმებს. საქართველოს პრეზიდენტი პატრიოტული სულისკვეთებით წარუძღვა საქართველოს მთავრობასა და ქართველ ხალხს, ხშირად — საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად.

საქართველო უდიდესი ნდობით გამოეხმაურა ედუარდ შევარდნაძის შთამბეჭდავ წინამძღოლობას და 1992 წელს იგი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩია. 1995 წელს კი მან ხმათა 74 პროცენტი დააგროვა და საქართველოს პრეზიდენტი გახდა. პრეზიდენტ შევარდნაძის დემოკრატიული მრწამსის გამოხატულებაა ისიც, რომ არჩევნებზე დამსწრე საერთაშორისო მეთვალყურეებმა ამ არჩევნების თავისუფლება და სამართლიანობა დაადასტურეს. მისი ბრძნული წინამძღოლობის დამსახურებაა ისიც, რომ საქართველოში აღმავლობის გზაზე დგას დემოკრატიული ინსტიტუტები, ქართული პარლამენტი ძლიერია, ხოლო პრესა — ცოცხალი და დამოუკიდებელი. ეს არის ქვეყანა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციებს აქტიური ხმის უფლება აქვთ. საქართველომ შეძლო ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირება. იგი მაჩვენებელია იმისა, რომ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს აქვთ უნარი გადავიდნენ მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე, კომუნისტური სისტემიდან — თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ მიიღო ეს გამოწვევა და სძლია სირთულეებს. მან უარი თქვა რეფორმების სამომავლოდ გადადებაზე იმ მიზეზით, თითქოს რეფორმირება ხელს არ უწყობს სტაბილურობას. შევარდნაძემ უარყო ის აზრიც, რომ დემოკრატიულ გარდაქმნებს ათწლეულები და თაობათა ცვლა ესაჭიროება, და დაამტკიცა, რომ ასეთი დიადი მიზნების მიღწევა შეიძლება, თუკი არსებობს პოლიტიკური ნება და პოლიტიკური წინამძღოლობა.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მოსული ინფორმაცია ხშირად სასოწარმკვეთია, სიტუაცია — ძალზე არასახარბიელო... სხვა ქვეყნებში აშკარად ვხედავთ დემოკრატიულ უკუსვლებს და არა გამარჯვებას, დაქცეულ საზოგადოებას და არა მშვიდობას. სირთულეების მიუხედავად, საქართველო სტაბილურობის მიღწევის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია მიაღწიო სტაბილურობას და რომ ყოველივე ერთ ლიდერზეა დამოკიდებული".

გამოსვლის დასასრულს ედვარდ კენედიმ უშუალოდ ედუარდ შევარდნაძეს მიმართა: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენ შესაშური ოსტატობით წარმართეთ ეს ისტორიული ცვლილებები. მე ვიცი, რას იტყოდა ჯონ კენედი, აქ რომ ყოფილიყო. იგი თავის ცნობილ წიგნში „სიმამაცის პროფილები" ჩვენი თანამედროვეობისა და ყველა დროის გმირად მოგიხსენიებდათ...

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია თქვენთვის ამ ჯილდოს გადმოცემა. მე ვიცი, რომ საქართველოს მოქალაქეები ამაყობენ თქვენით. ვამაყობთ ჩვენც!", განაცხადა სენატორმა ედვარდ კენედიმ და დამსწრეთა ტაშის გრიალში ავერელ ჰარიმანის სახელობის ჯილდო გადასცა საქართველოს პრეზიდენტს.

ამის შემდეგ ტრიბუნა დაეთმო ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც გულწრფელი მადლობა გადაუხადა პოლ კერკს, იან ვოლაკს, ედვარდ კენედის, მთელ ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს მისი ღვაწლის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის, კეთილი სიტყვებისა და გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის.

„ავერელ ჰარიმანის პრემია მართლაც რომ „ოსკარია" მათთვის, ვინც თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეისადმი ერთგულება თავისი ცხოვრების უზენაეს პრინციპად აქცია. მეამაყება, რომ დღეიდან ვიკავებ ადგილს იმ ღირსეულ ადამიანთა შორის, რომელთა საქმიანობაც თქვენ წინა წლებში აღიარეთ", განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან ავერელ ჰარიმანის პრემია მიულოცა ამერიკის პირველ ლედის ქალბატონ ჰილარი კლინტონს. „მინდა თქვენთან ერთად კიდევ ერთხელ მივაგო ღირსეული პატივი მის დიდ ღვაწლს მეტად პასუხსაგები და კეთილშობილური საქმიანობისათვის მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ", განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და ამერიკის პირველი ლედი საქართველოში მოიპატიჟა: „საჯაროდ გიწვევთ, ჩამობრძანდით ჩვენთან და დარწმუნდებით, რომ თქვენთვის ღიაა ახლა უკვე არა მარტო საქართველოს საზღვარი, არამედ ქართველთა გულებიც".

„ამ ქალაქში, რომელიც თქვენი დიდი ქვეყნის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამის, მისი პირველი პრეზიდენტის სახელს ატარებს და სამართლიანადაა აღიარებული როგორც დემოკრატიის ციტადელი, და, მით უფრო, ინსტიტუტში, რომელიც ამ ძლევამოსილი იდეის გავრცელებასა და განვითარებას ემსახურება, ალბათ, ბუნებრივია, გამიჩნდეს სურვილი, გადავხედო იმ გზას, ამ ტრიბუნასთან რომ მომიყვანა.

ჩემთვის ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ დღევანდელი დღე იმდენად გამორჩეულია, რომ იძულებული ვარ, ზოგი რამ ძალზე მოკლედ მოგახსენოთ. ალბათ, გამიჭირდება, განვსაზღვრო, სად და როდის დაიწყო ეს გზა. ერთი რამ კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა. ეს იყო რთული და ფათერაკებით აღსავსე გზა. ცხადზე ცხადია, რომ ყოველი ჩვენგანი იმ ეპოქისა და იმ საზოგადოების შვილია, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა. ჩემი იდეური ჩამოყალიბების წლები მეოცე საუკუნის ყველაზე საზარელ დროს დაემთხვა. ეს იყო ეპოქა ისტორიის ყველაზე სისხლიანი მეორე მსოფლიო ომისა, რომელსაც ათეულობით მილიონი ადამიანის, მათ შორის, სამასი ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ამ ომში დაიღუპა ჩემი ძმაც.

ფაშიზმზე გამარჯვების ეიფორიამ მთელი მსოფლიო მოიცვა. კაცობრიობა თითქოს განიწმინდა, განთავისუფლდა ბოროტებისაგან, და რაოდენ ეფემერულიც უნდა ყოფილიყო ის ერთიანობა, მას შემდეგ არასდროს დამიკარგავს იმედი, რომ ადამიანთა დიდი ოჯახი, კაცობრიობა, როდესაც დაძლევს ფანატიზმით, შურით და სიხარბით აღმართულ ზღუდეებს, კვლავ გაერთიანდება, რათა უზრუნველყოს ყოველი პიროვნების თავისუფლება და ყოველი ერის თვითმყოფადი განვითარება. ეს, რაც შეეხება იდეალებს. ხოლო რეალური ცხოვრების გასავლელი გზა უფრო პროზაული და წინააღმდეგობრივი იყო. ვერ გეტყვით, რომ გარკვეულ ეტაპზე მე არ მწამდა კომუნისტური იდეოლოგიის მართებულობის. თუმცა გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ დოგმატიზმი და იდეოლოგიური სიხისტე ჩემთვის ყოველთვის მიუღებელი იყო.

იყო დრო, როცა მე მჯეროდა, რომ ხელისუფლებაში შემოქმედი ადამიანების მოსვლით და რეფორმების მეშვეობით ბოლშევიკური სისტემის გაადამიანურება და მისი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია. როცა მომეცა საშუალება, 70-იანი წლების საქართველოში, მე გადავდგი ნაბიჯები, რათა შემესუსტებინა იდეოლოგიური წნეხი კულტურისა და ხელოვნების სფეროში, ექსპერიმენტის სახით დამენერგა საბაზრო ეკონომიკის ელემენტები და ეკონომიკური სტიმულირების ფორმები, შესაძლებლობის ფარგლებში შემექმნა პირობები პრესისა და ტელევიზიის საშუალებით საზოგადოებისათვის უფრო გულახდილი და აქტუალური ინფორმაციის მიწოდებისთვის.

ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მე არასდროს ვარიდებდი თავს, როგორც ამერიკელები იტყვიან, ბალახის ფესვიდან თუნდაც საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგო ინფორმაციის მიღებასა და სათანადო დასკვნების გაკეთებას. ამიტომაც ჩავთვალე საჭიროდ შემექმნა იმ დროისათვის და იმ წყობაში ძალზე უჩვეულო საზოგადოებრივი აზრის კვლევის სისტემა. კორუფციასაც შევებრძოლე, მაგრამ სახელმწიფოში, სადაც ყველა ბერკეტი ბიუროკრატიას ეპყრა ხელთ, მისი დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. რა დასამალია, რომ დღესაც, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის პირობებში, ამ სენისაგან საზოგადოების განკურნება ჯერჯერობით ვერა და ვერ მოვახერხეთ, თუმცა, ვფიქრობ, რომ შორს არ არის ის დღე, როდესაც გარდატეხის მომსწრენი გავხდებით", განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა თავისი პიროვნული ევოლუციის პროცესს და აღნიშნა: „ყველაზე სწრაფად იგი 80-იანი წლების მეორე ნახევარში წარიმართა, როცა ბედმა მარგუნა ჩემს თანამოაზრეებთან ერთად სწორედ იმ იდეალების განსახორციელებლად მემუშავა, რომელთა შესახებ ადრე გითხარით. ჩვენ, ბუნებრივია, ვიცოდით, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობის დემოკრატიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ბიპოლარული დაპირისპირების დაძლევა და ცივილიზებულ ერთა გაერთიანება ახალი აზროვნების საფუძველზე. ვერ დაგისახელებთ ზუსტ თარიღს, მაგრამ საბჭოთა კავშირის გარდაქმნის ერთ-ერთ ეტაპზე მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იმპერიის და მასში არსებული საზოგადოებრივი სისტემის ტრანსფორმაცია მისი საბაზრო ელემენტების შენარჩუნებით შეუძლებელი იყო. იგი უნდა დანგრეულიყო და მის ადგილზე აღმოცენებულიყვნენ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული, იმპერიული ამბიციებისაგან სრულიად გათავისუფლებული, განახლებული რუსეთი. მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ ვიყავი ერთ-ერთი დამაარსებელი მოძრაობისა დემოკრატიული რეფორმებისათვის.

ახალი აზროვნების ამოქმედებას არაერთი გამარჯვება მოჰყვა. და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, მათ შორის, ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან, აღმოსავლეთ ევროპის ხავერდოვანი რევოლუციები და გერმანიის გაერთიანება. და მაინც, თუნდაც ბრალი დამდონ ეგოიზმში, ვიტყვი, რომ ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, ამ დიდი ძვრების ყველაზე ღირებული შედეგი ჩემი სამშობლოს — საქართველოს გათავისუფლება გახლდათ.

მაგრამ საქართველოსათვის დამოუკიდებელი არსებობის დაწყება ზედმიწევნით მძიმე მოვლენებთან აღმოჩნდა დაკავშირებული. პოლიტოლოგიის რომელიმე პროფესორს რომ სდომებოდა თავისი სტუდენტისათვის განემარტა სიტყვა „ქაოსის" მნიშვნელობა, ცხრა წლის წინანდელ საქართველოზე უკეთეს მაგალითს ვერ ინატრებდა. საქართველომ კატასტროფა თავიდან აიცილა და ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო. ამაში უზარმაზარი როლი შეასრულა ორმა ფაქტორმა — ხალხის ნებამ და მეგობრების დახმარებამ. ამ უკანასკნელთა შორის უპირველესი ადგილი ამერიკას ეკუთვნის, რომელმაც დახმარების ხელი საქართველოს მაშინ გაუწოდა, როცა არ იყო არც კასპიის ნავთობი, არც ტრანსკასპიური გაზსადენი, არც დიდი აბრეშუმის გზა და არც ტრასეკას პროექტი, არც „მშვიდობიანი კავკასია" და არც შავი და ბალტიის ზღვების ქვეყნების თანამშრომლობა. მაშინ, რატომ? — იკითხავს ის, ვინც ნებისმიერი სახის თანადგომას მხოლოდ გავლენის სფეროებისა და საკუთარი ნების თავს-მოხვევის კუთხით განიხილავს. ჩვენთვის პასუხი ცხადია: ამერიკა იყო და არის თავისუფლების სიმბოლო, მისი ქომაგი არა მარტო იმიტომ, რომ ეს პრაქტიკული და მომგებიანია, არამედ იმიტომ, რომ ზნეობრივად სწორია და სამართლიანი. თქვენი და სხვა მეგობრების ფასდაუდებელი დახმარებით შევძელით გაგვეგრძელებინა დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელება, თუმცა, თქვენთვის კარგად ცნობილმა ძალებმა ყველა ღონე იხმარეს ჩვენს გასატეხად, საქართველოს დასაჩოქებლად. პროვოცირებულ იქნა ეგრეთ წოდებული ეთნიკური კონფლიქტები, განსაკუთრებით, აფხაზეთში. პირადად მე ორჯერ დამესხნენ თავს მოსაკლავად და, იქნებ, კიდევ იყოს რაიმე ამის მსგავსი...

მაგრამ, კმარა, სულ წარსულსა და წარსულზე საუბარი. დღეს საქართველოს, ალბათ, ისე, როგორც არასდროს თავისი ისტორიის მანძილზე, შეუძლია იმედით იცქიროს წინ. ამ დარბაზში მე ბევრ ნაცნობ სახეს ვხედავ, მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობ იმათ მიმართაც, ვისაც არ ვიცნობ, ვინაიდან ვიცი, რომ ჩვენ ყველანი ერთ საქმეს, ყველაზე დიადსა და კეთილშობილურ საქმეს, უკეთესი მომავლის საქმეს, დემოკრატიას ვემსახურებით. ქართველები მოქეიფე ხალხი ვართ და გვიყვარს გრძელი სადღეგრძელოები. მე კი მოკლე სადღეგრძელოები მიყვარს და ერთ-ერთით დავასრულებ კიდეც ჩემს გამოსვლას. იმასაც ვიტყვი, რომ ასეთ სადღეგრძელოდ სწორედ რომ გამოდგებოდა პრეზიდენტ უილიამ ჯეფერსონ კლინტონის გამონათქვამი ამასწინანდელი ბრწყინვალე გამოსვლიდან გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე: „მაშ, მოდით, შემდეგი ათასწლეული ისეთ ეპოქად ვაქციოთ, რომელშიც ჩვენი შენებისა და შემოქმედების სურვილი საბოლოოდ დაძლევს ჩვენსავე უნარს დავანგრიოთ და გავანადგუროთ".

ჩვენსა და თქვენს, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების, ჩვენი ქვეყნების სწორედ ასეთ მომავალს გაუმარჯოს", განაცხადა სიტყვის დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ.

* * *

ჰარიმანის სახელობის ჯილდოს მეორე ლაურეატმა ჰილარი კლინტონმა თავის სამადლობელ სიტყვაში ყურადღება მიაპყრო მსოფლიოში ქალთა უფლებების დაცვის პრობლემას. იგი, ასევე, შეეხო დემოკრატიის თანამედროვე არსისა და გაგების თემას. ამერიკის პირველმა ლედიმ გულითადად მიულოცა ჯილდოს მინიჭება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

„მოხარული ვარ, რომ ამ დარბაზში თქვენთან ერთად ვიმყოფები, ბატონო პრეზიდენტო, და თქვენთან ერთად ვიზიარებ ამ წარმატებას, რომელიც დღეს ორივეს გვხვდა წილად", განაცხადა ჰილარი კლინტონმა და ამ დიდი პატივისა და აღიარებისათვის მადლობა გადაუხადა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს.

ცერემონიის დასასრულს, შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რომელმაც, უწინარეს ყოვლისა, მადლიერება გამოხატა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელების მიერ გაწეული საქმიანობისათვის. „მინდა მადლობა გადავუხადოთ იმისათვის, რომ ეს ჯილდო — ჰარიმანის სახელობის პრემია მიანიჭეთ ბატონ შევარდნაძეს. იგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და თითოეული ჩვენგანის მეგობარი და დემოკრატიის ქომაგია. დღეს მან გვიამბო საკუთარი თავის ისტორია — როგორ ეზიარა რწმენას, რომლისადმი მისი ერთგულება ახლა განუზომელია", განაცხადა ბილ კლინტონმა. აშშ პრეზიდენტის განცხადებით, „პრეზიდენტმა შევარდნაძემ გაუძლო ტერორისტულ თავდასხმებს, უკანონო სახელმწიფო გადატრიალებათა მცდელობებს, ეთნიკურ კონფლიქტებთან დაკავშირებულ სიძნელეებს საკუთარ ქვეყანაში. იგი განიცდიდა გარე და შიდა ძალების ზეწოლას. მის თვალწინ ეკონომიკა ჯერ დაეცა, ხოლო შემდეგ აღმავლობის გზას დაადგა. ედუარდ შევარდნაძემ ერთხელ ირწმუნა და შემდეგ ამ რწმენისათვის ზურგი აღარ უქცევია. ედუარდ შევარდნაძე განასახიერებს ფენომენს, რომელზეც საფუძვლიანად ჯერ, იქნებ, არც კი გვიფიქრია.

დღეს ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისათვის. მაგრამ, როდესაც დემოკრატია იქმნება, სამწუხაროდ, გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც მას საკუთარი მიზნებისა და ინტერესების სასარგებლოდ აბრუნებენ. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ კომუნიზმი აღარ არსებობს, მაგრამ კვლავაც არსებობს ძალაუფლებით ტკბობა, სიხარბეს ისევ მოსდევს სიძულვილი, ადამიანთა გულებში არსებული შიში მათ უბიძგებს დაჩაგრონ განსხვავებულნი რასის, რელიგიის ან ეთნიკურობის ნიშნით. ამ კაცს, პრეზიდენტ შევარდნაძეს, სახიფათო გზიდან არ გადაუხვევია მაშინაც კი, როცა რისკი უზომოდ დიდი იყო. მადლობას გიხდით, რომ ამ ყველაფრისთვის მას ეს ჯილდო მიანიჭეთ", განაცხადა დასასრულ უილიამ ჯეფერსონ კლინტონმა.

მაია ალუდაური,
ციური ბაჯელიძე,
საქინფორმის სპეც. კორ.
ვაშინგტონი — თბილისი.

მილოცვა ლაურეატებს.
სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

აშშ და საქართველოს პირველი ქალბატონები — ჰილარი კლინტონი და ნანული შევარდნაძე.
სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

ცხინვალი მხარს უჭერს რუსეთის მოქმედებას

სამხრეთ ოსეთი მხარს უჭერს რუსეთის მთავრობის ძალისმიერ აქციებს ჩეჩნეთში ისლამისტი ბოევიკების წინააღმდეგ.

ამასთან, როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ სტანისლავ კოჩიევმა, რუსეთის მოქმედება დაგვიანებულია. მისი თქმით, „მოსკოვს დღეს უწევს იმ შეცდომების გამოსწორება, რომლებიც დაუშვა ჩეჩნეთის მიმართ რამდენიმე წლის წინათ".

სამხრეთ ოსეთის პარლამენტის სპიკერმა იმედი გამოთქვა, რომ „რუსეთის ხელმძღვანელობის პოლიტიკა კავკასიაში მომავალში უფრო მიზანმიმართული იქნება".

ბენ ლადენი-და გვაკლდა!

საქართველოს სპეცსამსახურები ქვეყნის სხვა ძალოვან სტრუქტურებთან ერთად ყველა შესაძლო ღონისძიებას ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიით ჩრდილოეთ კავკასიაში ბოევიკების გადასვლისა და იარაღის შეტანის აღსაკვეთად, განუცხადა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტერორიზმთან ბრძოლის სამსახურის უფროსმა ლევან კენჭაძემ. მისი თქმით, ამ ამოცანის გადასაჭრელად ქართული მხარე მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს რუსეთის სპეცსამსახურებთან.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის ნიკოლაი პატრუშევის განცხადების კომენტირებისას იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ტერორისტის უსამა ბენ ლადენის გეგმაში შედის საქართველოს ტერიტორიით ჩეჩნეთში ისლამისტი ბოევიკების და იარაღის ტრანზიტი, კენჭაძემ თქვა, რომ საქართველოს სპეცსამსახურები „დაინტერესებული არიან ამასთან დაკავშირებით მიიღონ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია რუსი კოლეგებისაგან".

„ვიღაცას გართულება სურს"

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ კატეგორიულად უარყო მტკიცებები იმის შესახებ, რომ იარაღი შამილ ბასაევის და ხატაბის ბოევიკებს საქართველოდან მიეწოდება.

სამშაბათს მოსკოვში რუსეთის და საქართველოს შს სამინისტროების კოლეგიების ერთობლივ სხდომაზე თარგამაძემ აღნიშნა, რომ „ეს არ შეესაბამება სინამდვილეს, და ვიღაცას უბრალოდ სურს გაართულოს ურთიერთობა ორ მეგობრულ ქვეყანას შორის".

ქართველმა მინისტრმა დაგმო ტერორიზმი „რა ლოზუნგითაც უნდა ხორციელდებოდეს ტერაქტები და რუსეთის სუვერენიტეტის ხელყოფა" და განაცხადა, რომ თბილისი მზადაა „მჭიდროდ ითანამშრომლოს რუს კოლეგებთან ტერორიზმთან საბრძოლველად, რომელიც მიმართულია, როგორც რუსეთის, ასევე, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების ინტერესების წინააღმდეგ".

ამასთან, თარგამაძის აზრით, „ჩრდილოეთ კავკასიის, ჩეჩნეთის პრობლემები ვერ მოგვარდება, ვიდრე აფხაზეთის საკითხი სამართლიანად არ გადაწყდება".

„იტერა" მეტალურგიულ კომბინატს აამოქმედებს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ამოქმედების პერსპექტივის განსაზღვრისათვის საქართველოში ჩამოვიდა საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია „იტერას" მეტალურგიის განყოფილების უფროსი ფაგიმ ახმედიანი.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოში „იტერას" წარმომადგენლობის მეთაურმა თამაზ პატარიძემ აცნობა, სტუმარი ეწვევა რუსთავს, მოინახულებს საწარმოს საამქროებს. პატარიძის თქმით, არ არის გამორიცხული, რომ „იტერა" დათანხმდება საწარმოს მიაწოდოს ბუნებრივი გაზი.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

საქართველოს რესპუბლიკა
№262. ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 1999 წელი.

სახელმწიფო მინისტრი

საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტს ხუთი წელი შეუსრულდა

საქართველოს მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის მოლაპარაკებისა და ერთობლივი პროექტის საფუძველზე 1994 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი. პროექტს, რომელსაც აფინანსებენ ამერიკის საინფორმაციო სააგენტო, ადგილობრივი მმართველობისა და სახელმწიფო სამსახურის ბუდაპეშტის ინსტიტუტი და ევრაზიის ფონდი, ხუთი წელი შეუსრულდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა ამერიკის სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის დელეგაცია აკადემიის პრეზიდენტის სკოტ ფოსლერის ხელმძღვანელობით.

აკადემიის წევრები მონაწილეობენ სახელმწიფო მმართველობის დარგის სწავლებაში, კონსულტაციებსა და სამეცნიერო კვლევებში. საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტის პედაგოგთა უმრავლესობა სწორედ ამერიკის ეროვნული აკადემიის წევრია.

29 სექტემბერს დელეგაცია მიიღო საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ. შეხვედრაზე გამოიკვეთა ეროვნული აკადემიის საქართველოსთან შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები.

ვაჟა ლორთქიფანიძის განცხადებით, ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების წარმატება დიდად არის დამოკიდებული კადრების კვალიფიკაციაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტს, რომელმაც უნდა მოამზადოს ახალი ტიპის სახელმწიფო მოხელე — პიროვნება, რომელიც ერკვევა სახელმწიფოს მართვისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ თეორიებსა და სამართალში, საჯარო მართვის თეორიასა და ეთიკაში, მართვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ისტორიულ ასპექტებში.

ახალი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მშენებლობის პროცესში საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. მათი მომზადების საქმეში გაწეული დახმარებისათვის საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა მადლობა გადაუხადა ამერიკელ სტუმრებს და იმედი გამოთქვა, რომ თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

SIC!

აჭარის საბაჟო ბიუჯეტს პენსიებისა და ხელფასების ფულს არ აძლევს

(პირველი გვერდიდან)

აუკრძალა „აი-თი-ესის“ სერტიფიკატების აღება. ამით აჭარის საბაჟო იგნორირებას უკეთებს საქართველოს მთავრობასა და „აი-თი-ესს“ შორის 23 ივლისს ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბრიტანული კომპანია საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს ტვირთების წინასაიმპორტო კონტროლს.

აჭარის საბაჟოს მიერ ტვირთების იძულებით გაჩერებამ გამოიწვია იმპორტიორების შეშფოთება და იმპორტის შემცირება, რამაც ბიუჯეტს სოლიდური შემოსავლები დააკარგვინა. საბაჟო კანონმდებლობის ასეთი უხეში დარღვევის შედეგად, ბიუჯეტს შემოსავლების სახით ბოლო პერიოდში დაახლოებით 6-7 მილიონი ლარი დააკლდა. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ეს თანხა უშუალოდ აკლდება მოსახლეობის პენსიებს და ხელფასებს.

აჭარის საბაჟო სამმართველოს ამგვარ უკანონო ქმედებას საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი იმ ღონისძიებათა საპასუხოდ მიიჩნევს, რომლებიც საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ოპერატიულმა სამსახურებმა განახორციელეს აჭარის საბაჟოს მიერ გამოტარებული კონტრაბანდული, არასერტიფიცირებული ტვირთების მოძრაობის აღსაკვეთად. როგორც ცნობილია, ეს უკანონო ტვირთები ამჟამად დაკავებულია ფოთის საბაჟო ტერმინალის ტერიტორიაზე.

ამგვარი მოქმედებით, აჭარის საბაჟომ აშკარად გადაამეტა საკუთარ უფლებამოსილებას, რამაც სახელმწიფოს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალი მიაყენა. სახეზეა ეკონომიკური დივერსიის და საბოტაჟის კონკრეტული ფაქტი.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი მოუწოდებს აჭარის მთავრობას, მკაცრად მოსთხოვოს პასუხი კანონის დამრღვევებს, მიიღოს შესაბამისი ზომები აჭარის საბაჟო სამმართველოს მიმართ, რათა დაუყოვნებლივ აღდგეს კანონიერება, გათავისუფლდეს უკანონოდ დაკავებული ტვირთები, განუხრელად შესრულდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი.

პროკურატურა

ჯამიაშვილები და ფანტიაშვილები საქართველოს არასოდეს მოჰკლებია. ეს არის, — ზოგი საკუთარ ქონებას ანიავებდა, ზოგი კი — სახელმწიფოსას. საქართველოს საზღვაო სანაოსნოც ყუაზე სწორედ ისეთმა „დარდიმანდებმა“ დაიყვანეს, რომლებიც თაფლის კასრში ჩაყოფილ თითებს წამდაუწუმ ილოკავდნენ. პირდაპირ გამაოგნებელია ის ფაქტები, რომლებიც გუშინ პრესკონფერენციაზე საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელმა ზურაბ ცინცაძემ მოიყვანა. ყველას ჩამოთვლას ვერ შევძლებთ. მხოლოდ ორიოდეს გაგაცნობთ და დასკვნებს უჩვენოდაც მშვენივრად გამოიტანთ. მამ, ასე:

როგორ გაიყიდა 10-მილიონიანი გემები თითო დოლარად

1992 წელს ბათუმში ჩასულა ორი ინგლისელი: გლენ ლოქსტერი და კრის ალენი. ქართველ პარტნიორებთან ერთად მათ დაარსეს ფირმა „აჭარ-შეპინგი“, რომელსაც გადაეცა სამი გემი, — „ბროზ ტიტო“, „ბოლშევიკი კამო“ და „იუსუფ კობალაძე“. ქონება სრულიად საქართველოსი იყო, მაგრამ აჭარის უზენაეს საბჭოს არაფერი უკითხავს არც ქონების მართვის და არც ტრანსპორტის სამინისტროებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით, თითო გემი სულ ცოტა 10 მილიონი დოლარი მაინც ღირდა. ისინი ჯერ 4-4 მილიონ დოლარად შეაფასეს, სულ რაღაც ერთ კვირაში კი „აჭარ-შეპინგს“... თითო დოლარად მიჰყიდეს. საინტერესოა, რომ ერთობლივ ფირმაში ინგლისელებმა მხოლოდ ინტელექტი ჩადეს და ეს 10-მილიონიანი გემები ხელთ, ფაქტობრივად, მუქთად იგდეს.

ხუთი წელიწადი იმუშავეს ამ გემებმა. ფულიც ბევრი შემოიტანეს, მაგრამ სანაოსნოს ყულაბას არაფერი შემატეს. სხვები ჭამდნენ, თანაც ისე მადიანად, რომ იმ ხუთი წლის შემდეგ გემები ყელამდე ვალებში ჩაეფლნენ, ზურგზე 11 მილიონი დოლარი წამოიკიდეს და ლუზები ოკეანეებში უიმედოდ ჩაუშვეს. ყველასათვის მოულოდნელად, საოცრება სწორედ აქ მოხდა, — საზღვაო-სანაოსნომ კრედიტი აიღო და თითო დოლარად გაყიდულ გემებში მილიონები ჩაყარა.

ერთხელ ამ აბსურდული ფირმის ამბებში გასარკვევად საზღვაო სანაოსნოს იმჟამინდელი გენერალური დირექტორი ბიჭიკო ვარშანიძე ლონდონის ოფისშიც ჩასულა, მაგრამ თურმე „მფარველმა ძიებმა“ არც საბანკო ანგარიშებს გააკარეს და არც საბუღალტრო დოკუმენტებს...

გაჩუქებული ხომალდები შემდეგში საზღვაო სანაოსნომ კაბალური კრედიტით დაიბრუნა

ყოფილა კიდევ ასეთი ფირმა „შენონ-ენერჯი“, რომლის სახელითაც საზღვაო სანაოსნოს ლონდონის ოფისის ხელმძღვანელობა ფულს აფერისტულად ახრამუნებდა. ჩვენ ადრეც ვახსენეთ ვინმე ალექსანდრე ტყაბლაძე (იგივე ალექს ბლეიზი), რომელიც სანაოსნოს ქველმოქმედად მოევლინა; ორი გემი საკუთარი ფულით სინგაპურში გაურემონტა (ცხადია, მერე აინაზღაურა). და აი, მესამე გემის თანხა კი ცოტა დაუგვიანდა თუ არა, იგი დააპატიმრა. მოითხოვეს 1.600.000 დოლარი. ასეთი ფულის შოვნა უცბად არ შეიძლებოდა. ლონდონის ოფისმა თითქოს მოძებნა სხვა ფირმა, კერძოდ, „შენონ-ენერჯი“, რომელიც თანხას 30-პროცენტიანი სარგებლით იძლეოდა. ჯანდაბას, ოღონდაც დაპატიმრებული გემი გამოეხსნათ და აიღეს ეს კაბალური ვალი. სულ მალე იმ 30-პროცენტიანი სარგებლის გამო საფრანგეთში მეორე გემი დააპატიმრეს და გასესხებული 1.600.000-ის ნაცვლად 2.500.000 დოლარი მოითხოვეს. ეს კაპრიზიც აისრულეს.

ბოლოს გაირკვა, რომ გემების გამოსახსნელი ფული მოდიოდა ისევ და ისევ საზღვაო სანაოსნოს სალაროდან და არა გულშემატკივარ „შენონ-ენერჯიდან“, რომლის ანგარიშზეც მეორე დღესვე ფულს აგზავნიდა ჩვენივე შეილობილი ფირმა „ევრო-აზია“.

უბრალოდ, ამ მეთოდით მავანნი და მავანნი კიდევ უფრო ყვლეფდნენ ისედაც გაწირულ ქართულ ფლოტს.

პრესკონფერენციაზე მისულ ყველა ჟურნალისტს აინტერესებდა ის 10 პიროვნება, რომელთა წინააღმდეგ გამოძიებას საკმაოდ მყარი მტკიცებულებები აქვს და ალბათ, მალე მათ დასაპატიმრებლად სასამართლოს ბრძანებასაც მოითხოვს, მაგრამ ზურაბ ცინცაძემ კონკრეტულად არავისი გვარი არ დაასახელა, — გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, ამის გაკეთება არ შეიძლებაო. და მაინც... ფაქტების წარმოჩენისას ყველას მიანიშნა, თუ ვის რა ცოდვა ჰქონდა ჩადენილი საეჭვო ეპიზოდებში. მაგალითად, ერთგან თქვა: — ფირმა „ევრო-აზიიდან“ რომ ასლან აბაშიძის ფონდში ასი ათასობით დოლარი ირიცხებოდა, ნუთუ ეს აჭარის ლიდერმა არ იცოდაო? მეორეგან დაამატა: — ასლან სმირბამ რომ ლონდონიდან ფული წამოიღო, რატომ არ ამბობს, ვის ჩააბარაო?

გამოძიების მტკიცებით, ის 10 პირი, რომელთა თავზეც მავი ღრუბელი უკვე შეიკრა, ყველა მაღალი თანამდებობისაა. რაც მთავარია, არის მონაცემები, რომ მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. თუმცა აქ საგანგაშო სხვა რამეა. არჩევნები მოდის და ზოგი კი არა, ბევრი მათგანი პარლამენტში აპირებს მოკალათებას. რას იზამს მაშინ პროკურატურა? განმეორდება კიდევ კაკუბავას პრეცენდენტი? ძნელი საკითხავია!

ასეა თუ ისეა, გამოძიებას დადგენილი აქვს ის მექანიზმები, რომელთა მეოხებითაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჭამდნენ და ხრავდნენ. დადგენილი აქვთ იმ პირების ვინაობა, რომლებიც ამას აკეთებდნენ. ერთი ნაბიჯიღა დარჩა. როდის გადაიდგმება იგი?

მარტო 1992-94 წლებში აჭარის სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის სავცმოწყობილობების შესაძენად საზღვაო სანაოსნოდან გადაიქაჩა 3.612.948 დოლარი, ავტომანქანების საყიდლად კი - 1.698.925 დოლარი.

ბონდო გულიაშვილი.

პოზიცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

1999 წლის 9 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ მიიღო №1029 დადგენილება „რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“. კერძოდ, გააუქმდა რუსეთის ფედერაციის მთავრობის 1994 წლის 19 დეკემბრის №1394 დადგენილება საქართველოსთან, ისევე როგორც აზერბაიჯანთან, სამგზავრო და სატვირთო სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ.

რა თქმა უნდა, ყოველი სუვერენული სახელმწიფო უფლებამოსილია გადასინჯოს საკუთარი გადაწყვეტილებანი. მაგრამ, შემდგომი გართულებების თავიდან აცილების, სასაზღვრო რეჟიმის განსაზღვრისა და საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე ერთობლივი მოქმედების კოორდინირებისათვის საჭირო მექანიზმების შემუშავების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მხარეს მიმართა ნოტით ორმხრივი კონსულტაციების დაუყოვნებლივი გამართვის შესახებ. საქართველოს მხარის მიმართვა უპასუხოდ დარჩა.

რუსეთის მხარის შემდგომი მოქმედების შედეგად, რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე პრაქტიკულად შეუფერხებლად ხორციელდება მგზავრებისა და ტვირთის მოძრაობა. ირღვევა საპასპორტო რეჟიმიც. კერძოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქენი საზღვარს კვეთენ ისეთი ძალადაკარგული პასპორტებითა და სხვა დოკუმენტებით, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

ამრიგად, რუსეთმა თავს უფლება მისცა ცალმხრივი წესით შეეცვალა სასაზღვრო რეჟიმი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის იმ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის საწინააღმდეგოდ, რომლის შესაბამისადაც გადაკვეთისათვის სახელმწიფო საზღვრის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოსაზღვრე სახელმწიფოსთან ურთიერთმორიგების საფუძველზე.

რუსეთის მხარემ უგულებელყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი აფხაზეთის, საქართველო, ტერიტორიის ფარგლებში დახურული იყო ყველა სახის საერთაშორისო ტრანსპორტირებისათვის.

საქართველოს მხარემ, რომელმაც რუსეთის მთავრობის აღნიშნული მოქმედება მიიჩნია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებისა და ნორმების დარღვევად, საქართველოს სუვერენიტეტისადმი, საზღვრების ურღვევობის და სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებისადმი უპატივცემულობის გამოხატულებად, მტკიცე პროტესტი გამოთქვა.

გაოცებას იწვევს ის, რომ ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულია ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, დაღესტანსა და ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მდგომარეობის ფართომასშტაბიანი და მკვეთრი დესტაბილიზაციის ფონზე, რითაც სეპარატისტებს ფართო შესაძლებლობა ეძლევათ უკონტროლოდ გადაკვეთონ საზღვრები.

საქართველოს მხარე აგრეთვე თვლის, რომ რუსეთის მხარის ცალმხრივი მოქმედება ეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს სამიტების რეზოლუციებს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილების აშკარა დარღვევაა და კვლავ დაბეჯითებით მოითხოვს უახლოეს ხანში გამართონ ორმხრივი კონსულტაციები ამ საკითხის გადაწყვეტის, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნით.

თბილისი, 1998 წლის 28 სექტემბერი.

ამბობენ, მართალია?

ხმა სანაგვიდამ

(პირველი გვერდიდან)

იმასაც ამბობენ, ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ბატონი ასლანი ვახტანგს ბოლომდე არ ენდობა და სწორიც არის, რომ არ ენდობაო.

მე არ ვიცი, არის თუ არა ამ ჭორში სიმართლის რაიმე მარცვალი.

მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ბატონი ტუი (ასე ჰქვია ვახტანგ რჩეულიშვილს ახლობლობაში) ამ ბოლო დროს შემოდგომის ბუზივით იბინება, ანუ წონასწორობიდან გამოსულს ჰგავს.

სხვაგვარად ვერ ახსნი მის მოქმედებას, მაგალითად, გორში წინასაარჩევნო ვოიაჟისას (იქ იყრის კენჭს მაჟორიტარად), როცა ისეთი რამეები იკადრა, რაც საკადრისი არ არის.

მან იქ ნახევარი საქართველო სანაგვეზე გადასაგდებად გაიმეტა, პრეზიდენტი უშვერად ლანძღა, გორელებს სულ ის აძახებინა, ტუი, სტყუი, ემაგ პირით პური როგორ უნდა სჭამოო.

ყველა ნათქვამი ბუმერანგივით დაუბრუნდა.

თვითონ იქცია პირი სანაგვედ.

სანაგვიდან მოდენილი ხმა კი მართალი და სწორი ვერ იქნება.

იმის მთქმელს, რაც იმ დღეს ავტობუსზე ამძვრალმა ბატონმა ვახტანგმა ილაპარაკა, მე პირადად ხმას ვერ მივცემ.

როცა პოლიტიკოსი თავს ვერ იმორჩილებს, დინჯად ვერ განსჯის, მის თავს რაღაც ფარსაგია.

მერედა, ჩვენ, ამომრჩევლები, ელექტორატი, რა შუაში ვართ. მის თავს რომ რაღაც ფარსაგია (თავისი თავისთვის თავისი თავით დატეხილი), რა ჩვენი გადასახდელია?

ბარემ იმასაც ვიტყვი, კიდევ რას ამბობენ.

იმას ამბობენ, რომ ეს პარტიები, დღეს რომ ასლან აბაშიძისთვის იჭრიან ვენებს, ამას დიდი პოლიტიკური მოსაზრებით კი არა, უბრალო ანგარიშით იქმენო: მიაჩნიათ, რქებით მიწოლით პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შერყევა, უკან დაწევა, ერთი სიტყვით, ხელზე დახვევა წარმოუდგენელია. აი, თუ პრეზიდენტად ასლან აბაშიძე გავიდა, მას კი იოლად ვათამაშებთო.

ეს ხმა თუ ჩემამდე მოვიდა, ბუნებრივია, უფრო ადრე „აღორძინების კავშირის“ ხელმძღვანელამდე მივიდოდა. ამიტომ, იქნებ მართალიცაა ჭორი ასლან აბაშიძის უნდობლობის შესახებ თავისი დღევანდელი პოლიტიკური მოკავშირეების მიმართ?

აკი ნათქვამია, ტაშტი გატყდა, ხმა გავარდაო...

ბასა მდივანი.

არჩევნების წინ

„შტურმოვიკები“ და „პაპარაცები“

(პირველი გვერდიდან)

წალკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსი სამორიანიდისმა კომისიას მოახსენა აღნიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიაში მომხდარი ინციდენტის შესახებ: როგორც მან აღნიშნა, კომისიის ერთ-ერთი სხდომის დროს მისმა წევრმა სოციალისტებმა და ტრადიციონალისტებმა არ მისცეს კომისიას ნორმალურად მუშაობის საშუალება (მათ ეჭვი შეიტანეს კომისიის მუშაობის კეთილსინდისიერებაში). ეს უკმაყოფილება იმით დაგვირგვინდა, რომ წალკის საარჩევნო კომისიის შენობას დაახლოებით 15-მა ავტომანქანამ ალყა შემოარტყა. ცენტრიდან ჩამოსულები არაფერს ერიდებოდნენ, — ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებასაც კიო, — აღნიშნა მან.

დაუპატიჟებელ სტუმრებს მოგვიანებით არც ასევე დაუპატიჟებელი ჟურნალისტები, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ახლადგამომცხვარი „პაპარაცები“ ჩამორჩნენ და კომისიის თავმჯდომარე შუაღამისას თურმე ლოგინიდან წამოაგდეს, ინტერვიუ მოგვეციო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა და რწმუნებულებმა სხვადასხვა პარტიებიდან (განსაკუთრებით, ინციდენტში მოხსენიებული პარტიებიდან) ამ ამბავს დიდი ვნებათაღელვა მოაყოლეს და, როგორც მოგახსენეთ, ერთმანეთს დაერივნენ.

საბოლოოდ ასე გადაწყდა: აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შეიქმნას სპეციალური კომისია და დაევალოს მას ამ საკითხის უმოკლეს ვადაში შესწავლა.

ასევე დამაინტრიგებელი იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსული ორი განცხადება, რომელთაც ავთანდილ მარგიანი აწერს ხელს. პირველ განცხადებაში იგი მოითხოვს ბლოკ „აღორძინებული კომუნისტებისა და სახალხო პატრიოტების“ საპარლამენტო არჩევნებიდან მოხსნას. მეორე განცხადებაში უარყოფს პირველს და აღნიშნავს, ხელმოწერა ჩემი არ არისო.

გადაწყდა: ხელმოწერის სიზუსტის გარკვევა პროკურატურას დაევალოს.

სხდომამ მცირეოდენი შესწორებებით დაამტკიცა წესი საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის ფორმების დადგენის თაობაზე. ასევე — საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაციის თაობაზე. ორივე ეს საკითხი პრესასთან და საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის განყოფილებამ წარმოადგინა (განყოფილების გამგე ნანა სანებლიძე).

მეთვალყურის სტატუსის მისაღებად საარჩევნო კომისიაში 15-მა ორგანიზაციამ შემოიტანა განცხადება. მათგან ეს სტატუსი მიენიჭა მხოლოდ ორს: „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას“ და „საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრს“.

მეთვალყურის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელი პირობაა: ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარებული იყოს არაუგვიანეს 1998 წლის 1 იანვრისა და წესდებაში ეწეროს, რომ მისი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა არჩევნებში მონაწილეობა და მეთვალყურეობა.

სხდომამ დაამტკიცა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის, საუბნო საარჩევნო კომისიის სახელმძღვანელოს, ზოგიერთი საარჩევნო ფორმის დამტკიცების შესახებ საკითხები, რომლებიც დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული.

მარიამ ხურციძე.

ვის მოხვდება „ბორჯომის“ ბოთლი ქვეყანაზე ზრუნვით დამძიმებულ თავში?

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რამ აიძულა სხვადასხვა ორიენტაციისა და მიმართულების პარტიები ერთ წინასაარჩევნო ბლოკში გაერთიანებულიყვნენ. საუბარია ბათუმურ ბლოკზე, რომელშიც ერთად „თანაცხოვრობენ“ სოციალისტები და ტრადიციონალისტები, ზვიადისტები და პოსტკომუნისტები და ა. შ. თუმცა ამ ალიანსში შესვლის დროს თითოეულ მათგანს თავისი მიზნები ამოძრავებდა. აი, მაგალითად, ტრადიციონალისტები „აღორძინების“ სტაჟიანი მეგობრები არიან. ჯერ სხვა პარტიებმა ბათუმის გზაც კი არ იცოდნენ, როცა აკაკი ასათიანი ასლან აბაშიძესთან პოლიტიკურ კონსულტაციებს აწყობდა. ამიტომაც, მისი ბათუმში „დაბინავება“ გასაკვირი არც არავისთვის უნდა ყოფილიყო, თუმცა ახლა თვით ტრადიციონალისტთა ლიდერი ბლოკში შესვლის სხვა განმაპირობებელ მიზეზებზეც საუბრობს. აკაკი ასათიანი თვლის, რომ ქვეყანაში ვითარება კარდინალურად არის შესაცვლელი და ეს მხოლოდ „აღორძინების“ ბლოკს ძალუძს. მისი აზრით, ბლოკში შემავალ თითოეულ პარტიას დამოუკიდებლადაც შეეძლო 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა, თუმცა თითოეული მათგანი 15 მანდატზე მეტს ვერ მოიპოვებდა. შესაბამისად, მომავალ პარლამენტში თითოეულს მხოლოდ პოზიციების დაფიქსირების საშუალება მიეცემოდა და არა რაიმე ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისა. ხოლო გაერთიანების შემდეგ გამარჯვების შანსები ერთიორად იზრდება. ა. ასათიანის პროგნოზით, 7-პროცენტიანი ბარიერი შესაძლებელია „აღორძინების“ ბლოკისა და მოქალაქეთა კავშირის გარდა, კიდევ 4-5 პარტიამ გადალახოს. ხოლო რაც შეეხება მომავალ მმართველ ძალას, ასეთად მათ, რაღა თქმა უნდა, ბათუმური ბლოკი მიაჩნიათ. იმასაც დასძენს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ისინი მოქალაქეთა კავშირს მხოლოდ 10 მანდატით თუ აჯობებენ.

თუ, რა თქმა უნდა, ტრადიციონალისტთა ლიდერის ეს პროგნოზი გამართლდა და აღორძინების ბლოკმა მართლა გაიმარჯვა, ზოგიერთები მის დაშლა-დაქუცმაცებას უწინასწარმეტყველებენ. აკაკი ასათიანი კი ამ მოსაზრებას სკეპტიკურად უყურებს: თუნდაც იმიტომ არ დაიშლება, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩვენს კანდიდატს უნდა გავამარჯვებინოთო. ამის შემდეგ კი უკვე მინისტრები გვეყოლება დასანიშნი. ასე რომ, ჩვენ საერთო ინტერესები გვაერთიანებს და ძნელი საფიქრებელია, ბათუმური ბლოკი დაიშალოსო...

ალბათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ ბლოკმა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე „მიდა ქარტეხილებს“ მართლაც გაუძლო, აი, მინისტრების დანიშვნისას კი შეიძლება ერთმანეთს მხოლოდ „ბორჯომის“ ბოთლები არ დაუშინონ. ისე კი, პროგნოზისტები საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც უკვე ბლოკში სერიოზული განხეთქილებების დაწყებას ვარაუდობენ. ეს უპირველესად, დაკავშირებული იქნება საქართველოს მომავალი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტთან. არადა, ბათუმურ ბლოკში როლები უკვე განაწილებულია:

ასლან აბაშიძე — პრეზიდენტი, ჯუმბერ პატიაშვილი — პრემიერ-მინისტრი (ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობამი მოსული „აღორძინება“ კონსტიტუციას შეცვლის და მინისტრთა კაბინეტის ინსტიტუტს საქართველოში კვლავ აღადგენს). რჩება მესამე „მსუყე“ თანამდებობა — პარლამენტის თავმჯდომარეობა. ამ პოსტზე კი პრეტენზია, შეიძლება, ჰქონდეს ვახტანგ რჩეულიშვილს, რომელსაც სულ ახლო წარსულში ვიცე-სპიკერის პოსტი ეკავა და ნამდვილად არ არის წინააღმდეგი მომავალ პარლამენტს უხელმძღვანელოს. მეორე რეალური კანდიდატი გამსახურდიას მმართველობის დროს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანია, რომელიც დღეს უარს აცხადებს ყოველგვარ თანამდებობაზე (ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტებს ასე ეუბნება) და თავის მთავარ მიზნად ქვეყნის გადარჩენას მიიჩნევს. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ანუ, თუ „აღორძინება“ მართლაც გაიმარჯვებს, არავინ იცის, რჩეულიშვილი და ასათიანი ისევე იოლად მორიგდებიან თუ არა, როგორც ეს პატიაშვილისა და აბაშიძის შემთხვევაში მოხდა (როცა ყოფილმა პირველმა მდივანმა აჭარის ლიდერს „პრეზიდენტობა დაუთმო“.). ისე კი, ალბათ, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე ორივე შესაძლო კანდიდატისათვის (აღორძინების გამარჯვების შემთხვევაში) გასათვალისწინებელია დავით სალარიძის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, ამოტივტივება. როგორც ცნობილია, ყოფილი სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარეობას უმიზნებს და, როგორც ამბობენ, მას მხარს უჭერს როგორც ასლან აბაშიძე, ისე ედუარდ შევარდნაძეც. ასე რომ... საქმე საკმაოდ რთულად არის. და არავინ იცის, არჩევნების წინ თუ შემდეგ რომელი პოლიტიკოსის მიერ ნასროლი „ბორჯომის“ ბოთლი ვის მოხვდება ქვეყანაზე ზრუნვით დამძიმებულ თავში.

ბექა ძიდია.

ბათუმური ბლოკის რჩეული გორში ჩაფლავდა

ცამოწმენდილზე არანაირი საავდრო ღრუბლები არ ჩანდა. წინადღით, 27-ში, ახალგაზრდობის დღე უნდა ეზეიმათ, მაგრამ ამ დღეს სოხუმი დაეცა, საქართველოსთვის შეწირული ქიული მარტგავას სიცოცხლეც იმ დღეს დაიფერფლა. ამის გამო ზეიმი გორელებმა მეორე დღისთვის გადაიტანეს.

მეორე დღეს კი, 28 სექტემბერს, ქალაქის მთავარ მოედანზე მოსწავლე-ახალგაზრდობის ძალებით დიდი სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა. ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს ამბობდნენ, ერთმანეთს მკლავჭიდში ეჯიბრებოდნენ და ის იყო, მოსწავლეთა გაერთიანებულმა გუნდმა დააგუგუნა მრავალჟამიერი, რომ ცამოწმენდილზე მეხივით გავარდა, — ვილაცეები მოდიანო.

უცხოური ავტობუსების კოლონა მოედანზე შემოვიდა. მანქანების სახურავებზე დამონტაჟებულ ბაქნებზე უცნობი ადამიანები იდგნენ და რაღაცას გაიძახოდნენ. სხვები კი ცისფერ დროშებს აფრიალებდნენ.

მოედანზე შეკრებილი ახალგაზრდობის ზეიმის ორიათასამდე მონაწილე შეცბა და გაირინდა. მოულოდნელობის ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, რომ ხალხის მთელი ის გუნდი, ავტობუსებს რომ მოჰყვებოდა, ჯერ უცხოპლანეტელები ეგონათ, შემდეგ შიგადაშიგ გაისმა შეძახილები: „ეს ხომ ვახტანგია?!“ „ეს ხომ ჯუმბერია?!“ ეს ხომ... და ა. შ. და ა. შ.

მართლაც, ვახტანგ რჩეულიშვილი, ბათუმური ალიანსის მიერ გორში მაჟორიტარად გამწესებული კანდიდატი, შუაგულ ხალხში მოდიოდა და მისალმებასა და ღიმილს უმისამართოდ აფრქვევდა, კანდიდატს უკან მისი პარტიული ამფსონები მოჰყვებოდნენ.

ესტრადაზე გამოსული ბავშვები წუთიერი დაბნეულობის შემდეგ სწრაფად მოეგენ გონს და კვლავ ამღერდა უზარმაზარი მოედანი.

დაუპატიჟებელი სტუმრები ელოდნენ, ელოდნენ და როცა დარწმუნდნენ, ახალგაზრდობის გართობის საღამო კიდევ დიდხანს გაგრძელდებაო, მოულოდნელად ვახტანგ რჩეულიშვილი შეხტა ავტობუსის თავზე და მიკროფონში ისტერიულად ყვიროდა, ატეხა:

„მოქალაქეთა კავშირი — სანაგვეზე!“ „მოქალაქეთა კავშირი — სანაგვეზე“ და დღევანდელი ხელისუფლება და ქვეყნის პრეზიდენტი უშვერი სიტყვებით მოიხსენია.

საქართველოს ხვალინდელ დღეზე გადაგებულმა „აღორძინების კავშირმა“ გორელ ბავშვებს ის დღე ჩაუშხამა. „სტუმრებმა“ ნახეს, რომ ისინი არავის სჭირდებოდა, ამიტომ მოხსნეს ქალაქის მთავარ მოედანს ალყა და ავტობუსებმა ნელ-ნელა დატოვეს იქაურობა. ავტობუსების თავზე შემდგარი სტუმრები, მეტადრე ქალბატონები, მუშტების ქნევითა და „რქიანებოს“ ძახილით (ალიანსის ქალები თან ხელებით თავზე „რქებს“ იდგამდნენ: აი, ასეთებოოო) გავიდნენ მოედნიდან.

მოედანზე შეკრებილებმაც, მეტი რომ არა ვთქვათ, „გულთბილად“, — სტვენით გააცილეს სტუმრები და მასპინძლობის ეტიკეტიც არ დაივიწყებიათ, მიაძახეს, — ხშირად შემოიარეთო.

ვახტანგმა და მისმა ნაზირვეზირებმა (მოსვენებას არ მაძლევს ნაცნობი სტრიქონები: „ვერ მოჰკლა ფური, ვერც ხარი — ვაზირნი რას იტყვიანო!“) თეატრის სკვერს შეაფარეს თავი და იქ „გამაგრდნენ“.

ერთხანს იქიდან ისმოდა ვახტანგ რჩეულიშვილის ომახიანი ხმა, ოთხი წელიწადი გმინავდით „მოქალაქეთა“ უღელქვეშ“ და ოთხი კვირაც როგორმე გაძელით, მოვდივართ, რომ გამოგიხსნათო. ბოლოს, ეტყობა, ფერადი დაპირებები თავად ვახტანგსაც მოსწყინდა (კიდევ უფრო ადრე — იქ შეკრებილ მსმენელებს) და „სტუმარ-მასპინძლები“ ერთმანეთს უხალისოდ დაშორდნენ.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაშინაც არ შემშინებია, როცა გებელსმა ისეთი სიყვარული შემომთავაზა, როგორიც ჩემთვის სრულიად უცხო იყო“

გვიამბობს თავის მემუარებში ლიდა ბაროვა, მესამე რაიხის მთავარი იდეოლოგის საყვარელი

ჰიტლერი

ერთხელ, ფილმის „ბარკაროლას“ გადაღების დროს კამერა გაჩერდა, ყველა აფუსფუსდა, ვიღაცამ იყვირა: „ფიურერი!“ ფიურერი მოდის!“ ქალებმა ვარცხნილობის შესწორება დაიწყეს, სახეზე ყველას ხელოვნური ღიმილი აღებეჭდა, მე შემრცხვა, მინდოდა, დავმალულიყავი. მაგრამ რეჟისორმა მსახიობების წინა რიგში შემაგდო. ერთ წამში ჩემს წინ უკვე ჰიტლერი იდგა, ვხედავდი ყველასთვის ცნობილ მის პატარა ულვაშებსა და ქოჩორს. ჰიტლერმა რაღაც მითხრა, მაგრამ ვერაფერი გავიგე და უბრალოდ თავი დავუკარი. მეორე დღეს რეჟისორის ასისტენტი მომიახლოვდა და მითხრა: „პანი ბაროვა, ჰიტლერთან ჩაიზე ხართ დაპატიჟებული!“ „ვერ წავალ, გადაღება გვაქვს – მართლა მეშინოდა ჰიტლერის, მაგრამ რეჟისორმა გადადო გადაღება. მთელი ჯგუფი არჩევდა ჩემთვის საუკეთესო კაბას...

გრძელ დერეფანს მივუყვებოდი, ყველგან ოფიცრები იდგნენ. ჰიტლერი მაგიდას მოსცილდა, შემომეგება, გაიღიმა და ხელი ჩამომართვა. როცა ჩემი ქუდი შეაქო, ცოტა დავმშვიდდი...

– თქვენი ოჯახი რატომ არ ჩამოდის ბერლინში? – მკითხა ჰიტლერმა.

– პრაღაში ურჩევნიათ, მე კი ბერლინი მომწონს. აქ კარგ როლებს მაძლევენ.

– არ გინდათ, გერმანელი გახდეთ?

– მე ჩეხი ვარ, თქვენ ეს გაწუხებთ?

– როდესაც სტუდიაში მოვედი და დაგინახეთ, გავშეშდი. შინ რომ დავბრუნდი, დიდხანს ვათვალიერებდი ფოტოებს ჩემი არქივიდან. თქვენ ანგელიკა რუბანოვეას ასლი ხართ. იგი ვენაში ცხოვრობდა. ეს იყო 1931 წელს. ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი. იგი ჩემი ერთადერთი „სლავური სიყვარულია“. ანგელიკა ავსტრიელი იყო, წარმოშობით – ჩეხი. სამწუხაროა, მაგრამ ცოტა ხნით წინათ, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ერთი კვირის შემდეგ ჰიტლერმა კვლავ მიმიწვია ჩაიზე. საუბარი ისევ ჩემი ქუდის შექებით დაიწყო. მე სევდიანად გავიღიმე, ჰიტლერმა თვალი თვალში გამიყარა და მკითხა: „თქვენ ნამტირალევი ხართ?“

მართლაც ვტიროდი შეხვედრის წინ. არ მინდოდა ჰიტლერთან წასვლა, მეშინოდა მისი, მაგრამ რეჟისორმა მაიძულა, დამემუქრა, რომ ფილმს დახურავდა და ყველას დაგვითხოვდა.

– დიახ, ვიტირე.

– აღარ შეგაშინებთ და აღარც ჩაიზე მოგიწვევთ. მინდა, სამახსოვროდ დაგრჩეთ ჩემგან მცირეოდენი საჩუქარი.

ბაროვა ჰიტლერს მოაგონებდა მის ერთადერთ „სლავურ სიყვარულს“.

ჰიტლერმა გაალო უზარმაზარი სეიფი და იქიდან ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი გამოიღო.

– ეს თქვენ. სამი წლის წინათ ვიყიდე ანგელიკასთვის, მაგრამ იგი ცოცხალი აღარ არის, მე კი ვერ მოვასწარი მისთვის მეჩუქებინა. თქვენ მას ჰგავხართ, ამიტომ თქვენ გიძღვნით და ვეთხოვები ჩემს „სლავურ სიყვარულს“.

ჰიტლერს პირისპირ მეტი აღარ შევხვედრივარ. რამდენიმე თვის შემდეგ ბანკეტზე, სადაც ჩემს საყვარელთან, გერმანელ მსახიობ გუსტავ ფრელიხთან ერთად მივედი, ჰიტლერმა მიიხმო გუსტავი, თითი ჩემკენ გამოიშვირა და უთხრა:

– ვიცი, რომ აწვალებთ მას. აღარ გაბედოთ ამ ქალის აბუჩად აგდება, არ მინდა, რომ იგი ტიროდეს.

გუსტავი მართლა მაწვალებდა, და ჰიტლერმა, უეჭველია, იცოდა ეს. ბევრი ოთახი ხომ ისმინებოდა, მე და ფრელიხი კი სულ ვჩხუბობდით.

ამ შეხვედრის შემდეგ, მთელი ღამე ტირილში გავატარე. ვიწექი საწოლში, ვიგონებდი ჰიტლერს და ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორი უსამართლო ვიყავი მის მიმართ. მაგრამ მასში ვერ ვგრძნობდი მამაკაცს. ჩემთვის იგი მხოლოდ ფიურერი იყო.

გებელსი

იოზეფ გებელსს პირველად 1936 წელს შევხვდი ბერლინის ოლიმპიადის დამთავრების აღსანიშნავ დარბაზობაზე. იგი არ იყო ლამაზი, მაგრამ ჰიტლერისაგან განსხვავებით მასში ნამდვილი მამრი იგრძნობოდა. გებელსი ცოტა კოჭლობდა, მაგრამ ეს მხოლოდ მომხიბვლელობას ანიჭებდა.

ჩვენ სპორტზე ვსაუბრობდით. მოულოდნელად გებელსმა მირჩია, რაც შეიძლება მეტი ვაშლი მეჭამა. მან განაცხადა, რომ მე „მსუქანი სლავი ქალი ვარ“. მეწყინა, იოზეფმა შენიშნა ეს და ყველაფერი ხუმრობაში გადაიტანა. მითხრა, რომ თავადაც სპეციალურად გასუქდება, რომ მერე ერთად ვჭამოთ ვაშლები. ორივეს გაგვეცინა. და მოსალოდნელი კონფლიქტიც ამოიწურა. საუბრის დროს გებელსი თითქოს თვალებით მბურღავდა. ეს მზერა ყველა ქალისათვის არის ნაცნობი.

შემდეგ შემთხვევით ქუჩაში შევხვდით ერთმანეთს. გებელსს ახლდა მისი ოთხი ქალიშვილი, რომლებიც მე ძალზე მომეწონა. დღემდე ვფიქრობ, რომ გებელსი ჩინებული და ერთგული მამა იყო. ისიც, რომ სიკვდილის წინ ოჯახს სიცოცხლე მოუსწრაფა, სავსებით გასაგებია. მას ისინი ისე უყვარდა, რომ ესმოდა – სიკვდილი ყველაზე იოლი სასჯელი იქნებოდა მათთვის იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა მერე მოსვლოდათ – ცოცხლები რომ დარჩენილიყვნენ.

თურმე მე და გებელსი გვერდი-გვერდ სახლებში ვცხოვრობდით. მან მთხოვა მეჩვენებინა მისთვის ჩემი სახლის განლაგება. სახლს ორი საათის განმავლობაში ვათვალიერებდით. ვიცოდი, რომ უბრალო მეგობრებად არ დავრჩებოდით.

იმავე საღამოს სახლში მომაკითხა გებელსის მცველმა და მითხრა, რომ იოზეფი მელოდებოდა ბანკეტზე, რომელიც გაიმართა ფილმის „მოღალატის“ პრემიერის შემდეგ. მე და იოზეფი ერთ მაგიდას ვუსხედით. სცენაზე ასრულებდნენ არიას ოპერეტიდან. მსახიობი მღეროდა: „შეყვარებული ვარ, შეყვარებული ვარ...“ გებელსი დაიხარა და ყურში ჩამჩურჩულა: „მეც შეყვარებული ვარ...“

მთელი ღამე ემხიარულობდით, ვცეკვავდით, გებელსს მოჰქონდა და მოჰქონდა შამპანურის ბოთლები. ორივემ ვიცოდით, რომ დილამდე ერთად ვიქნებოდით.

გებელსს ახლდა მისი ოთხი ქალიშვილი. გებელსი ჩინებული და ერთგული მამა იყო.

საძინებელი მის სახლში ფართო იყო, საწოლს თითქმის მთელი ოთახი ეკავა. კედლები ნაზ სალათისფრად იყო შეღებილი.

– ფიურერის პორტრეტი სადღაა? – გამეცინა მე.

გებელსმა არაფერი არ მიპასუხა, უბრალოდ ტუჩებში მაკოცა.

მე ნეტარების მწვერვალზე ვიყავი. ის, რასაც იოზეფთან ლოგინში ვგრძნობდი, აღარასოდეს აღარ განმიცდია. გებელსი ნაზი და ვნებიანი იყო. იგი მთელ სხეულს მიკოცნიდა, და ყველაფერს აკეთებდა, რომ უწინარეს ყოვლისა, ჩემთვის მოენიჭებინა სიამოვნება. ხოლო, როცა ისეთი სიყვარული შემომთავაზა, როგორიც ჩემთვის უცხო იყო, არ შემშინებია. თავს სამოთხეში ვგრძნობდი.

მთელ ღამეს სიყვარულით თრობას ვეძლეოდით, და რომ არა ჰიტლერთან დილის თათბირი, იოზეფის ვნებას ვერაფერი დააოკებდა.

დილით საწოლში მომიტანა ხილი.

– ფიურერთან მივდივარ, საღამოს ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

ამჯერად გებელსმა მიმიწვია იქ, სადაც სიტყვა უნდა წარმოეთქვა. მე უარს ვამბობდი, მაგრამ მან მითხრა:

– ხშირად მინახიხარ კინოში, შენ კი არც ერთხელ არ გინახივარ ტრიბუნაზე. სიამოვნებით დავრჩებოდი შენთან, მაგრამ ხალხი მელოდება.

პარტიის ყრილობაზე პირველ რიგში ვიჯექი. პრაქტიკულად არაფერი არ მესმოდა, მაგრამ აღფრთოვანებული ვიყავი იმით, თუ როგორ გამოდიოდა იგი. იოზეფის სიტყვა მომნუსხველად მოქმედებდა პუბლიკაზე. შეყვარებული ვიყავი ამ ძლიერ, ძალაუფლების მქონე მამაკაცზე. ტაში ოც წუთს გრძელდებოდა. სავარძელში ვიჯექი და ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდიოდა. ბედნიერებისათვის მეტი არც არაფერი მჭირდებოდა.

კინო – ჩემი სამუშაო, იოზეფი – ჩემი სიყვარული.

... ერთხელაც ტელეფონმა დარეკა. გებელსი იყო, ხმაათრთოლებული, დაბნეული მელაპარაკა.

– ჩემი ცოლი კუდიანია, ფიურერთან წავიდა. უამრავი სისულელე უთხრა. მან ბრალად დაგდო ის, რომ შენ ჩვენი ოჯახი დაანგრიე. ჰიტლერმა გამომიძახა. მასთან უნდა წავიდე... რა საშინელებაა.

გებელსი ჩემს პასუხს არ დაელოდა და ყურმილი დაკიდა.

მივხვდი, რომ რაღაც საშინელება მოხდებოდა. მთელ ღამეს არ მეძინა. ახალ ზარს ველოდი. გებელსმა გამთენიისას დარეკა. იგი ტიროდა.

– ეს საშინელი სანახაობა იყო. ფიურერი ყვიროდა, ხელებს იქნევდა...

გებელსი დადუმდა. მე სუნთქვა შემეკრა.

– მისმენ? – იკითხა გებელსმა.

– ჰო.

– ჰიტლერმა პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, რომ აღარასოდეს აღარ განახავ. აღარასოდეს. ჰიტლერმა თქვა, რომ პროპაგანდის მინისტრი სამაგალითო უნდა იყოს რაიხისათვის და არ უნდა ჰყავდეს საყვარელი, მით უმეტეს, სლავი.

– მესმოდა, როგორ მძიმედ სუნთქავდა. სინამდვილეში რამ შეაწუხა გებელსი? იმან, რომ აღარ უნდა შემხვედეს, დაივიწყოს თავისი სიყვარული? თუ იმან, რომ მას ფიურერი უყვიროდა?

დილით დანიშნული იყო ახალი ფილმის გადაღება. არსად არ წავსულვარ. ნერვული სტრესის შემდეგ არაფრის გაკეთება არ შემეძლო. ჩემი კონტრაქტი დაარღვიეს და აღარასოდეს აღარ გადამიღია არც ერთ გერმანულ ფილმში.

საღამოს წავედი დოსტოევსკის მიხედვით გადაღებული „მოთამაშის“ პრემიერაზე. ვიდექი პოდიუმზე, მაყურებელი კი ყვიროდა: „მინისტრის ბოზო, გაეთრიე!“

ჩემი გერმანია ჩემთვის დასრულდა...

კირილე შჩევკოვი.
პრაღა.

ლიდა ბაროვასთან საუბარი ზალცბურგში

– პანი ბაროვა, როგორ აღნიშნეთ თქვენი დაბადების დღე?

– მარტოობაში. მეუღლე 27 წლის წინათ გარდაიცვალა, მეგობრებიც ცოტა დამრჩა. სულ მარტო ვიყავი, მე და ტელევიზორი.

– რაიმეს თუ ნანობთ თქვენს ცხოვრებაში?

– თქვენ მხედველობაში გყავთ ჰიტლერი, გერმანია, გებელსი. მე ხომ არაფერს არ ვმალავ, არც თავს ვიმართლებ. როცა გებელსს ვხვდებოდი, ოცდაორი წლისა ვიყავი. ეს ჩემი ახალგაზრდობა იყო.

გებელსს ომამდე ვხვდებოდი, იმ საზარელ ხოცვა-ჟლეტამდე, მხეცობამდე. ვინღა არ მდევნიდა მერე! გერმანელებიც, ამერიკელებიც, რუსებიც. საპყრობილეში გამომამწყვდიეს, როგორც ნაცისტი დამნაშავე. მე ოთხმოცდა ხუთი წლისა ვარ და უკვე ველარაფერს ვერ შევცვლი.

– დაგღალათ ცხოვრებამ?

– ფიზიკურად მართალია მოხუცი ვარ, მაგრამ ნათელი და ახალგაზრდული მეხსიერება მაქვს. სამწუხაროა, რომ კინოში აღარ მიწვევენ. თუმცა, იქნებ, ჩემი საუკეთესო როლი არც კი შემისრულებია.

პანი ბაროვა ოთხმოცდახუთი წლისაც კი მომხიბვლელია.

პირადი საქმე

ლიდა ბაროვა თავისი არტისტული კარიერის ალმავლობის პერიოდში.

ლიდა ბაროვა ოცდაათიანი წლების ჩეხოსლოვაკიური კინოს ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი იყო. იგი დაიბადა 1914 წელს პრაღაში დიასახლისისა და მოსამსახურის ოჯახში. 1931 წელს იგი, კონსერვატორიის სტუდენტი, გადაიღეს ფილმში „პავლე ჩმრდის კარიერა“, რამაც იგი ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ქალიშვილად აქცია. 1934 წელს მას შესთავაზეს, კარიერა ბერლინში დაეწყო.

1936-38 წლებში ჩეხოსლოვაკიის ყველაზე ლამაზი ქალი გერმანიის პროპაგანდის მინისტრის იოზეფ გებელსის საყვარელი გახდა. 1939 წელს ჰიტლერის ბრძანებით ბაროვას აუკრძალეს ფილმებში გადაღება. ჩეხოსლოვაკიაზე გერმანიის პროტექტორატის დაწყებამდე ბაროვამ არალეგალურად გადაჭრა საზღვარი, დაიწყო ცხოვრება პრაღაში და ფილმებში გადაღება. 1942 წელს გერმანელებმა მას სამშობლოშიც აუკრძალეს მუშაობა. ბაროვა სამუშაოდ იტალიაში მიიწვიეს.

1944 წელს გერმანელები შეიჭრნენ რომში, და ბაროვა კვლავ უკან, ჩეხოსლოვაკიაში დააბრუნეს. ომის დამთავრებისას, იგი გაიქცა ამერიკის საოკუპაციო ზონაში. მას იქ აპატიმრებენ, როგორც გებელსის საყვარელს და ჩეხეთს გადასცემენ.

1946 წლის დეკემბერში ბაროვა საპყრობილიდან გამოუშვეს, ხოლო, როცა პრაღაში კომუნისტები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, იგი კვლავ არგენტინაში გაიქცა. 1950 წელს იგი კვლავ იწყებს კინოში გადაღებას. ლიდა ბაროვა გადაღებულია ფრედერიკო ფელინის, რობერტო როსელინის, ვიტორიო დე სიკას ფილმებში.

1956 წელს სამუდამოდ გადადის ზალცბურგში, სადაც ცოლად მიჰყვება კურტ ლუნდვალდს, რომელიც ჯერ კიდევ 1948 წელს გაიცნო. 1972 წელს მას ქმარი გარდაეცვალა და მას შემდეგ ზალცბურგში ცხოვრობს. ლიდა ბაროვას 85 წლისთავის წინ გამოშვებული მისი მემუარების წიგნი, რამდენიმე დღეში ბესტსელერად იქცა ევროპაში.

რუსეთმა მაგომედოვს მასხადოვთან მოლაპარაკების უფლებამოსილება მიანიჭა

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ დაღესტნის ლიდერს მაგომედალი მაგომედოვს უფლებამოსილება მიანიჭა, მოლაპარაკება გამართოს მეზობელი ჩეჩნეთის პრეზიდენტთან ასლან მასხადოვთან. უფრო ადრე, რუსეთის ხელმძღვანელობამ არ მიიღო ჩეჩნეთის წინადადება, გამართულიყო უმაღლესი დონის მოლაპარაკება, რომელზეც განიხილავდნენ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის შეჩერების საკითხს. როგორც რეგიონიდან იტყობინებიან, შვიდი დღის განმავლობაში, დაბომბვის შედეგად, დაიღუპა ოთხასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. რუსეთის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ აპირებს განაგრძობს ჩეჩნეთის დაბომბვა, სანამ არ გაანადგურებენ ისლამისტ ბოევიკებს, რომლებსაც ბრალად ედებათ რუსეთის ობიექტების წინააღმდეგ ძალადობის აქტების ჩადენა. რუსეთმა განაცხადა, რომ არ სჭირდება უცხოეთის დახმარება ჩეჩნეთიდან ათიათასობით ლტოლვილისათვის. როგორც პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა თქვა, მოსკოვი მათ რუსეთის მოქალაქეებად მიიჩნევს. ეს მან განაცხადა იმის პასუხად, რომ ჩეჩნეთის მეზობელმა ინგუშეთმა დახმარება სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატი და საერთაშორისო წითელი ჯვარი უკვე გეგმავენ საზღვრისპირა რაიონებში სურსათისა და მედიკამენტების გაგზავნას. როგორც გროზნოს წარმომადგენლებმა თქვეს, ჩეჩნეთის მეზობელ რესპუბლიკებში თავშესაფარს ეძებს სულ ცოტა ასი ათასი კაცი.

ოთხი კაცი დააპატიმრეს ბაზარში ხელყუმბარების აფეთქების შემდეგ

ოთხი კაცი დააპატიმრეს კოსოვოში იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ხელყუმბარები ააფეთქეს ხალხმრავალ ბაზარში, რის შედეგადაც დაიღუპა ორი კაცი და ბევრი დაიჭრა. კოსოვოში გაეროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაპატიმრებულები ალბანელები არიან. როგორც გაერომ, ისე ნატომ დაგმეს ძირითადად სერბებით დასახლებულ ქალაქ კოსოვოპოლეში მომხდარი აფეთქება და მას არაადამიანური და სამარცხვინო აქტი უწოდეს. სერბების აზრით, მომხდარი ამბავი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ალბანელი მეამბოხეები არ განუიარაღებიათ.

სერბეთის ოპოზიცია განაგრძობს საპროტესტო აქციებს

სერბეთის ოპოზიცია განაგრძობს ყოველდღიურ აქციებს, რომელთა მიზანია იუგოსლავიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის გადაყენება. ათიათასობით კაცი ყოველდღე გამოდის ბელგრადის ქუჩებში. სერბეთის სხვა ქალაქებშიც გაიმართა დემონსტრაციები, მათ შორის, ნოვი სადსა და ნიშში, სადაც მიტინგზე თავი მოიყარა სულ ცოტა 15 ათასმა კაცმა. მანამდე, პრეზიდენტმა მილოშევიჩმა მონაწილეობა მიიღო პანჩევოს ნავთობგადამმუშავებელი საწარმოს გახსნაში, რომელიც დაზიანდა ნატოს ავიათავდასხმების დროს. ოპოზიციის აქციებზე მილოშევიჩს კრინტიც არ დაუძრავს.

შეერთებული შტატები მოუწოდებს თურქეთს მოაგვაროს კვიპროსის კონფლიქტი

პრეზიდენტმა კლინტონმა მოუწოდა თურქეთის პრემიერ-მინისტრს ბიულენთ ეჯევითს, განაახლოს კვიპროსის პრობლემის საკითხის განხილვა. ვაშინგტონში ორი ლიდერის შეხვედრის დროს კლინტონმა განაცხადა, რომ არასდროს არ ყოფილა ესოდენ საიმედო პირობები ამ საკითხის გადაწყვეტისათვის, როგორიც ახლაა. მას მხედველობაში ჰქონდა ძველი მოწინააღმდეგეების – თურქეთისა და საბერძნეთის ურთიერთობის გაღლობა, რაც ორივე ქვეყანაში ამასწინანდელ მიწისძვრების შედეგია. მაგრამ, როგორც ბიბი-სის კორესპონდენტი იტყობინება, ჯერჯერობით არანაირი ნიშანი არ არის იმისა, რომ ათენი და ანკარა კვიპროსის საკითხს პრიორიტეტულად მიიჩნევენ. 1974 წლიდან, როცა თურქეთის ჯარებმა კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს, კვიპროსზე წესრიგს ამყარებენ გაეროს მშვიდობისმყოფელნი. „ვაშინგტონი ცდილობს დაიყოლიოს ეჯევითი, რომ ზემოქმედება მოახდინოს კვიპროსელ თურქ ლიდერზე რაუფ ბენკტაშზე, რომელიც მოლაპარაკების დაწყების პირობად აყენებს ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარებას“.



— ახლო მეზობლებთან —

აზერბაიჯანი

ენერგეტიკული სტრატეგია

აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის (ამოკი) წარმომადგენლები განაგრძობენ მოლაპარაკებას თურქეთში აღმოსავლეთ-დასავლეთის (ბაქო-ჯეიჰანის) ენერგეტიკული დერეფნის შექმნის თაობაზე.

განიხილავენ, კერძოდ, დაფინანსების პრობლემებს, ნავთობსადენის საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადებს, შავი ოქროს მოპოვების მოცულობისა და მსოფლიო ბაზრებზე ტრანსპორტირების საკითხებს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა მრჩეველმა ამ საკითხში ჯონ ვულფმა ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რეგიონის ენერგეტიკულ ათვისებაში რუსეთსაც შეუძლია შეასრულოს თავისი როლი, რადგან ჩვენი ამოცანაა ავაშენოთ მრავალი მილსადენი“.

„პენზოილ კასპიან კორპორეიშნმა“ სპონსორობა გაუწია კაპიტალურ რემონტს

საზეიმო ცერემონიით აღინიშნა ღაბა ზაგულბაში პროფესორ გინდესის სახელობის ბავშვთა ძვლის ტუბერკულოზის სანატორიუმის კაპიტალური რემონტის დამთავრება, რომელსაც სპონსორობა გაუწია „პენზოილ კასპიან კორპორეიშნის“ კომპანიამ.

„სანატორიუმის რემონტი „პენზოილის“ საჩუქარია აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბავშვებისადმი, რომლებიც ამ ავადმყოფობით არიან დაავადებული“, – თქვა კომპანიის პრეზიდენტმა სტივენ ჩიზბრომ. „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სანატორიუმი ხელს შეუწყობს აქ მცხოვრებ ბავშვთა სწრაფად განკურნებას“.

„პენზოილმა“ სანატორიუმის კაპიტალური რემონტისათვის 250 ათასი დოლარი გამოყო.

დამეგობრდნენ ინტერნეტში

აზერბაიჯანელმა სკაუტებმა მონაწილეობა მიიღეს სკაუტების საერთაშორისო შეხვედრაში, რომელიც ყოველწლიურად იმართება ინტერნეტის ქსელში. სკაუტებმა, რომლებიც პოულობენ კონტაქტებს თავიანთ ავსტრიელ, ავსტრალიელ, ახალზელანდიელ და სხვა ქვეყნების კოლეგებთან, მათ დაწერილებითი ინფორმაცია მიაწოდეს აზერბაიჯანის შესახებ და გაცვალეს მისამართები.

შეხვედრის მოწყობაში ახალგაზრდებს დახმარება გაუწია ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს ინფორმატიკისა და კომპიუტერიზაციის განყოფილებამ.

სომხეთი

მძლავრი დიასპორა

ერევანში მუშაობა დაამთავრა სრულიად ამერიკის კონგრესმა, რომელზეც ისტორიაში პირველად განიხილეს საზღვარგარეთ სომხური დიასპორის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები. 700-მდე დელეგატი ერთსულოვანი იყო იმ მთავარ საკითხში, რომ საჭიროა განმტკიცდეს ურთიერთობანი, შეიქმნას ახალი ურთიერთსასარგებლო კონტრაქტები. სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა მოუწოდა ყველას ეროვნული ერთიანობისათვის. კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უახლოეს ხანში შექმნან ერთიანი საინფორმაციო ველი, განამტკიცონ ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობანი, პერიოდულად მოაწყონ კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიებანი. დელეგატებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ სომხეთში შეიქმნას ახალგაზრდობის მუდმივმოქმედი ცენტრი, აგრეთვე გააქტიურდეს საერთოეროვნული ფონდი „აიასტანი“. მსოფლიოს 53 ქვეყნის სომხური თემების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ქვეყნის პრეზიდენტს, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს ამ უპრეცედენტო ფორუმის ორგანიზაციისა და მოწყობისათვის.

თანამეგობრობის ქვეყნებში ერთადერთი ნაკრძალი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში ერთადერთი მუფლონარიუმი – ამიერკავკასიის მთის ვერძებისათვის განკუთვნილი სპეციალური ნაკრძალი შეიქმნა სომხეთში. იქ, 250 ჰექტარ ფართობზე თავმოყრილი იქნება გადაშენებამდე მისული ამ იშვიათი ცხოველების სანაშენე სულადობა. სპეციალური ექსპედიცია იჭერდა მუფლონებს რესპუბლიკის ცალკეულ რაიონებში, და ისინი მუფლონარიუმის ახალმოსახლენი გახდებიან.

ახალი შენაერთი

ნარჩენები იზოპრენის წარმოებისა, რომლისგანაც კაუჩუკს იღებენ, ახალი სურნელოვანი ნივთიერების ციტრონოლის შექმნის საფუძველი გახდა, ეს უკვე მეცხრე სურნელოვანი შენაერთია, რომელიც ერევნელმა ქიმიკოსებმა აღმოაჩინეს. მათ მიერ პარფიუმერიის მრეწველობისათვის შექმნილი სინთეზური ნედლეული იმპორტულზე უფრო იაფია. მას იღებენ როგორც ერევნის, ასევე მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, ხარკოვისა და სხვა ქალაქების საწარმოები.

საკრისტალიზაციო აპარატები

ახალი კონსტრუქციის ამგვარი აპარატები ამოქმედდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური კვლევის ინსტიტუტში. ისინი ძალიან პერსპექტიული გამოდგა მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი დარგისათვის. ლაზერულ სხივთან ერთად დაკეცილი ეს კრისტალები ხელს უწყობს უსუსტესი ინფრაწითელი გამოსხივების დანახვას.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადეს
ლია გოგიჩაიშვილმა, კახა ძორიძემ.

პარტიებსა და მოძრაობებში

ასპარეზზეა ახალი პარტია

პოლიტიკური გაერთიანებებით უხვად გაჯერებულ საქართველოში ყოველი ახალი პარტიის შექმნა გარკვეულ ფიქრსა და განსჯას იწვევს. ბევრს აინტერესებს რატომ შეიქმნა, ვინ შექმნა, რას გააკეთებს ეს პარტია, რა მიმართულების იქნება, რა სარგებლობას მოუტანს ხალხს, საზოგადოებას, ოპოზიციონერთა რიგებს შეავსებს თუ პოზიციას ამოუდგება მხარში. ასეთი სახის კითხვებმა მეტი აქტუალობა შეიძინა საპარლამენტო არჩევნების წელს, როდესაც შეიქმნა არა ერთი და ორი მსხვილი ან გაცილებით მოკრძალებული პარტია, კავშირი, გაერთიანება, მოძრაობა თუ ე.წ. ზეპარტიული მოძრაობა.

ამ ნახევარი წლის წინათ კიდევ ერთი ახალი პარტია დაფუძნდა — საქართველოს ლექტორთა კავშირი. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება კავშირის თავმჯდომარეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრს, მწერალ ნუგზარ წერეთელს.

— ბატონო ნუგზარ, ლექტორთა პარტია საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის — ათეულობით წლების მანძილზე კარგად ცნობილი საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა ფართო აქტივის ინიციატივით დაარსდა. რამ გამოიწვია ეს გარემოება?

— როგორც ცნობილია, და ეს სახელწოდებიდანაც ჩანს, საზოგადოება „ცოდნა“ არის სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი. მისი წევრები წლების მანძილზე ეწეოდნენ და ეწევიან მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის დარგების პოპულარიზაციას, სამამულო მიღწევების ხალხისათვის გასაგები ენით პროპაგანდას და ყოველთვის შორს იდგნენ პოლიტიკისაგან. მაგრამ ჩვენმა ახალმა ცხოვრებამ, საზოგადოების დემოკრატიზაციამ მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ბევრ პრობლემას მიეცეს პოლიტიკური შეფასება და პოლიტიკური მეთოდებით გადაწყდეს. ბუნებრივია, ეს პროცესი ლექტორებსაც შეეხო, რაც მათ მოღვაწეობას განამტკიცებს და მრავალფეროვნებას შემატებს.

ბოლო პერიოდში მრავალი კავშირი შეიქმნა სოციალურ-პროფესიული ნიშნის მიხედვით: მრეწველთა, აგრარიკოსთა, ვეტერანთა, სპორტსმენთა, ღარიბთა და ა.შ. თუკი რომელიმე ფენას შესწევდა უნარი შეექმნა პარტია, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამის უნარი სხვაზე არანაკლებ ჰქონდათ ლექტორებს. სამწუხაროდ, ის საკმაო დაგვიანებითაც კი შეიქმნა. უფულობა, აუცილებელი სახსრების უქონლობა და სრულიადაც არა მოჩვენებითი, არამედ სამაგალითო პატიოსნება ხშირად დამაბრკოლებელ ბარიერებად ექცა პარტიის შექმნას და მის წარმატებებსაც.

და ერთი ძირითადი არგუმენტთაგანიც.

ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მესამე თავის — „პარტიის ქონება და ფინანსები“ „დ“ პარაგრაფში გარკვევითაა მითითებული, რომ ამ ფინანსებს შემოწირულობათა გარდა შეადგენს: „პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, პარტიის მიერ **ლექციების, გამოფენების და მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე, საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო** (ხაზგასმა ჩვენია — ნ. წ.) და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხები“...

ეს სფეროები უშუალოდ ეხება ლექტორთა კავშირს და ამ წესიერი გზებით შეეცდება კიდეც სამოქმედოდ საჭირო სახსრების მოზიდვას.

თავისი საპროგრამო პრინციპების თანახმად, ლექტორთა კავშირი ქვეყნის წინაშე მდგარი ყველა აქტუალური, მნიშვნელოვანი თუ ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში მიიღებს მონაწილეობას. ეს ძალზე ვრცელი და საკმაოდ ცნობილი პრობლემებია, ყველაფერზე ლაპარაკს აქ ვერ მოვახერხებთ, მხოლოდ ერთ მცირე ნაწყვეტს შემოგთავაზებთ პროგრამიდან, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს ლექტორთა კავშირი“... მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის სულისკვეთებით, ქვეყანაში მოქმედ ყველა პროგრესულ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობით, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტში, აქტიურად ილვაწოს საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, ქვეყნის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად, ქართული ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და განვითარებისათვის, ერის მთლიანობისა და კონსოლიდაციისათვის“.

ლექტორთა კავშირის წევრები არიან მეცნიერები, კულტურის, ლიტერატურის, განათლების, მედიცინის ღირსეული წარმომადგენლები, ვინც საკუთარ ცოდნას უშურველად გადასცემს ხალხს.

ჩვენ ზოგიერთი პარტიასავით არ ვიტყვით, რომ 60-70 ათასი ან კიდევ უფრო მეტად ფანტასტიური — 150-180 ათასი ან 200 ათასი წევრი გვყავდეს. ასე საქართველოს მოსახლეობა ბავშვებიან-მოხუცებიანად ვერ შეავსებს პარტიებს. ჩვენ შეგვიძლია გულახდილად ვთქვათ, რომ ჯერჯერობით შვიდი ათასზე მეტი წევრი გვყავს, რაც დღითი დღე იზრდება.

— როგორც ბრძანეთ, თქვენი კავშირი არის ცენტრისტული მიმართულების პარტია. ამდენ მემარცხენე თუ მემარჯვენე პარტიებში როგორ გამოირჩევით? ახლა ზოგიერთი პარტია მოქალაქეთა კავშირის ლანძღვით ცდილობს ქულების აღებას. თუ დასამალი არ არის, თქვენ რას აპირებთ — ლანძღვას თუ მხარდაჭერას?

— ჩვენ არავის ლანძღვას არ ვაპირებთ, ვაპირებთ საქმის კეთებას, ნამდვილად სასარგებლო საქმიანობის გაშლას. ხალხს მოსწყინდა ამდენი დაპირისპირება, უსაგნო კამათი, ჩხუბი, კონფრონტაცია და ცილისწამება, ქილიკი და ცინიზმი. ადამიანები მოვლენებს უკვე სულ სხვაგვარად უყურებენ. სწორად იყო აღნიშნული, რომ მუშტებითა და მუქარით გამარჯვების მიღწევა უკვე შეუძლებელია.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ მოქალაქეთა კავშირს ამომრჩეველთა ყურადღების მისაქცევად ესერიან ლაფს, თითქოს სხვა საქმე არ გააჩნიათ და სხვა პრობლემები აღარ არსებობს.

როცა ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები მმართველ პარტიას და ხელისუფლებას ხელაღებით ლანძღავენ და, მართლაც, პოზიტიურ საქმეებს საერთოდ ჩქმალავენ, გაკვრითაც კი არ ახსენებენ სტაბილიზაციას, მსოფლიოში საქართველოს როლის ამაღლებას, საგარეო ურთიერთობების არნახულ წარმატებას, საკუთარი საზღვრების დაცვას, ევროპულ ორიენტაციას, ევროსაბჭოს წევრობას, სუფსის ტერმინალს, ნავთობსადენს, კოსმოსური ტექნოლოგიების სასახელო გამარჯვებას, ეს უკვე არასწორია და შეიძლება უკურეაქციაც კი გამოიწვიოს.

კრიტიკასაც სწორად შერჩევა უნდა, ცალმხრივი მიდგომით ადამიანები პირიქით, — არ უნდა დააეჭვო, ასე არავის არაფერი გამოუვა.

საქართველოს ლექტორთა კავშირმა კანონით დადგენილი ყველა წესისა და მოთხოვნის ზუსტი დაცვით გაიარა რეგისტრაცია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ბლოკში გაერთიანება ვერ მოვასწარით, ცხელმა ზაფხულმა შეგვიშალა ხელი, უსახსრობამ კი სიცხეზე მეტად დაგვაბრკოლა. ალბათ, დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას. სრულიად ბუნებრივია 7-პროცენტიან ზღვარს ათობით პარტიის მსგავსად, ალბათ, ვერც ჩვენ გადაველახავთ. მაგრამ ყველა პარტიას და ყველა საქმეს დრო, სწავლა, მოთმინება, გამოცდილება სჭირდება. როგორც გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობდა, ისიც კარგია, რომ „ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

ესაუბრა

მარიამ ხურციძე.

უცხოეთი

ფრანგების თვალით დანახული ინტეგრირებული ევროპა

(გამოცდილება და პრობლემები)

რა არის ევროპა? გეოგრაფიული სივრცე თუ ცივილიზაციის მოდელი? ეკონომიკური მანქანა თუ პოლიტიკური პროექტი? ახალი ისტორიული რეალობა თუ ფილოსოფიური აზროვნება? როგორი არჩევანი მოვახდინოთ ეკონომიკურ ინტერესებსა და საერთო პოლიტიკურ ნებას შორის, ერთის მხრივ, და სახელმწიფოების სუვერენულობისა და პოლიტიკურ ტრადიციებს შორის, მეორეს მხრივ?

როგორ განაწილდეს ინდივიდების, ჯგუფების, ხალხების მიკუთვნება, რათა მივაღწიოთ პოლიტიკური იდენტურობის შექმნას და ერთიან მოქალაქეობას, რომელიც ევროპული იქნება? ხომ არ შეიძლება პასუხის მულტიკულტურალიზმში პოვნა?

ჩვენი გაზეთის რედაქცია, თავის ფურცლებზე პერიოდულად გამოაქვეყნებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციისა და პოლიტიკური კვლევის ცენტრის მიერ მომზადებულ დაიჯესტს, რომლის საშუალებითაც ჩვენს მკითხველს შესაძლებლობა მიეცემა უკეთ გაეცნოს თანამედროვე ევროპის რეალიებს.

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ, მისი ურთიერთობები დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან თვისობრივად იცვლება, რაც უნდა აისახოს არა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებზე, არამედ ადამიანთა მართლშეგნებაზეც.

დასავლეთ ევროპის პრესის მასალებზე დაყრდნობით მიმოხილვების მომზადება და გამოქვეყნება პრაქტიკულად დაეხმარება ევროპული მენტალიტეტის ჩამოყალიბებას ქართველ პოლიტიკოსებში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს შიდა პრობლემების ახლებურად გადაწყვეტის საქმეს.

ევროპა ახალი საუკუნის განზომილებაში

კოსოვოს დრამამ, უცბად შეაგნებინა ევროპის ხალხებს ევროპის აშენების აუცილებლობა, რადგანაც ამიერიდან ევროპის თითოეულმა ქვეყანამ ნათლად დაინახა გაერთიანების წინაშე წარმოშობილი სირთულეები არა მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე დიპლომატიურ თუ სამხედრო სფეროში, არამედ საკუთარ ტერიტორიაზე. თითოეულ ევროპულ ქვეყანას შეუძლია თავისი გავლენის განსაზღვრა ისეთი ზესახელმწიფოს ინტერესების პირისპირ, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია.

ბალკანეთის კრიზისმა დაგვაფიქრა ევროპის მშენებლობის ფორმაზე. ევროპის აშენების საკითხში უპრეცედენტო წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ ევროპის გაერთიანების გადამწყვეტი ეტაპი ჯერ კიდევ გადასალახავია. XXI საუკუნეში შესაბიჯებლად პოლიტიკური ევროპის მშენებლობაა აუცილებელი. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ მსოფლიოში, სადაც მხოლოდ ზესახელმწიფოებს ძალუძთ ერთმანეთთან შეთანხმება. თუკი ევროპის ტრადიციული ერი-სახელმწიფოები იზოლირებულნი დარჩებიან, ისინი ვერ შესძლებენ წარმატების მიღწევას ვერც ეკონომიკაში, ვერც სამეცნიერო კვლევისა და ვერც კრიმინალური დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. მხოლოდ ძლიერება მოუტანს ევროპის ერებს მშვიდობის შენარჩუნების შესაძლებლობას.

REVUE POLITIQUE
ET PARLEMENTAIRE

EUROPÉENNES : LA BALKANISATION ?

ბალკანეთში, ევროპას აშკარად აკლდა ორი რამ, რაც მოვლენათა სხვაგვარად განვითარების შესაძლებლობას შექმნიდა. პირველი — დასწრების არარსებობაა, რომელიც არ უნდა შევეშალოს ზოგიერთი ევროპული ქვეყნის დასწრებასთან. ევროპის კლავიატურა დიპლომატიის სფეროში ეროვნულზე ფართოა, და ამიტომაც ევროპას რომ თავისი ნება განეცხადებინა, გამოეყენებინა ქმედითი ბერკეტები კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიმართ, ყველა შესაძლებელი კავშირები, ხელთ ჰქონოდა ჭეშმარიტი დიპლომატია, ალბათ, ყველაფერი სხვაგვარად განვითარდებოდა. მეორე — ეს გახლავთ იმგვარი პოლიტიკური მოწყობის არქონა, რომელსაც უნარი შესწევს პასუხი გასცეს უმცირესობათა მისწრაფებებს. პოლიტიკური მოდელი, რომელიც შესძლებს უმრავლესობის და ამავე დროს თითოეული პიროვნების ინტერესთა დაცვას.

ევროგაერთიანება, შექმნის პროცესში მყოფი ფედერაციაა, რომელიც სახელმწიფოებს, ერებსა და ხალხებს აერთიანებს. ევრო, სოფლის მეურნეობისა და ტერიტორიებს შორის მჭიდრო კავშირის პოლიტიკა, ცენტრალური ბანკი, ევროკომისია, ამის ნათელი გამოხატულებაა. თუკი ევროპას უარს ვეტყვით ფედერალურ მშენებლობაში, ეს 50 წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის უარყოფა იქნება.

ევროპას ჭეშმარიტად დემოკრატიული პოლიტიკური ხელისუფლება უნდა გააჩნდეს, რომელიც კონსტიტუციისა და პრეზიდენტის ინტერესებშია. მოქალაქეებისათვის ბუნდოვანი ხელშეკრულებები პოლიტიკური ხელისუფლების მიერ უნდა ჩანაცვლებულ იქნას კონსტიტუციით, რომელიც ნათელს მოფენს თითოეულის მოღვაწეობას გაერთიანების ჩარჩოში. ევროპას ასევე ესაჭიროება ხმა და სახე. ევროპის ინტერესებიდან გამომდინარე, გაერთიანება საფრანგეთის დემოკრატიისთვის (გსდ) გვთავაზობს, ევროკომისიის პრეზიდენტი ევრო პარლამენტისა და ეროვნული პარლამენტის წარმომადგენელთა მიერ შემდგარი კონგრესის მიერ იქნას არჩეული, შემდეგ კი გაერთიანების მოქალაქეთა ერთობლიობით, რადგანაც სადაც ხელისუფლებაა, იქ დემოკრატიაც უნდა იყოს.

იმისათვის, რომ ევროპას პოლიტიკური და დიპლომატიური არჩევანისათვის პატივს სცემდნენ, იგი ატლანტიკური კავშირის ევროპულ დასაყრდენს, თავდაცვის ჭეშმარიტ თანამეგობრობას უნდა ეყრდნობოდეს.

ჩვენთვის, ძლიერი ევროპა, ურთიერთპატივისცემის ევროპაა, რომლის ქვაკუთხედიც ადამიანი იქნება.

ფრანსუა ბერუ,
გაერთიანება საფრანგეთის
დემოკრატიისთვის
თავმჯდომარე.

მოამზადა
ნანა ცქიტიშვილმა.

ეკონომიკა

ფალსიფიკაცია ქართულ ღვინოს წალეკვით ემუქრება

ნებისმიერი ისტორიული ხანის, ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობის ცივილიზაციის დონე მისი აგრარული კულტურით განისაზღვრება. ნებისმიერი ქაოსი, როგორც შუმერები იტყოდნენ „მშობელ დედას“, ანუ საწყის წესრიგს უბრუნდება და ამიტომაც ყოვლისმომცველია პლანეტის ქართული შესატყვისი „დედამიწა“. მიწა — დედაა ყოველგვარი სიკეთისა და სიყვარულისა!

ქართველები მიწათმოქმედთა შთამომავლები ვართ, ერთადერთი ხალხი დედამიწაზე, რომლის ეროვნული სახელწოდებაც მიწას აღნიშნავს. ქართველ კაცს დაბადებიდან აქვს მესისხლხორცებული ვაზისა და მიწის სიყვარული. მე ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ ვაზი და ქართველი კაცი ერთბუნებოვანია და ერთად დასახლდნენ დედამიწაზე. მათი სიცოცხლის საწყისი კოსმიურ ჰარმონიას უკავშირდება და გასაკვირი აღარაა, ქართველი გლეხი თავის ვენახს მამულს რომ უწოდებს დღესაც.

საბჭოთა იმპერიის ცხოვრებაში მომხდარმა ბოლო წლების მოვლენებმა დიდი გამოცდის წინაშე დააყენა საზოგადოების ზედნაშენი — იდეოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის ინსტიტუტი, რომელსაც თავისთავზე უნდა აეღო არსებულ ღონისძიებათა გარდაქმნის თანამედროვე შემოქმედებითი ფუნქცია. „საერთო-სახალხო საკუთრების“ ბაზაზე ჩამოყალიბებული საწარმოო ძალთა და საწარმოო ურთიერთობათა სოციალური სფეროები უძლური აღმოჩნდა რეალურად შეეფასებინა ეს გლობალური პრობლემატიკა და არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გამოემუშავებინა ღრმად გაანალიზებული „გარდაქმნის“ პროგრამა. შექმნილი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ სამოცდაათწლიანი სოციალური ექსპერიმენტით დავკარგეთ მესაკუთრის ღირსება, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ჭეშმარიტი მეწარმის, ანუ ბიზნესის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

საბჭოთა სივრცის საბითუმო ბაზრის ფასწარმოქმნის მთელი მექანიზმი აგებული იყო ადმინისტრაციულ-სუბიექტურ ფაქტორებზე (გეგმები — პროდუქციის მიწოდებაზე, დირექტივები — მათი შესრულების მიმართებაზე), ყოველივე ამან გამოიწვია მაშინდელი კომერციული ბაზრების ბუნებრივი უკურეაქციის შემცირება წარმოებული პროდუქციის ხარისხზე, რის შედეგადაც საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფი საწარმოო ერთეულები გადაიქცა უხარისხო და ფალსიფიცირებული პროდუქციის მწარმოებელ-გამსაღებლებად, რამაც შელახა სარეალიზაციო ბაზარზე ქართული წარმოების ღირსება.

საჭირო იყო დიამეტრალურად შეცვლილიყო ვაჭრობის (გასაღება-მოხმარების) სოციალური ინსტიტუტი. „გარდაქმნის“ გაჭიანურებული პროცესის გამო ბაზარი უცხოურმა იაფმა და რეკლამირებულმა პროდუქციამ შეავსო. საზოგადოებრივი ორგანიზმი უსუსური აღმოჩნდა ამ მძლავრი კომერციული დარტყმის წინააღმდეგ, რომლის ნათელი დადასტურებაა საქართველოს ეკონომიკური სხეულის რეანიმაციული მდგომარეობა.

საზოგადოების წინაშე კვლავ მწვავე პრობლემად დადგა მესაკუთრის ინსტიტუტის საკითხი, რომლის ბაზაზეც უნდა ჩამოყალიბდეს მომავალში ჭეშმარიტი სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი გლეხი თუ ფერმერი. ფერმერული სფეროების ჩამოყალიბებას სერიოზული, ღრმად გაანალიზებული სახელმწიფო პროგრამა სჭირდება. აღმოვჩნდით მოჯადოებულ წრეში: გვაქვს გადამამუშავებელი სამრეწველო „გიგანტები“ — ღვინის ქარხნები, არ გაგვაჩნია ნედლეულის ბაზა. გლეხებს მიწის ნაკვეთები დაურიგეს, მაგრამ ტექნიკური, ენერგეტიკული და ფინანსური რესურსების უქონლობის გამო მიწას სრულყოფილად ვერ ვიყენებთ.

ყველა შემთხვევაში, თუ ვინ გვევლინება მეწარმის როლში, ეს იქნება კერძო მესაკუთრე, სახელმწიფო თუ სააქციო საზოგადოება, სასაქონლო პროდუქციას აუცილებლად სჭირდება ბაზარი. უპირველესად, ეს ითქმის შიგა ბაზარზე. შემდეგ კი ასევე საჭიროა გარე, ანუ საერთაშორისო კომერციული საბაზრო სისტემა.

მდარე ხარისხის გარე ბაზარი ჩვენ უკვე დავკარგეთ, აღარაფერს ვამბობთ იმ მაღალი კონიუნქტურისა და კონკურენციის ბაზარზე, რომელიც საბჭოთა სივრცის გარეთ არსებობდა. იგი ჩვენთვის აუღებელ სიმაღლეს წარმოადგენდა ყოველთვის და დღესაც მის ფარგლებში „ცხვირის შეყოფა“ დიდი პრობლემაა. რაც მთავარია, გამოგვეცალა საკუთარი, შიგა ბაზარიც. ამის ძირითად მიზეზად გვევლინება ის ფაქტი, რომ ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობა და სამსახური არ იცავს საკუთარ წარმოებას. სამამულო მრეწველობის პროდუქტების სიმცირე კი ხელს უწყობს შიგა ბაზარზე უცხოური იაფფასიანი, ფალსიფიცირებული პროდუქციის მოძალებას.

საკმარისი გახდა რთული და შინაგანი წინააღმდეგობებით მოცულ კომერციულ ბაზარში ცვლილებების დაწყება, რომ მევენახეობა-მეღვინეობის დარგი ყოველგვარი მოსამზადებელი პროგრამის გარეშე აღმოჩნდა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პრესტიჟული პროდუქციის წინაშე. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა რაოდენობის ფინანსურ-ტექნიკური და მატერიალური ინვესტიციებია საჭირო, ეკონომიკურად რომ გავუმკლავდეთ ამ მძლავრ დასავლურ „ურჩხულს“. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ შეუწყვეტლად მიმდინარეობს საწარმოო ურთიერთობათა სამოცდაათწლიანი უძრაობის მსხვრევა და ადამიანთა შინაგანი ბუნებისთვის დამახასიათებელი კერძო მესაკუთრულ რელსებზე გადაყვანის რთული პროცესი, რაც არასასურველი პოზიტიური მოვლენებით ხასიათდება. აღნიშნულმა პროცესებმა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგი შიგა გარდასახვის ურთულესი პრობლემის წინაშე დააყენა. დღის წესრიგში დადგა შინაგანი სტრუქტურის ძირეული შეცვლა და ცივილიზებული მსოფლიო მოვლენების ჭრილში მოქცევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პრესტიჟულ დარგს არავითარი მომავალი არ გააჩნია! მიუხედავად დღევანდელი კატასტროფული მდგომარეობისა, ერის ინტელექტუალურ-ტრადიციული პოტენციალი და ჩვენი რეგიონის ეკოლოგიურად სუფთა გარემო იძლევა რეალურ შესაძლებლობას იმედის თვალით შევხედოთ მომავალს.

ევროკავშირის ინიციატივით დაფუძნდა „აგრობიზნესბანკი“, იგი ნაწილობრივ გადაჭრის პრობლემებს, რადგან დაბალი საპროცენტო სესხით დახმარებას გაუწევს საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგებს და, პირველ რიგში, მევენახეობა-მეღვინეობას, შიგა და გარე ახალ კომერციულ ბაზრებზე შეღწევისათვის საჭიროა ტექნოლოგიური დონის ამაღლება, გაფორმების, შეფუთვისა და დაცვის პრობლემების სათანადო დონეზე გადაწყვეტა და ფალსიფიკაციის მოსპობა, რაც დამეთანხმებით, დილემად ექცა დღევანდელ საზოგადოებას.

კომუნისტური რეჟიმის ბატონობის წლებში ჩვენს ღვინოებსა და კონიაკებს კონკურენციის გარეშე ეჭირა იმპერიის სივრცის ბაზარი, ამან განაპირობა ქართულ პროდუქციაზე ის დიდი მოთხოვნილება, რის დაკმაყოფილებასაც დღეს გაურკვეველი კატეგორიის იატაკქვეშა ბიზნესმენები ცდილობენ.

უკანასკნელ პერიოდში „სამტრესტმა“ მოიპოვა ზუსტი ინფორმაციული მასალა ფალსიფიცირებული ქართული ღვინოების წარმოებისა და რეალიზაციის შესახებ.

ბულგარეთის რესპუბლიკის ქ. სოფიის ღვინის ქარხანა „სოფიიდან“ და ქ. ჩიპრანის ღვინის ქარხანა „ჩიპრანიდან“ მოლდოვას რესპუბლიკის ქ. კაგულის ტერმინალის მეშვეობით 1998 წლის ივნის-სექტემბერში მოსკოვში შეიზიდა 2,5 მლნ ბოთლი ყალბი ქართული ღვინოები, აქედან „ხვანჭკარა“ — 36 პროცენტი, „ქინძმარაული“ — 34 და ოჯალეში — 30 პროცენტი.

მოპოვებული ინფორმაციითა და ჩვენს მიერ მიერ სავაჭრო ქსელიდან აღებული ნიმუშების საშუალებით დაზუსტდა, რომ იმავე პერიოდში მოსკოვში, ალა ქუმჩუქინას ქ.№ 1 სახლში მდებარე დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ლენექსის“ მიერ მოსკოვში შეტანილია უნგრეთის რესპუბლიკის ქ. ტერმეკის ღვინის ქარხანაში ჩამოსხმული 2,5 მლნ ბოთლი „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“.

ქართული საფირმო და სავაჭრო ნიშნებით გაფორმებული ფალსიფიცირებული პროდუქციის ჩამოსხმა-რეალიზაციას ეწეოდნენ და ახლაც ეწევიან შემდეგი საწარმოები: რუსეთის ფედერაციის ტვერის ოლქის, კონაკოვსკის რაიონის დასახლება, ოზერკის ღია სააქციო საზოგადოება „ოზერკის სამეურნეო ამხანაგობა“, რომელიც აწარმოებს სამარკო ღვინოების „ხვანჭკარას“ და „ქინძმარაულის“ და კიდევ ახალი მარკის ღვინის „მადლის“ ჩამოსხმასა და რეალიზაციას.

საქართველოს სააქციო საზოგადოება „ვახო“, რომლის იურიდიული მისამართი ჯერჯერობით ვერ დაზუსტდა, აწარმოებს ფალსიფიცირებულ ღვინოებს — „ხვანჭკარას“, „ქინძმარაულს“, „ახაშენს“ და „ალაზნის ველს“. ამ ღვინოებს ჰყიდის მოსკოვში, ოსენნი ბულვარის ქ. № 1-ში მდებარე სააქციო საზოგადოება „დენიკო“.

მოლდოვას რესპუბლიკიდან სააქციო საზოგადოება „სტოიგი“ აწარმოებს „ხვანჭკარასა“ და „ქინძმარაულს“. მათი მიმღები და რეალიზატორია მოსკოვში ალა ქემჩუგინას ქ. № 1 სახლის № 1 კორპუსში მდებარე სააქციო საზოგადოება „სამარ-პლუსი“.

1998 წლის მეორე ნახევარში გააქტიურდა მოლდოვას რესპუბლიკის დნესტრისპირეთის ქ. რიბნიცის ღვინის კომბინატი „ვინკომი“, რომელმაც მოსკოვში, ვერნადსკის პროსპექტის № 91 სახლის № 3 კორპუსში განთავსებულ ფირმა „ტავინკოს“ მეშვეობით 1998 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მოსკოვში შეიტანა 9,0 მლნ ბოთლი ფალსიფიცირებული „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“, ბოლო პარტია — 1,5 მლნ ბოთლი „ხვანჭკარა“ შეტანილია 1998 წლის 22 ივლისს.

ინტენსიური ხასიათი მიეცა გაყალბებული პროდუქციის შეტანას ბალტიისპირეთის ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე უნგრეთიდან, მოლდოვადან და რუსეთის ტერიტორიიდან, რის შესახებაც არაერთი ინფორმაცია მოგვაწოდა ესტონეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქართულ-ესტონური სავაჭრო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ბატონმა ელგუჯა პირმისაშვილმა.

ასევე ინტენსიური ხასიათი აქვს ქართული საფირმო და სავაჭრო ნიშნებით გაფორმებული, აშკარად ფალსიფიცირებული ღვინოების: „ხვანჭკარას“, „ქინძმარაულის“, „ტვიშის“ და „ახაშენის“ შეტანას ტალინში უნგრეთიდან. აღნიშნული პროდუქციის წარმოებაზე დამკვეთი და მისი რეალიზატორია უნგრეთის ფირმა — **AURORA BUDAPEST**, ტელ: 36-1-344-0458.

პროდუქციას აწარმოებს უნგრეთის ფირმა **KESKEMETY - BORKA.** მისი იურიდიული მისამართია **H-6000, KESEKEMET, KISKOROSI UT-18-20, HUNGAU**, ტელ: № 36-76-482642.

პროდუქციის დისტრიბუციას ესტონეთის ტერიტორიაზე დღემდე აწარმოებდა ესტონური ფირმა „ამხანაგობა ლუკერენი“, ქ. ტალინი, ლოტსის ქ. № 4. ეს ფირმა ავრცელებდა სარეკლამო ფურცელს, სადაც მიუთითებდა, რომ იგი ქართული ღვინოების ექსკლუზიური დისტრიბუტორია ესტონეთში და უახლოეს მომავალში ზემოთ აღნიშნული ღვინოების გარდა, მყიდველს დამატებით მიაწვდიდა „მუკუზანსა“ და „წინანდალს“. აღნიშნული ფირმა საბითუმო ბაზიდან სავაჭრო ქსელში პროდუქციის მიწოდებას ახორციელებდა „მერსედესის“ მარკის მიკრო სატვირთო ავტოტრანსპორტით, რომლის ძარა ყველა მხრიდან გაფორმებული იყო „სამტრესტის“ საფირმო ნიშნით, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

უფრო მეტიც, საზღვარზე სირთულეების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული ფირმების ინიციატივით ქ. ტალინში მუშაობა დაიწყეს არალეგალურმა საამქროებმა, რომლებიც ადგილზევე ახდენენ ფალსიფიცირებული ქართული პროდუქციის ჩამოსხმასა და რეალიზაციას.

ესტონური ფირმა „ტომირალი“ მომხმარებელს სთავაზობს მოლდოვაში წარმოებულ „ქინძმარაულს“, „ახაშენს“, „ალაზნის ველს“ (თეთრსა და წითელს) და „ახმეტას“.

ტალინში არსებული ალკოჰოლიანი სასმელების ქარხანა „დიეიკო“ 1994 წლიდან აწარმოებს ქართული ბრენდის „გრემის“ ჩამოსხმა-რეალიზაციას, უკვე სამი წელია აღნიშნული მარკა დააპატენტეს ესტონეთის საპატენტო დეპარტამენტში, რითაც ესტონეთის სამომხმარებლო ბაზრისკენ გზა გადაუკეტეს საქართველოში ჩამოსხმულ იმავე ორიგინალურ მარკას!

ესტონეთისა და ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნების სავაჭრო ქსელში ბოლო დროს გამოჩნდა ბულგარეთში ჩამოსხმული ღვინოები „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“, რომელთა ეტიკეტები მიგვანიშნებს, რომ პროდუქცია ბულგარეთშია წარმოებული, მათი შტრიხ-კოდები კი იწყება ციფრებით — 486, რაც მათ ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს.

ანალოგიური მდგომარეობაა ლატვიასა და ლიტვაში. მიღებული ინფორმაციების თანახმად, ფალსიფიცირებული პროდუქციის მწარმოებელთა მხრიდან ადგილი აქვს ბალტიისპირეთის ქვეყნებში ქართული საფირმო და სავაჭრო ნიშნების დაპატენტების მცდელობას, რომლის შეჩერება და აღკვეთა დღის წესრიგში აყენებს შესაბამისი იურიდიული პროცედურების ჩატარების აუცილებლობას.

პრობლემა უაღრესად რთული და მნიშვნელოვანია ჩვენი დარგისთვის, მაგრამ არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა. უშუალოდ ბატონი პრეზიდენტის ძალისხმევით 1996 წელს გამოიყო 6 მილიონი ლარი, რამაც გადაარჩინა „ვაზი, დარგი, რომლის კულტურული ჯიშების სამშობლო, ისევე, როგორც მეღვინეობისა, არის საქართველო“ — (პრეზიდენტის განკარგულებიდან).

მალე წინასაარჩევნო ბატალიების პოლიტიკური ციებ-ცხელება დაცხრება, ჩვენი მევენახე თავისი განუყრელი ვაზით წელში გაიმართება, რაც შეეხება ფალსიფიკაციის პრობლემას, ქართული ღვინის სახელს განადგურებით რომ ემუქრება, ვიმედოვნებთ, სახელმწიფო დონეზე გადაწყდება.

ვაჟა მამაიშვილი,
დეპარტამენტ „სამტრესტის“
თავმჯდომარე.

ვულოცავთ!

ცნობილი ქველმოქმედი, ღირსეული მამულიშვილი, ქალაქ სენაკის საპატიო მოქალაქე ომარ გოგია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1999 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით არჩეულია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ვულოცავთ ბატონ ომარ გოგიას ამ წარმატებას.

მეგობრები.

გეპატიჟებით, მობრძანდით!

2 ოქტომბერს (შაბათს) 15 საათიდან ქალაქ სენაკში — აკაკი ხორავას სახელობის სენაკის თეატრის შენობაში სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმი მართავს მარტვილის ეროვნული მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს გივი ელიავას დაბადებიდან 80 და სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს.

მობრძანდით, გვეწვიეთ, დასწრება თავისუფალია.

საზოგადოება „კოლხეთის“
პრეზიდენტი,
აკადემიკოსი
ალექსანდრე
კუჭუხიძე.

პოლიცია მოქალაქეთა აღრიცხვიანობას მკაცრად აკონტროლებს

მსს თბილისის ადმინისტრაციული პოლიციის სამსახური მოქალაქეთა აღრიცხვიანობას სისტემატურად და მკაცრად აკონტროლებს, — აცნობა პრაიმნიუსს ქალაქის ადმინისტრაციული პოლიციის უფროსმა მიხეილ სალაძემ.

მისი თქმით, უბნების მიხედვით, პოლიციას კონტროლზე ჰყავს აყვანილი საქართველოში დროებით ჩამოსული ყველა უცხოელი მოქალაქე, და სრული პასუხისმგებლობით შეუძლია განაცხადოს, რომ მათი მხრიდან რაიმე კანონდარღვევას ამ ეტაპზე ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს გენპროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის განცხადებით, სამართალდამცავი ორგანოები ფლობენ ინფორმაციას, რომ საქართველოში დესტაბილიზაციის საფრთხე არსებობს, რისთვისაც მათი მთლიანი შემადგენლობა მკაცრი მუშაობის რეჟიმშეა გადასული. გამკაცრებული რეჟიმი მოქალაქეთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებასაც გულისხმობს.

ინფორმაცია მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწლი

გეოლოგის გზა

90 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ გეოლოგს გიორგი ხარაშვილს.

თვალსაჩინო მეცნიერმა და პედაგოგმა სამური შრომისუნარიანობა შეინარჩუნა და კვლავაც ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა, ბევრ დროს უთმობს ახალგაზრდა სპეციალისტების ჩამოყალიბებას და გამოირჩევა მათთან თბილი და ხალისიანი ურთიერთობით.

გიორგი ხარაშვილი დაიბადა თბილისში. დღევანდელი პირველი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე ინჟინერ-გეოლოგად იწყებს მუშაობას. ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებს ბატონი გიორგი თავის მასწავლებლებს. ამ მხრივ მას მართლაც გაუმართლა. სკოლაში მიხეილ ზანდუკელი, დავით დონდუა ასწავლიდნენ. უნივერსიტეტში გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე ჯანელიძის ლექციებს ისმენდა. თავის უპირველეს მოძღვრად კი ქართველ მინერალოგთა სკოლის დამაარსებელს აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძეს მიიჩნევს. სწორედ მან მიიწვია სულ ახალგაზრდა გეოლოგი გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტში, რომელიც შემდგომ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტად გარდაიქმნა. აქ ხდება გიორგი ხარაშვილის ინტერესთა გამოკვეთა და პროფესიული დაოსტატება. 30-იან წლებში იწყება მთიანი რაჭის გეოლოგიური ათვისება. გიორგი ხარაშვილი გეოლოგთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელთაც პირველებმა შეისწავლეს დიდი კავკასიონის ეს უნიკალური კუთხე. პეტრე გამყრელიძე, გიორგი ზარიძე, გიორგი ლოლობერიძე, გიორგი გვახარია, ვახტანგ ნადირაძე, გიორგი ტოგონიძე, — აი, არასრული ჩამონათვალი იმ გამოჩენილი გეოლოგებისა, რომელთა გვერდით ჩვენი იუბილარი იკვლევდა რაჭის წიაღისეულ სიმდიდრეს. ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში პროფესორ ხარაშვილის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. აქ მან გეოლოგთა არაერთი თაობა აღზარდა. ათი წელი იყო სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სწავლული მდივანი, 14 წელი განაგებდა მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას, სადაც დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს. მან სულ ახლახან დაამთავრა მუშაობა თავისი სახელმძღვანელოს „კრისტალოგრაფია და კრისტალთქიმიის“ ახალ, შევსებულ გამოცემაზე; უმცროს კოლეგებთან ერთად წერს „მინერალოგიის კურსს“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი როგორც მეცნიერების ნიჭიერი ორგანიზატორის ღვაწლი. 60-70-იან წლებში სათავეში ედგა სპი-ს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განყოფილებას. ამ წლებში ინტენსიურად განვითარდა სხვადასხვა მიმართულების კვლევითი მუშაობა კათედრებსა და ლაბორატორიებში, საინჟინრო და სამეცნიერო ცენტრებში, ჩამოყალიბდა რამდენიმე საპრობლემო ლაბორატორია და საკონსტრუქტორო ბიურო. დღესაც მადლიერებით იგონებენ ტექნიკურ უნივერსიტეტში გ. ხარაშვილის და მისი თანამშრომლების წვლილს ამ საქმეში.

რაოდენ დასანანია, რომ ბატონ გიორგის გვერდში აღარ უდგას შესანიშნავი მეუღლე თამარ მხეიძე, რომელთან ერთად მან მშვენიერი ოჯახი შექმნა. ეს ოჯახი მთლიანად ტექნიკურ უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული. ქალბატონი თამარი სამთოელი გახლდათ და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მარგი წიაღისეულის გამდიდრების კათედრას, შვილი — ოთარ ხარაშვილი ფიზიკოსია, სტრუქტურული კვლევის რესპუბლიკური ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

გიორგი ხარაშვილი პრინციპული, მიუკერძოებელი, ღრმად ერუდირებულია. მრავალმხრივი განათლების წყალობით იგი კარგად ერკვევა ხელოვნებასა და ლიტერატურაში, დღესაც საინტერესო მოსაუბრეა. მასთან ხანმოკლე ურთიერთობაც კი გარწმუნებთ, რომ საქმე გაქვთ ჭეშმარიტ ინტელიგენტთან. ყოველთვის ახარებს ბატონ გიორგი ხარაშვილს ჩვენში მიმდინარე სასიკეთო სიახლეები. ვუსურვებთ ღვაწლმოსილ მეცნიერს და აღმზრდელს კიდევ მრავალ წელს არ დაეკარგოს ეს ინტერესი და მხნედ და ჯანმრთელად იღვაწოს ჩვენს გვერდით.

რამაზ ხუროძე,
სტუ-ს რექტორი,
პროფესორი;

რევაზ სტურუა,
სტუ-ს პირველი
პრორექტორი,
პროფესორი;

**მირიან
თოფჩიშვილი,**
გეოლოგიის ინსტიტუტის
დირექტორი, პროფესორი;

თამაზ ჯანელიძე,
გეოლოგიის
დეპარტამენტის
თავმჯდომარე,
პროფესორი;

**ნოდარ
ფოფორაძე,**
მინერალოგიის,
პეტროგრაფიისა და
გეოქიმიის კათედრის
გამგე, პროფესორი.

ფეხბურთი

შაოსანთა შავი საქმენი

ხშირად გვსმენია — შეცდომას უსაქმური არ უშვებსო. მართალიცაა. ოღონდ, გააჩნია, როგორ შეცდომაზეა საუბარი. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის სუსტი მსაჯობის ფონზე რატომღაც ვთვლით, რომ საერთაშორისო სარბიელზე ამ მხრივ საგანგაშო არაფერია. თურმე, მწარედ ვცდებით. საილუსტრაციოდ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მესამე რაუნდის სასტარტო დღეზე შევჩერდეთ. ამჯერად რამდენიმე ისეთი სადავო (უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით, მცდარი) სასტვენი გაისმა, რომლებმაც ზოგიერთი შეხვედრის საბოლოო შედეგზე გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

ფაქტი პირველი. „ჩელსი“ — „გალათასარაი“. ანგარიშია 0:0. სტუმართა ჩამოწოდებულ კუთხურს მცველთა დასახმარებლად საკუთარ საჯარიმოში ჩამოსული სატონის თავური და ავტოგოლი მოჰყვა, მაგრამ პოლანდიელი მსაჯები ვერ (ან არ) ამჩნევენ, რომ ბურთმა ჰაერში გადაკვეთა კარის ხაზი და მხოლოდ მაშინ მოიგერია მათმა თანამემამულემ, ბრიტანელთა მეკარე დე გუიმ. გაიმარჯვა „ჩელსიმ“ 1:0.

ფაქტი მეორე. „ბაიერნი“ — „ვალენსია“. თამაშს ბავარიელები იგებენ 1:0. ამ დროს მათს ფორვარდს იანკერს წესების სრული დაცვით მეორე გოლი გააქეთ სტუმართა კარში და, ფაქტობრივად, წყვეტს მატჩის ბედს, მაგრამ იტალიელი მსაჯები არარსებულ თამაშგარე მდგომარეობას აფიქსირებენ. მოგვიანებით, როცა ანგარიში გათანაბრდა და უკანასკნელი წამები იწურებოდა, მთავარმა არბიტრმა დანაშაული იმით გამოისყიდა, რომ მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ გასულ ესპანელთა არგენტინელ თავდამსხმელს ლოპესს გადამწყვეტი გოლის გატანა აღარ აცალა, აქაოდა დრო ამოიწურაო.

მსგავსი შეცდომებით დაგვამახსოვრეს თავი ჩვენი წერილის ანტიგმირების ფრანგმა და სლოვაკმა კოლეგებმაც, რომლებიც, შესაბამისად, „მილან“ — „ჰერტასა“ და „ოლიმპიაკოს“ — „მოლდეს“ შეხვედრებს უძღვებოდნენ. და ეს ხდება ევროპის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟულ ასპარეზობაში, ტურნირში, სადაც მილიონები ტრიალებს.

კიდევ კარგი, მხოლოდ უარყოფითით არ აღინიშნა მორიგი ბატალიები. იმ საღამოს ნათელი წერტილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბერძნული კლუბის ბრაზილიელი ლიდერი ჯოვანი, რომელიც „ბარსელონადან“ გადასვლის შემდეგ ახლებურად გაიხსნა. მან პირადი მონაგარი 2 გატანილი ბურთით გაზარდა და 4 გოლით სათავეში ჩაუდგა ლიგის ბომბარდირთა დავას.

გაუწყებთ პირველი წრის უკანასკნელი ტურის შედეგებს:

„ე“ ჯგუფი.
„რეალი“ — „პორტუ“ 3:1,
„ოლიმპიაკოსი“ — „მოლდე“ 3:1.
„რეალი“ — 7, „პორტუ“ — 6, „ოლიმპიაკოსი“ — 4, „მოლდე“ — 0 ქულა.

„ვ“ ჯგუფი.
„ბაიერნი“ — „ვალენსია“ 1:1,
„ეინდჰოვენი“ — „გლაზგო რეინჯერსი“ 0:1.
„ვალენსია“, „ბაიერნი“ — 5-5, „გლაზგო რეინჯერსი“ — 4, „ეინდჰოვენი“ — 1 ქულა.

„ზ“ ჯგუფი.
„ბორდო“ — „სპარტაკი“ 2:1,
„სპარტა“ — „ტილბურგი“ 4:0.
„ბორდო“ — 7, „სპარტა“ — 5, „სპარტაკი“ — 4, „ტილბურგი“ — 0 ქულა.

„თ“ ჯგუფი.
„მილანი“ — „ჰერტა“ 1:1,
„ჩელსი“ — „გალათასარაი“ 1:0.
„ჰერტა“, „მილანი“ — 5-5, „ჩელსი“ — 4, „გალათასარაი“ — 1 ქულა.

გაიმართა, აგრეთვე, უეფას თასის გათამაშების პირველი ეტაპის რამდენიმე საპასუხო შეხვედრა:

„ლინცერი“ — **„სტიაუა“** 2:3 (0:2), „დებრეცენი“ — **„ვოლფსბურგი“** 2:1 (0:2), **„მონპელიე“** — „ცრვენა ზვეზდა“ 2:2 (1:0).

მოკლედ

ზუგდიდ ფოთში გაიმართა ფეხბურთელთა XI ეროვნული ჩემპიონატის VI ტურიდან გადმოტანილი მატჩი „კოლხეთი“ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა და 12 ქულით პირველი ჯგუფის „ბ“ ზონის სატურნირო ცხრილში II ადგილზე დამკვიდრდნენ. ისინი 1 ქულით ჩამორჩებიან ლიდერს — ქუთაისის „ტორპედოს“ და მასთან VII ტურის ცენტრალურ შეხვედრას კვირას, 3 ოქტომბერს სტუმრად მოაწყობენ.

მსოფლიო მოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა აფრიკის სიღრმეში მიიწევს

ჩვენი თანამემამულის, დედამიწის გარშემო ყველა კონტინენტის, ქვეყნისა და დედაქალაქის გაელით ველოსიპედით მარტოდმარტო მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავასაგან სამი თვის განმავლობაში არანაირი ცნობა არ მიგვიღია.

ვიცოდით მხოლოდ ის, რომ იგი აფრიკაში იყო და კონაკრიდან (გვინეა) ატლანტისპირა ქვეყნების გაელით სამხრეთისაკენ მიემართებოდა. და აი, ამ დღეებში ჯუმბერი თავის მეგობარს — მსოფლიო მოგზაურობის ხელშემწყობთა კავშირის თავმჯდომარეს დურმიშხან სულიაშვილს უგადუგუდან (ბურკინა-ფასო) ტელეფონით ესაუბრა და სამ თვეში ათი ქვეყნის შემოვლის ტკბილმწარე თავგადასავალი სამიოდე წუთში აცნობა (სამიოდე წუთშიო, ვამბობ, რადგან ჩვენი მოგზაური, როგორც ყოველთვის, უკიდურეს ფინანსურ გასაჭირშია, — მარტო ერთი წუთი საერთაშორისო სატელეფონო საუბარი 12 ამერიკული დოლარი ღირს...)

ამ საუბრის მიხედვით, ჯუმბერ ლეჟავა კარგად და ჯანმრთელადაა, სახალხო დესპანის დევიზი-პროგრამა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, ანუ განახლებული საქართველოსთვის მეგობართა ძებნა-ძიება წარმატებით ხორციელდება: წლეულს, ექვს თვეში მაროკოდან ნიგერიამდე 19 აფრიკული ქვეყანა მოიარა. ბურკინა-ფასოდან კი ნიგერიისაკენ მიემართება, მერე ჩადი და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, საიდანაც კვლავ ატლანტიკისაკენ დაეშვება და დანარჩენ 30 აფრიკულ ქვეყანას მოივლის.

ცნობისთვის: ჩვენს ხელთ არსებული ლარუსის ენციკლოპედიის მიხედვით ამჟამად აფრიკაში 53 ქვეყანაა, ხოლო მოგზაურობის დაწყებიდან (1993 წლის 13 აგვისტო) დღემდე ჯ. ლეჟავას მოვლილი აქვს მსოფლიოს 137 ქვეყანა, 2000 წლის დამლევამდე გასავლელია აფრიკისა და ევრაზიის დარჩენილი 90 ქვეყანა. ამ სათვალავში შედის საუდის არაბეთი, ერაყი, ბრუნეი და ჩრდილოეთი კორეა, რომლებმაც მოგზაურს თავის დროზე რატომღაც ვიზაზე უარი უთხრეს.

ახლა, როდესაც საქართველო თავად წყვეტს თავის იღბალს, იმ ზემოთ ხსენებული ქვეყნებიდან ორმა მაინც, რომლებიც მსოფლიო მოგზაურის აფრიკულ მარშრუტთან ახლოს არიან, იქნებ კეთილი ინებონ და საქართველოს სახალხო დესპანს კარი გაუღონ...

და, ბოლოს, ჩვენი თანამემამულის ბედით დაინტერესებულ მკითხველებს ვაუწყებთ მსოფლიო მოგზაურობის პროგრამის ხელმძღვანელ ჟიული შარტავას ფონდის და ჯუმბერ ლეჟავას ხელშემწყობთა კავშირის ტელეფონებს: **30-97-97; 94-25-31;**

ტელეფონი/ფაქსი: 99-72-18.

**მსოფლიო მოგზაურობის
პრესცენტრი.**

ბატუტზე ხტომა

გოგონებმა გვასახელეს

კრასნოდარში დამთავრდა სამხრეთ რუსეთისა და ახლო საზღვარგარეთის ქალაქების მე-9 სპორტული თამაშები სპორტის რამდენიმე სახეობაში. თბილისელებმა მხოლოდ ბატუტზე ხტომაში იასპარეზეს და ისიც დედაქალაქის მერიის სპორტის სამმართველოს შემწეობით.

თავი გამოიჩინა ჩვენმა გოგონათა ნაკრებმა (მწვრთნელები — ვალენტინა კლიმოვა, ვალერი ჩხაბერიძე, ლია გულიაშვილი), რომელმაც გუნდური პირველობა მოიპოვა. ინდივიდუალურ ხტომებში სპორტის ოსტატის პროგრამით („ა“ კლასი) მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, თბილისელებმა — სოფიკო გულიაშვილმა და ვიანცე ჩიტიშვილმა (ორივე — „მართვე“) გაინაწილეს.

ოსტატობის კანდიდატის პროგრამით („ბ“ კლასი) 1983 წელს და უფრო გვიან დაბადებულმა ბატუტისტებმა იასპარეზეს. ჩემპიონობა წილად ხვდა 9 წლის თბილისელ ლიუბოვ გოლოვინას. მეორე იყო მისი თანაგუნდელი ელა აირაპეტოვა. ვერიკო ბუგლარაშვილი (სამივე — თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს განკარგულებაში მყოფ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა) მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა. ბიჭებში ვერცხლის მედალი თენგიზ კოშკაძემ („მართვე“) მოიპოვა. მას მცირედით ჩამორჩნენ ოლეგ გოგოლაძე და საშა მარტინჩუკი (ორივე — სპორტული სკოლა), რომლებიც შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ.

**ეკა
ბესტავაშვილი.**



ჭადრაკი

დარჩა ორი ტური

ოცი წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელსაც სომხეთის დედაქალაქი ერევანი მასპინძლობს, წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს წარმომადგენლები. ქალთა შორის პირველობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 7,5 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა ევროპის ორგზის ჩემპიონმა ქუთაისელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა. იგი ქულით ჩამორჩება ლიდერს — ბერძენ კოვალიუსს. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფენ სოხუმელი რუსუდან გოლეთიანი და თბილისელი სოფიკო ხუხაშვილი. ნინო წიტაიშვილს 4,5 ქულა აქვს.

ვაჟებში 7 ქულა მოაგროვა საერთაშორისო ოსტატმა გიორგი ბახტაძემ, ქულით ნაკლები — მიხეილ მჭედლიშვილმა. მედლების მოპოვების შანსი ორივეს აქვს.

კარატე

საამაყო წარმატება

21 წლამდე ასაკის იუნიორ კარატისტთა გუნდურ კუმიტეში საქართველოს ნაკრები ჭაბუკა მახარაძის, გიორგი ნადირაძის, დავით ქვანიასა და კობა ცერცვაძის შემადგენლობით (მთავარი მწვრთნელი თემურ ცქიტიშვილი) პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი!

16 ქვეყნის წარმომადგენლებთან მძაფრ ბრძოლაში მოპოვებული ამ საამაყო წარმატების აღსანიშნავად მოსკოვის ცსკა-ს სპორტული კომპლექსის თაღებქვეშ ჰიმნი „დიდება“ აჟღერდა. ოლიმპისაკენ მიმავალ გზაზე ტრიუმფატორებმა თანმიმდევრულად სძლიეს აშშ-ს 3:0, რუსეთის — 2:1 (სხვათა შორის, ორი მსაჯი რუსი იყო), უკრაინის — 2:1 და ფინალში — ბელორუსიის 2:1 გუნდებს. ასპარეზობის მთავარი სენსაცია სწორედ ქართველმა და ბელორუსმა (მათ მთავარი ფავორიტი — ინგლისი დაჯაბნეს) სპორტსმენებმა შემოგვთავაზეს — ფინალში სპეციალისტთა უმრავლესობა ხომ რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის კარატისტთა დუელს ვარაუდობდა. ეს მიღწევა შესაძლებელი გახდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით, რომლებმაც „ოქროს ბიჭების“ მგზავრობა დააფინანსეს.

დავძენთ, რომ ამ ვაჟკაცური სახეობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტია ინგლისელი ჩარლზ ნეილორი, მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი მსაჯი კი იაპონიის კარატე-დოს ასოციაციის წარმომადგენელი, VIII დანის მფლობელი კენოსუკე ენოედა იყო.

რუსეთის დედაქალაქში თავი ჩვენი ნაკრების თავკაცმა თემურ ცქიტიშვილმაც ისახელა, რომელიც გერმანელ და ბელორუს კოლეგებთან ერთად საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს და სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. ასე რომ, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი — V დანის მფლობელი კახა ბასილია) ხანგრძლივი ძალისხმევა ჩინებული შედეგით დაგვირგვინდა.

რაც შეეხება ინდივიდუალურ კატეგორიებს, სარბიელზე 45 ქვეყნის წარგზავნილები გამოვიდნენ. ისინი გუნდური პაექრობების მსგავსად ოლიმპიური სისტემით ასპარეზობდნენ და 4 ქვეჯგუფად (თითოეულში — 20-30 სპორტსმენი) იყვნენ დაყოფილნი.

ჭაბუკა მახარაძე ჩვენს თანამემამულეთაგან ერთადერთი იყო, რომელმაც ძალები მოსინჯა, როგორც კატაში, ისე კუმიტეში. კატაში მისი პირველი ბრძოლა ტურნირის ფავორიტთან ინგლისელ პრაის მათეისთან ფრედ — 2:2 დასრულდა, ინგლისელმა მთავარმა მსაჯმა კი, გამარჯვება, ბუნებრივია, თანამემამულეს მიანიჭა. ასევე არ გაუმართლა მახარაძეს მეორე დისციპლინაში — კუმიტეში წილისყრისასაც. სტარტზე ერთ-ერთ გრანდთან — რუს დიმიტრი ფომირიაკოვთან შერკინებისას ფრანგმა არბიტრმა მიიჩნია, რომ ჭაბუკამ მეტოქეს მძიმე კონტაქტური დარტყმა მიაყენა და შეჯიბრებიდან მოხსნა.

დანარჩენი ქართველი კარატისტები მხოლოდ კუმიტეში გამოვიდნენ. მედალთან ახლოს იყო გიორგი ნადირაძე, რომელმაც ორი ბრძოლა მოიგო, მაგრამ მეორე გამარჯვება ბელორუსიელ მოწინააღმდეგესთან საკმაოდ ძვირი დაუჯდა — სახეში მიღებულმა მოკლე კონტაქტმა ექიმები აიძულა ნახევარფინალურ მეხვედრაში პოლონელ სპორტსმენთან აღარ დაეშვათ...

გაგაცნობთ კარატისტთა V მსოფლიო ჩემპიონატის დანარჩენ გამარჯვებულებსაც:

ინდივიდუალური კატა (კაცები). მიშელ ქულიე (საფრანგეთი).

ინდივიდუალური კუმიტე (21 წლამდე იუნიორები). მუსტაფა ბერკონი (შვედეთი).

ინდივიდუალური კუმიტე (კაცები). ვოლფგანგ პენკენი (გერმანია).

ინდივიდუალური კუმიტე (ქალები). მარინა ჩერნოვა (ბელორუსია).

გუნდური კატა (ქალები). ბელორუსია.

გუნდური კატა (კაცები). ავსტრია.

გუნდური კუმიტე (კაცები). გერმანია.

**გია
პლატონიშვილი.**

სურათზე: ზედა რიგი (მარცხნიდან): გიორგი ნადირაძე, თემურ ცქიტიშვილი (მთავარი მწვრთნელი); ქვედა რიგი: დავით ქვანია, კობა ცერცვაძე, ჭაბუკა მახარაძე.

საქციო საზოგადოება „მზიურის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერებს მორიგ კრებაზე, რომელიც გაიმართება 1999 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისში, ხოშარაულის ქუჩა № 27-ში.

დღის წესრიგი:

1. ს/ს „მზიურის“ დირექტორატის ანგარიში 1998 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ;
2. წლიური ანგარიშის დამტკიცება;
3. ს/ს „მზიურის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
4. 1999 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ; დღის წესრიგში დამატებითი საკითხები შეიტანება, თუ აქციონერები შესაბამისი განცხადებით მიმართავენ დირექტორატს 9 ოქტომბრამდე.

კრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ს/ს „მზიურის“ აქციონერები ან მათი უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენლები. კრებაში მონაწილეობის მისაღებად აქციონერებმა უნდა წარმოადგინონ აქციონერების დამადასტურებელი მოწმობა.

კრება დაიწყება 12 საათზე, თბილისი, 1999 წლის 28 სექტემბერი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბლუ უოთერ შიფინგ (ჯორჯია)“-ს სალიკვიდაციო კომისია აცხადებს ზემოხსენებული კომპანიის ლიკვიდაციას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14.2 და 14.3 მუხლების შესაბამისად.

კრედიტორები გამოცხადდნენ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბაქოს ქ. № 8.

D. M. GEORGIA USA CVISCO DIPLOMAT MOTORS LTD
საქართველო აშშ შპს კვისკო დიპლომატ მოტორსი

კვისკო დიპლომატ მოტორსი გთავაზობთ „ჰონდა“, „კია“ და „ლადას“ ტიპის ავტომობილებს.

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით (ნაღდი, გადარიცხვა).

სიახლე: პირველი ნოემბრიდან ვიწყებთ ვაჭრობას განვადებითაც.

გარდა ამისა, სარეალიზაციოდ ვიღებთ ყველა სახის ავტომანქანას როგორც ორგანიზაციებიდან, ისე კერძო პირებიდან, გაჩერებისთვის სადღეღამისო გადასახადის გარეშე.

მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ. ნ. ბარათაშვილის ქ. № 8.
ტელ: 53-35-35; 53-35-36. ფაქსი: 53-35-40.
ავტომანქანების რეალიზაცია მოხდება ნ. ბარათაშვილის ქ. № 8-ში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ.

ყოველი მხრიდან

გუცაევის არაბეთში?

სულ ახლახან საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ვლადიმერ გუცაევი საუდის არაბეთში გაემგზავრა. როგორც ამბობენ, იქ იგი მეორე ჩვენებურის, საფეხბურთო კლუბ „ალ-იტიჰადის“ მთავარი მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის ასისტენტი იქნება და ერთად წაიყვანენ გუნდს დიდი ფეხბურთის გზებზე.

ისინი ხომ ერთად თამაშობდნენ 70-წლიანი წლების თბილისის „დინამოში“ და დიდი წვლილიც შეჰქონდათ მის აღმავლობაში. მაგრამ ისინი მარტო თანაკლუბელი მეგობრები კი არა, ქვისლებიც ყოფილან — ცოლები დები ჰყოლიათ.

ლეკვი ლომისა სწორია?

ამერიკაში, ვაშინგტონის შტატში საგანგებო ნებართვა გამოსცეს, რათა პროფესიულ რინგზე გაიმართოს მოკრივეთა ორთაბრძოლა ქალსა და მამაკაცს შორის.

ბრძოლა 9 ოქტომბრისათვის არის დანიშნული სიეტლში. ამ დღეს რინგზე გამოვლენ 36 წლის მარგარეტ მაკგრეგორი ქალაქ ბრემერტონიდან (ვაშინგტონის შტატი) და 34 წლის კანადელი ლუი ჩოუ ვანკუვერიდან (ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინცია), შესაბამისად ისინი 59 და 57 კილოგრამს იწონიან. მაკგრეგორი ადრე გატაცებული იყო კიკბოქსინგით, წლეულს, აპრილში კი პროფესიონალი მოკრივე გახდა და მოწინააღმდეგე ქალებზე უკვე სამი გამარჯვებაც იზეიმა.

ჩოუ ადრე მტანგისტი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ კრივში გამდიდრების მეტი შანსი ჰქონდეს.

ფეხბურთის გუნდი - შობადობის კონტროლიორი

ალბათ იტყვით, რა შუაშია ფეხბურთი და შობადობაო, იმასაც გაიფიქრებთ, ეს იქნებ მომავალი ცვლის მატებას ეხებაო. არა, საქმე სულ სხვანაირადაა: „კოვენტრი“ ინგლისის პრემიერ-ლიგის პირველი საფეხბურთო გუნდია, რომლის სიმბოლოები ამიერიდან აღიბეჭდება ქვეყანაში გამოშვებულ პრეზერვატივებზე. თურმე ეს სახუმარო საქმე არ არის.

როგორც კლუბის მესვეურები ამტკიცებენ, ისინი მკაცრად ადევნებენ თვალს, რათა საქონელი მათი სიმბოლოებით შეესაბამებოდეს მსოფლიო სტანდარტებს და მასზე დიდი მოთხოვნილების, იმედიც აქვთ. საფირმო პრეზერვატივები გაიყიდება სტადიონ „ჰაიფილდ-როუდზე“ სპეციალური ავტომატებით, აგრეთვე, ქალაქ კოვენტრის ორ სუპერმარკეტში.

იქ, სადაც ჩვენ ვერ მოვხვდით

ზაგრებში გაიმართა ხელბურთში ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის წილისყრა მამაკაცთა გუნდებს შორის. ეს ტურნირი ხორვატიაში გაიმართება 21-დან 30 იანვრამდე. ჩვენი ნაკრები, როგორც გახსოვთ, დანიასთან წაგების შემდეგ, ამ საპატიო შეჯიბრებაზე ვერ მოხვდა. წილისყრის შედეგად ნაკრები გუნდები ასე განაწილდნენ: **„A“** ჯგუფი — ესპანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ხორვატია, ნორვეგია და უკრაინა; **„B“** ჯგუფში იასპარეზებენ: რუსეთი, შვედეთი, პორტუგალია, დანია, სლოვენია და ისლანდია.

სად უნდა დატიონ?

სულ მალე კრივოი როგში უნდა გაიმართოს ადგილობრივი „კრივბასის“ შეხვედრა იტალიის „პარმასთან“, რამაც უკვე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქალაქში.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, ამ მატჩზე დასწრების სურვილი გამოთქვა 400 ათასმა გულშემატკივარმა (ალბათ, იტალიელების ჩაუთვლელად). ეს მთელი ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარია!

სპორტის რედაქცია.

ქალთა საკრებულო

„...დედა მიცვნია ღმერთადა!“

მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელს მარიკა ლორთქიფანიძეს, ვინ არ იცნობს, მაგრამ აკადემიკოსი ქალი როგორი თბილი და გულისხმიერი მასპინძელია, ალბათ, ბევრმა არც იცის.

ზარმაცი სტუდენტივით დამფრთხალი და გულაფანცქალებული მივადექი მის კარს. მშვენიერი, ერთი შეხედვით ამაყი ქალის თავმდაბლობამ და უშუალობამ ხუთ წუთში ისეთი შვება მაგრძნობინა, ისე გამათამამა, რომ მის პირად საქმეში „ცხვირის ჩაყოფა“ აღარ გამჭირვებია.

— კარგად მახსოვს ოცდაათი წლის წინათ, ზუსტად აქ, ამ მაგიდასთან ასე დამარიგეთ: ქალმა რასაც უნდა მიაღწიოს, ყველაზე დიდი ბედნიერება მაინც დედობააო. მას შემდეგ ბევრ რამეს მიაღწიეთ, დედობას ხომ არ გასტოლებია თქვენი მიღწევები?

— ჩემი პროფესიული სრულყოფის თვალსაზრისით უკმარისობის გრძნობა არა მაქვს, ჩემი პატივმოყვარეობა ყოველთვის დაკმაყოფილებული იყო, მაგრამ ქალს ბუნებისა და ღვთისაგან მინიჭებული აქვს დედობის ფუნქცია და ყველაზე დიდი ბედნიერებაც ეს არის. ქალმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ შვილები ჰყავდეს.

— მარტო ყოლა ვერაფერი ბედენაა, შვილებს აღზრდაც სჭირდება, ეს კი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. თქვენი თამარი და გიორგი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები არიან, ხოლო დავითი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. გზაზე შვილების ასე დაყენება როგორ მოახერხეთ?

— გულახდილად რომ გითხრათ, მატერიალურად დალხინებული არასდროს ვყოფილვარ. მაღალი ხელფასი კი მქონდა, მაგრამ დიდი მოთხოვნილება — არასდროს. ჩემი ქონება 3 შვილი, 7 შვილიშვილი, ერთი შვილთაშვილი და აი, ეს ბიბლიოთეკაა. როგორი უსიამოვნებაც უნდა შემხვდეს, შინ რომ მოვდივარ, ყველაფერი მავიწყდება.

— საოჯახო საქმის გაკეთებას თუ ასწრებთ?

— არასდროს სურვილიც არ მქონია. ჩემს შვილებს ქართული საჭმელები უყვართ, მე კი მოსამსახურედ ყოველთვის რუსები მყავდა, ბოლოს თათრის ქალი ავიყვანე, სწორედ მაშინ ბავშვებს ბაჟე მოენატრათ და იძულებული ვიყავი გამეკეთებინა. საოჯახო წიგნი გადავშალე და ყოველ წუთს ვიყურებოდი — ახლა სუნელი, ახლა ნიგოზი, ახლა ნიორი, ახლა ეს... გიორგიმ მიყურა, მიყურა და გაოცებულმა წამოიძახა — დედა, რა უნიჭო ყოფილხარ, ერთ ბაჟეს ამდენი კირკიტი რად უნდაო. რას იზამთ, როცა არ გინდა, არც სწავლობ. ერთხელ კოლეგის ცოლმა მითხრა — შენზე ამბობენ თავადურ ჩვევებს არ იშლის, ორი მოსამსახურე ჰყავსო. თავის მართლება დავიწყე: რა ვქნა დატვირთული ვარ-მეთქი, რომ აღარ მომეშვა, გავბრაზდი — რით იყიდე ეგ „ჩერნაბურკა?“ — ქმრის ხელფასითო. მე და შენ ქმარს ერთნაირი ხელფასი გვაქვს. მე არც იატაკი გამიხეხავს, არც სადილი გამიკეთებია, არც დიდი სარეცხი გამირეცხავს. სამაგიეროდ, შენსავით არ მაცვია და არ მახურავს-მეთქი.

მოდას აყოლილი არასდროს ვყოფილვარ, თუმცა ყოველთვის ვცდილობდი ერთი-ორი ისეთი ჩასაცმელი მქონოდა, რომელიც ოპერაშიც გამომადგებოდა და უნივერსიტეტშიც.

— თქვენს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღე.

— პირველი შვილიშვილი ლევანი რომ გაჩნდა, იმ დღეს ყველაზე ამაყი და ბედნიერი ვიყავი, მალე მისი შვილის დაბადებასაც ვიზეიმებ.

— არსებობს პრობლემა, რომლის გადაჭრა ვერ მოგიხერხებიათ?

— ცხოვრებაში პრობლემების მეტი რა არის, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა მაქვს. არ გამოვიდა? — ნუ გამოვიდა! რაც უფრო მიჭირს, მით უფრო მაქსიმალურად ვარ მობილიზებული. წევრ-კორესპონდენტად არჩევისას ორჯერ, ხოლო აკადემიკოსად არჩევისას ერთხელ „გამაშავეს“, მაგრამ ტრაგედია არ შემიქმნია. ბოლოს ერთხმად ამირჩიეს აკადემიკოსად. როგორ მოხდაო? მკითხა ერთმა. — მამაკაცებს ბოლოს და ბოლოს შერცხვათ-მეთქი.

— როგორც ვხედავ, მხატვრების ირაკლი თოიძის, მალვა მაყაშვილისა და ნელი ჩიქოვანის შთაგონების წყარო ყოფილხართ. კინოში გადაღება არც ერთ რეჟისორს არ შემოუთავაზებია?

— ნიკოლოზ სანიშვილმა პედაგოგის როლი შემომთავაზა, მაგრამ კატეგორიული უარი განვუცხადე.

— თქვენი გარეგნობისა და მეტყველების პატრონს მსახიობობაზე არასდროს გიოცნებიათ?

— არა, მუსიკა მიყვარდა. პიანისტობა მინდოდა და ანასტასია ვირსალაძესთან დავდიოდი. ერთხელ მისი კონცერტის (რომელსაც დედაჩემის ბიძაშვილი ევგენი მიქელაძე დირიჟორობდა) დამთავრების შემდეგ ბიძია ჟენიას ვუთხარი, პიანისტობა მინდა-მეთქი. შვილო, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ძალიან ნიჭიერები უფრო მიყვარსო (ცივი წყალი გადამასხა!). აი, გიგა კი კარგი დირიჟორი დადგებაო.

სკოლის დამთავრების შემდეგ თანაკლასელთა ერთმა ჯგუფმა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს (ხელოვნებათმცოდნეობის განყოფილებას) მივაშურეთ, მაგრამ ომმა ბევრი რამ შეცვალა და ჩვენ ჩვეულებრივი ისტორიკოსის დიპლომები მივიღეთ. ბედნიერი ვარ, რომ მყავდა ბრწყინვალე პედაგოგები სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ჩიტაია, ალექსანდრე ნამორაძე. კურსზე 100-მდე სტუდენტი ვიყავით, სახელმწიფო გამოცდები კი მხოლოდ ექვსმა ჩავაბარეთ (სიმონ ჯანაშია იყო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე — კაცი, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდობას მხარში ედგა). ისე ვიყავით მომზადებულები, რომ ექვსივე ასპირანტურაში დაგვტოვეს.

„სასურველია, რომ იყო კარგი ისტორიკოსი, მაგრამ აუცილებელია იყო კარგი მოქალაქე“, — ბატონი სიმონის ეს სიტყვები დღემდე მახსოვს. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და მისი მნიშვნელობა არ მესმოდა, რაც დრო გადის, მით უკეთ ვაცნობიერებ. რამდენად შევძელი მისი რეალიზება, ეს უკვე სხვათა განსასჯელია.

— თქვენი სათაყვანებელი პედაგოგის დარიგებას რომ ამაოდ არ ჩაუვლია, თქვენზე უკეთ ვინ იცის, მაგრამ სტუდენტები რომ სიმკაცრეში „ბრალს გდებენ“, შეიძლება ამას თქვენს ყურამდე არც მოუღწევია.

— ერთხელ ცნობილმა ფილოსოფოსმა კოტე ბაქრაძემ, რომელსაც განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული, მიამბო, რომ ლექტორისათვის უკითხავს — გერმანელებს ტყავს აძრობთ, ჩვენ კი ჩვენ ნებაზე გყავართ მიშვებული, რა ხდებაო. — თქვენ ფულს გვიხდით, რომ გასწავლოთ, ჩვენ ვალს ვიხდით და გასწავლით, თუ არ გინდათ, ეგ თქვენი პრობლემაა. ჩვენი ახალგაზრდობა კი ჩვენი ქვეყნის მომავალია და ვალდებული ვართ კარგ სპეციალისტებად აღვზარდოთო, — უპასუხია გერმანელ პედაგოგს. მეც ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ძალიან მკაცრი არა ვარ.

— რას ვერ აპატიებთ ადამიანს?

— ურთიერთობაში სიყალბეს. ამიტომაც არ მყავს ბევრი მეგობარი. ძირითადად სკოლის მეგობრები შემომრჩა: უმათოდ ძალიან გამიჭირდებოდა. საერთოდ, სიამოვნებით ვიგონებ სკოლაში სწავლის წლებს, პედაგოგებს (განსაკუთრებით ნინო მიქელაძეს, ონოფრე ნიკოლეიშვილს), რომლებიც მარტო საგანს კი არა, ყველაფერს გვასწავლიდნენ, ინტელიგენტებად გვზრდიდნენ. მათ ჩემი და ჩემი თაობის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით, რასაც მაშინ ვერ ვაცნობიერებდით, სამწუხაროდ, ზოგ ახალგაზრდას უკვირს, როგორ შეიძლება მასწავლებლის სიყვარული.

— ამბობენ: 26 წლის ლექტორი მარიკა ლორთქიფანიძე ისე ხიბლავდა სტუდენტებს, რომ ლექციაზე შესვლისას კათედრაზე ხშირად სატრფიალო ბარათები ხვდებოდაო, რა რეაქცია გქონდათ?

— ჩუმად ვკითხულობდი, აუდიტორიას მადლობას ვუხდიდი და ლექციას ვიწყებდი.

— თავად გარშემომყოფთაგან განებივრებული, ალბათ, შვილებსაც ანებივრებდით.

— არა. ერთხელ თამარმა ძმები დასვა და „საიდუმლო გაანდო“, ჩვენ დედას არ ვუყვარდით, ჩვენი შვილები უყვარსო. შვილიშვილებს, მართლაც, ვანებივრებ, ჩემი თანდასწრებით ვერც კი დაუყვირებენ.

— რას ურჩევდით ახალგაზრდებს?

— რასაც ჩემს შვილებს ვუჩიჩინებდი — რაც შეიძლება ბევრი იკითხონ. მარტო ინგლისური და გერმანული კი არა, რუსული ენაც ისწავლონ, რომ უზარმაზარ რუსულ ლიტერატურას გაეცნონ, რუსულ კულტურას ეზიარონ, რადგან მასთან ურთიერთობის გაწყვეტა ისევ და ისევ ჩვენთვის იქნება საზიანო. რაც შეეხება ჩემი გულმოწყალების იმედად მყოფ სტუდენტებს, არაფერს ვთხოვ, იმის გარდა, რომ პატივისცემით მოეპყრან თავისი ქვეყნისა და ხალხის ისტორიას.

ესაუბრა
ლეილა კოშკაძე.

სასამართლო

ნუ ენდობით ცრუ ინფორმაციას

ბანდიტურ თავდასხმებისაგან დაზარალებული ფირმა „ომეგას“ ინტერესების დამცველმა ადვოკატმა თემურ გვიშიანმა, განსასჯელ თამაზ ელიზბარაშვილის საქმის განმხილველი სასამართლო კოლეგიის 28 სექტემბრის სხდომაზე ყურადღება გაამახვილა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პასუხისმგებლობაზე, რომელიც მათ ეკისრებათ ამ კონკრეტული სისხლის სამართლის დანაშაულის გაშუქებისას.

სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ცდილობს გაავრცელოს აზრი, რომ თბილისის საოლქო სასამართლო, თითქოს, „კონტრაბანდისტების“ საქმეს იხილავს და არა შეიარაღებული ბანდის ორგანიზებისა და სხვა დანაშაულთა ჩადენისათვის განსასჯელად ცნობილ თამაზ ელიზბარაშვილის სისხლის სამართლის საქმეს, — განაცხადა მან და ნათქვამის დასტურად ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მიერ 27 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაცია დაასახელა. პროგრამა „კურიერში“ გადაიცა სიუჟეტი, რომელიც მხოლოდ ცილისწამებაზე იყო აგებული და ერთი სიტყვაც არ თქმულა განხილვის სტადიაზე მყოფი საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. ამასთან, ტელეეკრანზე რამდენჯერმე გაატარეს შემდეგი შინაარსის „მორბენალი სტრიქონი“: „ელიზბარაშვილის განცხადებით, „ომეგას“ პრეზიდენტი ზაზა ოქუაშვილი მისი ფიზიკური განადგურებისათვის იბრძვის“, რაც სრული დეზინფორმაციაა, — არ არსებობს ამის დამადასტურებელი არავითარი ფაქტი.

სასამართლო სხდომის შემდეგ ჩემთვის მოცემულ ინტერვიუში ადვოკატმა თემურ გვიშიანმა განავრცო ეს თემა:

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით“.

ზოგიერთ ჟურნალისტს, ალბათ, ჰგონია, რომ ეს მუხლი მხოლოდ განსასჯელის მიმართ ავალდებულებს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას, ხოლო დაზარალებულებზე რაც სურთ, იმ „ინფორმაციას“ გაავრცელებენ.

ცხადია, განსასჯელს შეუძლია კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია გააცნოს საზოგადოებას, მაგრამ როცა ასეთ პირს ტრიბუნას ვუთმობთ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ განსასჯელი, ჭეშმარიტების დადგენაში ხელშეწყობისა და გულწრფელი მონანიების ნაცვლად, ცილისწამებით შეიძლება შეეცადოს პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას და ბრალმდებლის მხარის დაუმსახურებლად განქიქებას.

ამიტომაც არის, რომ „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ჟურნალისტი ვალდებულია „შეამოწმოს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა“, რათა ყალბი ცნობების გავრცელებით არ შელახოს მოქალაქეთა (მით უმეტეს, დაზარალებულთა), პატივი და ღირსება, რაც ამავე კანონის 25-ე მუხლით დასჯად ქმედებად ითვლება.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სიუჟეტის ავტორს ეს მოვალეობა რომ არ დავიწყებოდა, მაშინ იოლად დაადგენდა, რომ კომპეტენტურ ორგანოებს (საქართველოს უზენაეს სასამართლოს, გენერალურ პროკურატურას) საფუძვლიანი პასუხები აქვს გაცემული განსასჯელის ყველა იმ განცხადებაზე, რომლებითაც იგი მესამე წელიწადია სპეკულირებს.

თუმცა, ამ მასალების გაცნობას ვინ ჩივის, როცა „კურიერმა“ ისე გაავრცელა განსასჯელ ელიზბარაშვილის განცხადება — „ზაზა ოქუაშვილი 61-ეა სოციალისტური პარტიის საარჩევნო სიაში“, — რომ „ვერ“ შეამჩნია ამავე სიუჟეტში ჩასართავად აღებულ ინტერვიუში თვით ამ პარტიის ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა რომ უარყო ეს „ფაქტი“. მეტიც, მაყურებელს თავად რომ არ გაეკეთებინა დასკვნა განსასჯელ ელიზბარაშვილის ამ განცხადების ცილისმწამებლურ ხასიათზე, ინტერვიუდან საერთოდ ამოჭრეს ეს ფრაგმენტი.

ასევე, სრულიად უსაფუძვლოა განსასჯელის განცხადებანი პროკურატურასთან დაზარალებული მხარის „ალიანსის“ შესახებ. საზოგადოებას კარგად მოეხსენება, თუ რა ძალისხმევა დაგვჭირდა ადვოკატებს იმისათვის, რომ ბრალდებულ ელიზბარაშვილს 24-თვიანი ვადა ხელოვნურად არ გაეყვანა, რათა მის მიმართ საქმე შეეწყვიტათ.

რაც შეეხება ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის დაკავშირებას აჭარის საკითხთან, — განაგრძო ადვოკატმა თემურ გვიშიანმა, — აშკარაა, რომ განსასჯელი ელიზბარაშვილი ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურით სპეკულანტობს, რათა სათავისოდ განაწყოს გარკვეული პოლიტიკური ძალები. ეს კი, არა მარტო სამართლებრივადაა მიუღებელი, ადამიანურადაც უზნეობაა.

არ მინდა დავიჯერო, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობა შეგნებულად უწყობდეს ხელს თბილისის საოლქო სასამართლოში მიმდინარე სასამართლო პროცესის დამახინჯებულად გაშუქებას და მათ რიცხვში შედიოდეს, ვისი მფარველობითაც განსასჯელი დიდი ხანია ყველა ხერხით ცდილობს პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. ამიტომ, — დასძინა ინტერვიუს დასასრულს ადვოკატმა თემურ გვიშიანმა, — იმედი მაქვს ეს პოპულარული ტელეარხი მოგვცემს საშუალებას, რომ მის მრავალრიცხოვან ტელემაყურებელს სიმართლე გავაგებინოთ ამ გახმაურებულ საქმეზე.

ბოლოს და ბოლოს, ამის საშუალებას ჩვენ პრესის შესახებ კანონის მე-20 მუხლიც გვაძლევს, რომელიც „პიროვნების ან ორგანიზაციის შეურაცხმყოფელი მასალის უარყოფისა და მასზე პასუხის უფლებას“ აწესებს.

თამაზ ძველაძე.

სპეციალიზებული ნევროლოგიური და ნეიროქირურგიული სასწრაფო დახმარება
ნეიროექსპრესი

- 24-საათიანი მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება;
- მწვავე და ქრონიკულ ავადმყოფთა პატრონაჟი ბინაზე;
- ავადმყოფთა კონსულტირება და კომპლექსური გამოკვლევები.

ტელ: 94-88; 94-88-11;
61-05-20; 8-99-51-59-72.
თბილისი, გუდამაყრის ქუჩა 2 ა,
ნევროლოგიის ინსტიტუტი.

სჯობს ჯანმრთელობის შენახვა, ყოველსა შესანახავსა!

იუსტიციის სასწავლო ცენტრი — რეგისტრირებული კავშირი აცხადებს 2 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე მსმენელთა განცხადებების მიღებას მოსამართლის თანაშემწის კურსებზე. სწავლა დაიწყება 1 ნოემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ იუსტიციის სასწავლო ცენტრს. მისამართი: რუსთაველის 30; ტელ: 99-91-51.

განცხადება

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 28 სექტემბრის №1-3/648 ბრძანების თანახმად, დროებით შეჩერებულია შპს „საქართველოს ავიახაზების“ პრივატიზების მიზნით გამოცხადებული კონკურსი.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

ხსოვნა

ანზორ ტყემალაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ქართულმა ფილოსოფიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადეს — მოულოდნელად გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ანზორ ტყემალაძე**.

დაიბადა 1935 წელს ქ. ჭიათურაში. 1955 წელს ჩაირიცხა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში ესთეტიკის სპეციალობით. მრავალწლიანი მოღვაწეობის გზაზე გაიარა ყველა თანამდებობა ესთეტიკის კათედრის ლაბორანტიდან კათედრის გამგემდე. ა. ტყემალაძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ნ. ჭავჭავაძის ესთეტიკური სკოლის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ღირსეულად აგრძელებდა XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მიერ დაწყებულ საქმეს, რაც ესთეტიკური პრობლემების ფილოსოფიურ კვლევას გულისხმობდა. 1983 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულმა მონოგრაფიამ „ესთეტიკური შემეცნების პრობლემები“ მას დიდი აღიარება მოუპოვა იმდროინდელ ფილოსოფიურ საზოგადოებაში.

უკანასკნელ წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე მისი უშუალო ძალისხმევით დაარსდა ესთეტიკისა და კულტუროლოგიის სპეციალობები, რითაც კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ალღო და უნარი.

ა. ტყემალაძის ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი საკანდიდატო დისერტაცია. მისი მოწაფეები წარმატებით საქმიანობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი ანზორი გამოირჩეოდა თავმდაბლობით, ყველასადმი კეთილმოსურნე და მეგობრული განწყობილებით, უზნეობისადმი უკომპრომისობით. იგი, როგორც ბატონი ნიკო ჭავჭავაძე იტყოდა ხოლმე მასზე, აქტიურად კეთილი ადამიანი იყო. დახმარება და მხარში დგომა მას ყოველდღიური ცხოვრების წესად ჰქონდა ქცეული.

თვალსაჩინო მეცნიერისა და ღვაწლმოსილი პედაგოგის, სანიმუშო მოქალაქის, მეოჯახის და მეგობრის, ბატონ ანზორ ტყემალაძის ნათელი სახე მარად დარჩება მისი მოწაფეებისა და კოლეგების ხსოვნაში.

თსუ ესთეტიკის კათედრა.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა დიპლომისშემდგომი სწავლების თბილისის სახელმწიფო აკადემიის თვალის სნეულებათა კათედრისა და მიკროქირურგიული ლაბორატორიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე მიხეილის ასული ღიღია-ბერაძე

და თანაუგრძნობენ ამავე აკადემიის პრორექტორს სამეცნიერო დარგში, თვალის სნეულებათა კათედრის გამგეს, აკადემიკოს იეა ბერაძის ოჯახს.

შვილები გია, იეა ბერაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე მიხეილის ასული ღიღია-ბერაძე

პანაშვიდი 1, 2 X, 5 სთ., გამოსვენება 3 X, 2 სთ., მაჩაბლის ქ. № 7.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ხუთშაბათი - 30 სექტემბერი

I არხი

7.30 ალიონი. 9.00 აერობიკა. 9.18 ტელემაღაზია. 9.30-17.55 პროფილაქტიკა. 18.00, 20.00, 0.00 მოამბე. 18.10 ლატარია "ოქროს გასაღები". 18.35 რამპა. 18.45 სერიალი "დალასი". 19.35 "ბასტი-ბუბუ". 19.50 მაესტრო. 20.50 "რა ხდება?!" 21.35 კავკასიური სამკუთხედი. 22.00 ვესტნიკი. 22.25 მრავალსახეობა. 23.00 ეკოდაიჯესტი. 23.20 ვიდეოპატრული-02. 23.35 ტაქსი. 23.45 ნამდვილი ამბები. 0.15 კომუნიკატორი. 0.45 მხ.ფ. "ჯ.ფ.ზ.".

II არხი

19.00, 20.30 ინფორმაცია. 19.15 მულტფილმები. 20.00 ორატორი. 21.00 ჩემი ფოტოგრაფი. 21.30 ჰოროსკოპი. 22.00 შვიდეული. 22.25 მხ.ფ "უაიტ ერპ". 23.55 ჰიტ-პარადი.

VII არხი

11.30, 18.05, 20.05, 22.15 ტელეგაზეთი. 11.40, 20.15 აჩიკუდა. 11.55 მხ.ფ. "სხვისი ქორწილი". 18.15, 18.40, 19.05 მუსიკა. 18.20 ნახ.ფ. 18.45 დოკ.ფ. "ველური ბუნება". 19.10 ტელესერიალი "ნარჩიტა". 20.35 მხ.ფ. "ღრუბლებში გასეირნება". 22.25 მხ.ფ. "ჯადოქარ ბლეიერის პროექტი". 23.30 ფეხბურთი. "უეფას" თასის გათამაშება. 1.30 "უეფას" თასის მიმოხილვა. 2.30 სერიალი "შიმშილი".

რუსთავი 2

7.00, 9.50 მუსიკა. 8.00, 8.50 "ზოლიანი ბანანები". 8.05, 8.30, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 22.50, 1.20 კურიერი. 8.15 მულტსერიალი. 9.00, 21.50 მხ.ფ "ნიკიტა". 10.00, 18.15 "სიყვარულის ოცნებები". 10.30, 19.10 "ნაითმენი". 11.20, 20.05 "გვადალუპე". 12.15, 15.15 მხ.ფ. 14.10 "ნანო". 16.30 დოკ.ფ. 17.10 "კორდიე". 18.40 აკუნა მატატა. 23.30 მხ.ფ. "პოლიციის კომისრის აღსარება რესპუბლიკის პროკურორის წინაშე". 1.30 კლასიკა.

კავკასია

17.00, 18.30, 20.30, 0.00 დღეს. 17.15 მულტფილმი. 18.15, 20.20, 21.45 მუსიკა. 19.00 სპექტრი. 21.00 ვარსკვლავები. 22.00 მხ.ფ "ანგელოზების რისხვა"-4. 0.15 მხ.ფ. "წყალი" 1.50 მუს.კალეიდოსკოპი.

მერიჯა

11.00, 18.00, 22.00, 0.00 "სტუდია-25". 11.30 ზღაპრის ტელედარბაზი. 12.00 სალონი. 13.30, 18.15 სერიალი "მხოლოდ შენ". 14.15 მხ.ფ. " მცველი ქალიშვილისათვის". 18.05, 20.30 მუსიკა. 19.00 "ხვალ..." (საქართველოს პოლიტიკური ანატომია). 20.35 პოლიტიკური პორტრეტი. 21.35 "ფეხბურთის ლეგენდები". 22.30 მხ.ფ. "ღირსების ძიებაში".

1ST

8.00 ტონიკი. 10.30 მხ.ფ. "ღრუბლებში გასეირნება". 12.15 კლიპ-მიქსი. 18.00 მულტფილმი. 19.10 მხ.ფ. "ქორწინების ჩვეულება". 21.00 მხ.ფ. "კარატისტი". 22.55 მხ.ფ. "მარკო პოლო". 0.45 მხ.ფ "სრიალი". 2.10 ნონ-სტოპი.

საქართველოს ხმა

10.00, 17.30, 20.30, 23.00, 1.00 ექო. 10.15, 17.15 მულტფილმი. 11.00, 18.00 ქართ.მხ.ფ. 12.30 სპორტპროგრამა. 13.05, 15.45, 21.00, 23.30, 1.15 მხ.ფ. 15.00 მუსიკა. 19.30 მსოფლიოს სტადიონებზე.

ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.20 Новости. 10.15, 20.45 Сериал "ВО ИМЯ ЛЮБВИ". 11.15 Маски-шоу. 11.40 "Человек и закон". 12.25 Сериал "ДЖЕННИ ЕДЕТ В ГОЛЛИВУД". 12.50 Домашняя библиотека. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10 "Загадки Сталина". 14.55 "Смехопанорама". 15.30 "Вместе". 16.15 Мультфильм. 16.35 "Улица Сезам". 17.00 Семь бед - один ответ. 17.15 "... До 16 и старше". 17.45 Х/Ф "БОЛЬШАЯ ПЕРЕМЕНА". 19.25 "Каламбур". 20.05 "Процесс". 21.45 "Спокойной ночи, малыши!" 22.00 Время. 23.00 Футбол. Кубок УЕФА. "Локомотив" (Москва) - "Люнгбю" (Дания). 00.45 "Тихий дом". 01.40 Х/Ф "ЛАЗЕР".

РТР

07.30, 10.20 ДОБРОЕ УТРО, РОССИЯ. 08.00, 09.00, 10.00, 14.00, 18.00, 20.00, 22.00, 2.00 ВЕСТИ 10.15, 01.55 Дежурная часть. 10.20 "Ле Монти". 10.30 "Арена-спорт". 11.00 "МИЛЕДИ". Сериал 11.50 Сериал "ЛЕТО НАШЕЙ ТАЙНЫ". 12.50 "Гомеопатия и здоровье". 13.00 "Урмас Отт с Андреем Вознесенским". 14.20 "Два рояля". 15.10 "АНТОНЕЛЛА". Сериал 16.05 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ". 17.00, 02.20 "Магазин на диване" 17.30 Мультфильм. 18.20 БАШНЯ. 18.55 Сериал "КОМИССАР РЕКС". 20.30 Сериал "В ЗЕРКАЛЕ ВЕНЕРЫ". 21.25 Клуб "Белый попугай". 22.45 Х/Ф "РАЗБОРКА В БРОНКСЕ". 00.35 "Народ хочет знать" Ток-шоу. 01.10 Подиум д арт. 02.35 Горячая десятка.

НТВ

08.00, 08.30, 18.00, 21.55 Мультфильм. 09.10 "Гомеопатия и здоровье". 09.30 Музыкальный канал. 10.00, 12.30, 15.30, 17.00, 19.30, 21.30, 23.30 Новости REN TV. 10.05 Клуб "Реноме". 10.30, 18.30 Сериал "ПЛЯЖ". 11.30, 22.30 Х/Ф "ЛАТИНСКИЙ АДВОКАТ". 12.35 Х/Ф "АМБИЦИИ". 14.30 Х/Ф "СУДЬБА". 15.00 "Великие женщины века". 15.35 Х/Ф "ХОЖДЕНИЕ ПО МУКАМ". 17.05 Телесериал "ЛЮБИМАЯ ЖЕНЩИНА" 19.45, 21.45 Спорткурьер. 20.00 Сериал "СЕЛЕСТА". 21.00 "Военная тайна". [illegible] Третий лишний. Ток-шоу. 00.00 Х/Ф "ЛЮБОВЬ ПО-АМЕРИКАНСКИ". 01.55 Ночной музыкальный канал.

ТВ6

07.55, 14.05 День за днем. 09.45, 19.10, 23.45 Дорожный патруль. 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00 ТСН-6. 10.10, 00.40 Те Кто. 10.25 "Вы очевидец". 10.50, 11.50, 13.40, 16.20 Телемагазин. 11.00, 19.55 Сериал "ЗОЛУШКА И ПРИНЦ". 12.05 Сериал "ЗОВ УБИЙЦЫ". 16.05, 17.25 Мультфильм. 16.35 Сериал "ПРОСТО МАРИЯ". 18.10 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ ШЕРЛИ ХОЛМС". 18.40, 00.55 Диск-канал. 19.30, 00.15 Сериал "ГРЕЙС В ОГНЕ 4". 21.00 Новости дня. 21.20 В мире людей. 21.40 О.С.П.-студия. 22.40 Сериал "ПСИ-ФАКТОР". 00.00 Шесть новостей дня. 01.30 Сериал "ЭРОТИчЕСКИЕ ПРИЗНАНИЯ". 02.05 Знак качества.

ТВ-ЦЕНТР

07.00, 09.15 Утренний телеканал. 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 События. 10.00, 12.45 Парад плюс. Выбери песню. 10.15 Музыкальная программа. 10.45, 00.20 "Петровка, 38" 11.00, 00.30 Сериал "МИССИЯ НЕВЫПОЛНИМА". 12.15 "Волшебные животные". 13.00, 18.15 Телеканал "Дата". Взгляд из виртуальной студии. 14.00 Х/Ф "РЕБЕНОК НА ВРЕМЯ". 15.15 Мультфильм. 15.45 "От и до...". 16.00 Сериал "ГРАФИНЯ ДЕ МОНСОРО". 17.30 "Подкова" 19.15 "Деловая Москва". 21.55 Х/Ф "УЖАС НА ДЕВЯТОМ ПУТИ". 23.45 События одной строкой. 23.50 "Постскриптум". 00.00 ВРЕМЕЧКО 01.30 ВРЕМЕЧКО. "Ночной полет" 02.00 Молодежный канал "Да".

DISCOVERY

19.00 Катастрофы. 19.30 Рыболовные приключения Рекса Ханта. 20.00 Охота на серийного поджигателя. 20.30 Всепоглощающая страсть. 21.00 Линия полета. 21.30, 5.30 Как они это построили? 22.00 Ветеринар. 22.30 Рожденный диким. 0.00 Детективы-медики. 1.00 Криминалисты. 2.00 Архивы ФБР. 3.00 Лучшее из Британии. 4.00 Планета Оксан. 5.00 Линия полета. 6.00 Заклинатель гремучих змей.

МИР КИНО

11.35, 19.00 Сериал "Захватчики". 12.20, 18.45 КиНовости. 12.30 Х/Ф "Среда обитания". 14.15 Х/Ф "Готов к бою". 15.40 Х/Ф "Божьи коровки". 17.10 Х/Ф "Желаю удачи". 19.50 Х/Ф "Рэгтайм". 22.20 Х/Ф "Сават". 23.50 Х/Ф "Танцы по время луназы". 01.25 Х/Ф "Пиноккио".

EUROSPORT

11.30 Мотоспорт. 12.30 Автогонки. Чемп. США. 13.30 Рыбная ловля. 14.00 Современный пентатлон. 15.00, 20.00 Регби. Кубок мира. 16.00 Гольф. 17.00 Горный велосипед. 18.00 Снукер. Чемп. мира. 21.00 "Олимпийские игры". 21.30 Футбол. Легенды чемпионата Европы. 22.30, 03.30 Мотоспорт. 23.30, 01.30 Футбол. Кубок УЕФА.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
როლანდ ბასილაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.